მიმოიხედეთ, ბატონებო, თქვენს ირგვლივ თითქოს ქვეტექსტით მიმართავდა მარჯანიშვილი ოპონენტებს, დროის მდინარეებსა და მოთხოვნებს შეუწონეთ, თქვენი სურვილები, გოქონს ციფერბლატზე შეამოწმეთ დრო, ფართოდ გააღეთ ფანჯრები და ახალი დროის ქრლავის შეაგებეთ ფერმკრთალი სახეები. ორიგინალური ქართული რეპერტუარისა და ნაციონალური დრამატული ლიტერატურის მიმართ უყურადღებობას რომ მშამებთ, ღრმად ჩავიხედოთო საკითხში: „გვაქვს კი ჩვენ სინამდვილეში ორიგინალური ნაციონალური თეატრი, გვაქვს კი ორიგინალური, თვითმყოფადი დრამატული ლიტერატურა, სად ძვეს მისი სათავეები და რთოვარა მისი მომავალი“.

როგორც ვხედავთ, რეპერტუარის ირგვლივ გამართული კამათი საერთოდ ქართული ნაციონალური თეატრის საფუძვლებს შეეხებოდა, რომელიც ამჟამად, ამ წერილის სფეროს სცილდება.

1923-24 წლის სეზონის გამო დაწერილ მ. ხსენებით ბარათში იგი თავის კრედის შემდეგნაირად აყალიბებდა: „თეატრი უნდა იყოს სამჭოთა ხელისუფლების ერთ-ერთი უმძლავრესი ბერეკეტაგანი ფართო მასების აღსაზრდელად, იმ კოლოსალური გავლენის საფუძველზე, რაც აქვს თეატრს საერთოდ და ეროვნულს, განსაკუთრებით, იგი იქნება ახალი ეთიკის გამტარებელი და ახალი ესთეტიკის შემომქმედი საქართველოში“.

სწორედ „ახალი ეთიკისა“ და „ახალი ესთეტიკის“ შემადგენელ ნაწილად მიიჩნდა მას ექსპრესიონისტული დრამატიკა, რომელსაც შეეძლო თეატრის გაშიღრღნება ახალი თეატრალური ხსენებით. მასალობთა შემოქმედებითი სტლის გამრავალფეროვნება და, რაც მთავარია, მებრძოლი სულისკვეთების მძინერი გამოხატვა. მას შემდეგ, რაც რუსთაველის თეატრის სცენაზე განხორციელდა ლოპე დევეას „ცხების წყარო“, ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“, ო. უილიის „სალომეა“ (ს. ახმეტელის რეჟისურა), სინგის „გმირი“ (კ. მარჯანიშვილისა და ს. ახმეტელის რეჟისურა), ე. ტორის „კაიკი-მასა“ და მოლიერის „გააზნაურებული მამიბი“ (ორივე კ. მარჯანიშვილისა და მ. ქორეის რეჟისურით) კ. მარჯანიშვილს მკრეხლობად მიიჩნდა რეპერტუარის შემდგენელ საზოგადოებრივად მნიშვნელოვან პრობლემებს მოყვლებული პიესებით: „ახლა, როცა თეატრის სცენიდან კვლავ აქედრდნენ დიადი, ზოგადკაცობრიული იდეები, როცა წაიშორილა სიცოცხლისა და სიკვდილის, პიროვნებისა და

მასის, კლასებისა და ერების პრობლემები, როცა დიადმა იდეებმა თეატრში ჰპოვეს ბრწყინვალე და ცხოველმოსილი განსხვავება, ჩვენი მწერლები გვაავაზობენ წარსულის თმულევატა სამყაროში გარდასულ ადრულტურულ დრამას...

სწორედ ამგვარ დრამატურგიას ეგებებოდა იგი „ცეცხლისმფრქვევით მხავილით“, რათა თეატრს კარი ფართოდ გაეღო რევოლუციის ეპოქისთვის შესაფერის პრობლემური დრამისათვის... „მსოფლიო ომმა, დიდი ოტობრის რევოლუციამ და ახალმა სულისკვეთებამ, რომლითაც დღეს გამსჭვალულია მთელი მსოფლიო, დაუბრუნეს თეატრს დიდი შემეხობითი მნიშვნელობა და ყოველივეს ის, რაც დღეს აქაბამდე ფეხქვეშ იყო გათლილი, მისი ქმედობა, მისი აქტიურობა, მისი რიტმები... ცეცხლოვანი ცოცხით გამოხვება თეატრმა თავისი კარიბჭიდან ყოველგვარი ეულგარული ფორტრაფიულია...

თეატრში კვლავ ფეოქავს პუსი, იგი სულ იბრუნებს და დღეს იქნება თუ ხვალ ორივე ფეხზე დადგება. ჩვენ აღტყაყურებით ვეგებებით ამ მოვლენებს. ჩვენ ველოდით, წინასწარ გეინარება ამის გამოჩენა, როცა მოეწოდებოდა სცენიდან განგვედგენა ფილისტერობა და შეგვექმნა ცხოველმოსილი სინთეტური თეატრი“.

ამგვარად, თეატრის ქმედითობის, აქტიურობისა და სინთეტური ბუნების აღრძინებისათვის გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა ახალი მიმართულების დრამატურგიას — ექსპრესიონისტულ დრამას, და სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევედგეთ, ცხადია, ამ დრამატურგიისათვის დამახასიათებელი იდეურ-ესთეტიკური შესაღვრისათვის გათვალისწინებით — გ. კაიზერის, ე. ტოლერის სახელების გამოჩენას რუსთაველის თეატრის აფიშაზე. კ. მარჯანიშვილი ერთგვარად ამ ესთეტიკური მიმართულების ყველა ასპექტში და კარგად ხედავდა ამ მიმართულების ორ ფართს შორის არსებულ განსხვავებას, იმ პროგრესულ და რეაქციულ საწყისებს, რომლებიც ამ „რეზის“ ფარგლებში მიმდინარეობდა. ექსპრესიონისტული და სოციალისტური დრამის ცნობილი მკვლევარი კლავს კენდლერი თავის წიგნში „დრამა და კლასობრივი ბრძოლა“ სრულ და ამომწურავ სურათს ხატავს გერმანული სოციალისტური დრამატურგიის განვითარების წინა პერიოდისას და ლოგიკურად უკავშირებს მას ექსპრესიონისტული დრამის „აქტივისტური ფრთის“ წარმომადგენლებს. მარტივლად მიგვჩინა უფრო დაწვრილებით შევეხებით კლავს კენდლერის კონცეფციას, მითუმეტეს, რომ იგი სრულიად ახალ ასპექტებს შეიცავს და რაც ჩვენთვის ერთობ საინტერესოა, ნათლად უკავშირდება კ. მარჯანიშვილის მიერ განხორციელებული სპექტაკლების „ბურჰ-მასა“ და, განსაკუთრებით „პოპოლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ ძირითად ტენდენციას. კენდლერის აზრით, საზოგადოების პრინციპული განახლების მოთხოვნა მხოლოდ რამდენიმე ექსპრესიონისტულ დრამაშია რეალიზებული. მაგრამ მათი შემქმნელები ბურჰუაზიული იდეოლოგიაში ჩაეფლნენ. ნაცვლად რეალური ისტორიული პერსპექტივისა, ისინი გვაავაზობენ სუბიექტიური იდეალისტურ უტოპიას. მაგრამ ისინი უარყოფენ იმ აზრს, რომ ძველი ბურჰუაზიული წყობის გაუმჯობესება მხოლოდ რეფორმათა მეშვეობითაა შესაძლებელი. ამ ისტორიულ და იდეოლოგიურ ასპექტებში ამგვარი ნაწარმოებები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სოციალისტური დრამატურგიის წინა-

მძღვრები (წინარე ისტორიის), გერმანიაში ამ პიესის ზოგიერთი ავტორი შემდგომ სოციალისტური ფრანკურულ შემქმნელთა როლიში მოგვევლინა. ანალიტიკურ სურათს ვუდავთ ჩვენ მუსიკასა და პლასტიკურ ხელოვნებაში, სადაც ასევე არ არის შენიშნული მონოლოზობა. მან. ცხობილი მხატვრების ოტო დიკისა და გეორგ გროსის შემოქმედება „იქცა რევოლუციური ეპოქის ექვად და გარკვეული თვალსაზრისით მან ჭეშმარიტად რევოლუციური რეალიზმის ხაზში შეიძინა“.

მაგრამ დაგებურნდეთ თეატრსა და დრამატურგიას, და მათთან დაკავშირებით, კ. კენდლერის კონცეფციას, რომლის მიხედვით ვ. ბერლახის, რ. ზორგის, გ. კაიზერის, ვ. პაუნე-კლევერის პიესები ექსპრესიონისტული დრამატურგიის განვითარებას აღნიშნავენ, ვითარცა ჯანრის იდეა“ და „ტრუქტურის განვითარების სპეციფიკურ ფაზას. ნატურალიზმის სცენადგება მიმდინარეობის საპირისპიროდ ლიტერატურულ პოოცესებში ახალი ეტაპი გამოიკვეთა. იმ ავითო: ნათლად გ. ხვდა, რომ ეს დრამატურგია — არა უბრალოდ დანაშატი სხვადასხვა პოსტნატურალისტური მიმდინარეობის, თუნდაც ისეთი როგორც იყო იმპრესიონიზმი, ნეორომანტიზმი ანდა ნეოკლასიციზმი, რომელთაც დრამაში ჰპოვეს ასახვა. ამას ადასტურებდა როგორც გაქაჩება და ინტენსიობა ახალი მოძრაობისა, ასევე ეპოქათა ცვალებადობის კონცეფციის ანუ პრინციპული განახლება ადამიანური ურთიერთობისა, რომელიც პირველხანებში ამ პიესების არსებითი ელემენტი იყო, მიუხედავად მათ შორის არსებული სტრუქტურული ცვლილებებისა. ეს მსგავსება სათავის იღებდა ერთნაირ ძირითად განცდებში, გრანდიოზულ სოციალურ კატასტროფათა წინათგრძნობაში. თვით საზოგადოების ცხოვრებაში ობიექტურად მწიფდებოდა ძირეული, გადამწყვეტ გარდაქმნათა მომენტი.

„ექსპრესიონისტული დრამატურგია ცდილობდა მისადაგებობა ამ სიტუაციას, კერძო ჰგემონის როლი“.

კონკურენცია, — განაგებობს თავის მოსაზრებათა დასაბუთებას კენდლერი, — რომლის პრობლემა ინდივიდუალიზმში, ადგილის უთმობს ძალადობაზე დამყარებული მონოპოლიის ბატონობას. ინდივიდუალიზმში, რომელსაც აქამდე თავი თავისუფლად მიაჩნდა, მისდა შემუშინველად, გრძობის რაღაც ადამიანური ძალების დაწოლა. იმპერიალიზმის ეპოქაში გადასვლისას უფრო და უფრო საცნაური ხდება გაუცხოება (არ აფერხობს ბერტრანს „გაუცხოების ევგენიკა“ ნ. გ.), კაპიტალისტური წარმოების ეს ფენომენი. იქმნება გაუცხოების ლიტერატურა, რომელთაც ამ მოვლენათა არის ასხნა იდეოლოგიური თვალსაზრისით არ შეუძლიათ. ექსპრესიონიზმის ანტიბურჰუაზიული, ანტიკაპიტალისტური ოპონიკია, პირველხანებში გამოდის ინდივიდუალის სავნად ქვევის წინააღმდეგ. აბიტოპს შემთხვევითი არ არის, რომ ექსპრესიონიზმში, განსხვავებით ნეორომანტიზმიდან, წამყვანი ადგილი დრამას უჭირავს. წამოყენებული იქნა მოთხოვნა იმისა, რომ კვლავ საბრძოლო პოლიციები დაგვიარა, გაემიშვებინათ წინააღმდეგობანი და კოზიდასები, თქმცადა, პირველხანებში პიროვნების თავისუფლების ბურჰუაზიული იდეალის ლოზუნგი. ექსპრესიონიზმში ბურჰუაზიულმა ინდივიდუმა ამოხეხა მოაწყო თავისი უკანასკნელი თავშესაფარის — პირადი ნების თავისუფლების შეგრძნების უფლების დასაცავად. მან უსახო გაუპირივნებელი საზოგა-



დობრივი ძალების საპირისპიროდ მიმართა უკმაყოფილება, ინდივიდუალურ შესაძლებლობათა შეზღუდვით გამოყვეული. ეს არ იყო მარტოოდენ კრიტიკული პოზიციის განხატვა და ამ გამოარღვბი არ მიიარღვბიდა იგი. ის გადაიტვა დრამატურგის ძირითად ბირთვად, დრამატურგისა, რომელიც ცდილობდა იმეგარი მსატრუელი სახეების შექმნას, დახატვას იმეგარი გმრებისა, რომელთაც ძალედვით ამ მდგომარეობიდან გამოსავლის პოვნა. ეს იყო პროტესტი, დაცილებული რეალურ ცოდნას და შეფასებას ისტორიული პრაციებისა, რომელთა წინააღმდეგ იყო სწორედ მიმართული. მიუხედავად წარსულის რომანტიკული, შარავანდედისავე ხშირი მოხედვისა, ამ პროტესტის აზრი მდგომარეობდა იმაში, რომ იგი აყენებდა ძველი საზოგადოებრივი წეს-წყობილების შეცვლას ადამიანთა ახალი ერთობით, რაც უნდა შექმნა ხელახლა განთავისუფლებულ იდეალებს. განსაზღვრული იდეური წინამძღვრების არსებობა იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ გარკვეული კავშირი დამყარებულეიყო პროტესტის განხატვის გაწმართვის უფლებებზე ბრძოლისათვის (ხაზი ჩემია, ნ. გ.), რომელიც აგრეთვე მიმართული იყო ძველი საზოგადოების დამშობობაკენ. ზოგიერთმა ექსპრესიონისტმა დრამატურგმა ეს პროტესტი აიღო როგორც ფორმა ახალი საზოგადოებრივი წყობის მატარებელი ადამიანის განახლების მოთხოვნისა. ადამიანმა უნდა შეიცნოს თავისი თავი და არ იქონიოს იმედი რაღაც ზეადამიანური ძალებისა, მან უნდა იცხოვროს საკუთარი განთავისუფლებისათვის და არ დაემორჩილოს თავს მოხვეულ წესწყობილებას. ამ ძირითადმა თვისებამ (უეჭველად იდეალისტური) ევროპული თეატრის განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა.

ექსპრესიონიზმის კავშირი სოციალისტურ ლიტერატურასთან შეიძლება დაავადგინოთ მსოფლმხედველობრივი საკითხების პრინციპული გამოარკვევით, რომელთა შორის უმთავრესია საკითხი ისტორიულ-საზოგადოებრივი განვითარებისა. აქ უნდა დაიღიოს ექსპრესიონიზმის ძირითადი პოზიციები, საყარის მისეული სუბიექტურ-იდეალისტური ახსნა, უკიდურესი ინდივიდუალიზმი და, ამავე დროს, მიონახის და განვითარდეს მისი მეორე ძირითადი იდეა — ადამიანის ღირსებათა დაცვა ანუ დაცვა ჰუმანიზმის იდეისა. ისტორიულ-ლიტერატურულ პროცესში, ხელახალი გაანგრების პროცესის მთავარი როლი უტარავს დრამაში. არსად ისეთი ინტენსივობით არ წარმოებს ბრძოლა ერთ-ერთ მთავარ ფიგურაში განსხვავებულ ახალი ადამიანის გაგების ფორმული იდეისათვის — როგორც დრამაში. თავის მიმოხილვით სტატიკაში ფრიდრიკ ვოლფი „თანამედროვე თეატრი გერმანიაში“ დრამის განვითარების ორ პოლუსს საზღვრავს — „ექსპრესიონისტულ-პაციფისტური დრამიდან 1914-1934 წლების ეპიურ-პოლიტიკურ თეატრამდე“ ავტორი გვიჩვენებს თანდათანობით თუ როგორ გარდაიქმნებოდა ექსპრესიონისტული საზოგადოებრივი და მეთოდები და როგორ აითვისებოდა ახალი წინაარსი და, ამასთან, ახალი სტრუქტურა:

«Человек терзаемый страшной мукой, закричал. Истязаемый взмолен на кафедру. Изуродованный стал произносить проповедь. Судорожная поза защиты — при полном непонимании причин и целей испытываемых людьми страданиях — породила в театре драматургию, напоминавшую трагедию рока.

Художники возлаз или все надежды на истерзанного человека, который «добр». Теперь театр по-

дошел к тому, чтобы назвать своими именами, причём именами людей, те «тайные силы», которые управляют человеком, и показать, что «тайные силы» есть лишь спрятано.

Было установлено, что среда, экономика, судьба, война, право — все это практика осуществляемая людьми, и людьми же она может быть изменена. Тёмные силы исчезли в театре, как исчезли они в науке. Люди стали выступать как активно действующая сила в понятных и обозримых ситуациях»¹¹.

მაგრამ აზროვნების ბურჟუაზიული სტანდარტები, — განაგრძობს ავტორი, — საზოგადოება არ აძლევდათ ექსპრესიონისტებს ამოცნობით ძირეულ წინააღმდეგობათა რეალური საზოგადოებრივი ფორმები და თვალბოლოები გაეხადათ ისინი. მათ ძირითად და დამოუკიდებელ ამოცანად დაისახება ეპოქათა ძირეული ცვლილებათა პრობლემა და ამით ამ დრამატურგებმა ნატურალიზმთან შედარებით არსებითი ხასიათის უპირატესობა მოიპოვა, ასევე წააჭარბა კრიტიკული რეალიზმის დრამატურგისაც. მაგრამ, რაკი ახალი ეპოქის წინათგრძობა გამოხატვა მარტოდენ უტოპიურ-აბსტრაქტულად და ირრაციონალურ პოსტულატებში, ექსპრესიონიზმი ჩამორჩა მათ რეალური სამყაროს ობიექტურად გამოცემის საკმეში. მართალია, ექსპრესიონისტული დრამატურგია პრეტენზიას არ აცხადებდა თანამედროვეობის ასახვას და მონაველისაკენ მიაკრობდა მცურას, რათა უკეთ ერეებოდა ახალი ადამიანი (ხაზი ჩემია, ნ. გ.) და სწორედ ამის გამო ექსპრესიონისტულ დრამას დედმივე ემუქრებოდა საზოგადოებრივი რეალიზმის განდგომის საშიშროება. ექსპრესიონისტული დრამატურგია, როგორც სოციალისტური დრამატურგის წინაურ ეტაპი, მხოლოდ იმ მომენტებშია განმარტლებული, როცა იგი ასახავს საზოგადოების რეალური განვითარების სურათს და უტოპიას არ განიხილავს, ვითარცა თეიმონიზმს. ექსპრესიონიზმში იმთავითვე გამოიყვება ეს ორი მიმართულება — ერთმა იგი მიიყვანა ჰუმანიტური პოზიციების უარყოფამდე, მეორემ — რევოლუციურ-პროტესტულ დრამამდე და თეატრამდე, ანუ ახალი ტიპის დრამამდე, რომელმაც შეიწინა თავისი დანიშნულება საზოგადოებრივი კონფლიქტთა დაძლევის საკმეში. ექსპრესიონისტული ლიტერატურის ძირითადი კონცეფცია, რომ ტექნიკაში, მანიერიაში ადამიანთა უზარმაზარ მსახვს მოუყარა თავი და ამავე დროს განაპირობა მათი ურთიერთგაიშვივა, უმდასხვავა განვითარებული ექსპრესიონისტულ დრამაში. მასამ შესვალა ერთობა, ექსპრესიურ-კონომიურმა ურთიერთობამ ადამიანთა ურთიერთობის ადგილი დაიკავა. მანკანის მიერ ნაკარნახევმა და განსაზღვრულმა შემეუბლებობის დეტონიზმმა შეცვალა შემოქმედებითა შრომა. ერთეულმა დაკარგა მთლიანობის გრძობა როგორც შრომაში, ასევე ცხოვრებაში. ყველაფერი მზალი მიუხედის ტექნიკას, რომლის მიმღწევი არ შევსაბამება ადამიანთა ურთიერთობებს. ტექნიკის დემონი თავს დასტრიალებს ადამიანს. თანამედროვე ტექნიკის მიღწევი არ განიხილება როგორც ადამიანის შემოქმედებითი ცხოვრების გამოვლების აქტი. იგი არის ძალა, რომელმაც უკვე, რახანია, დამოუკიდებლობა მოიპოვა და აღარ ემორჩილება ადამიანს. ადამიანის მიერ ცხოვრებაში ეპიკომობილი ეს ტექნიკა მისთვის გადაუღებია ჯუბირად ექცა და მისგან თავის დახსნა შესაძლებელია მარტოდენ უფრო მაღალი სულიერი ყოფიერებით, რომელიც შეს-

ძლებს ამ ტენიკის დამორჩილებას. აქ ჩნდება მთავარი აღ-
ტერნატივა „ახალი ადამიანისა“, რომელიც ამაღლებულია
უსახო მასაზე, თავისი ინდივიდუალობით და „ექსპონენტული“
სიძლიერით. გ. კაიზერის პიესაში იკვლავ მოქალაქის „ქალაქ კა-
ლეს გადარჩენის ისტორია განიხილება როგორც ობიექტ-
ახალი ადამიანის იდეის დემონსტრაციისა.

„ახალი ადამიანი“ მაშინ ჩნდება, როცა ინდივიდი სუ-
ლიერ ფასეულობათათვის ყველა მატერიალურ ფასეულობა-
ზე უარს ამბობს.¹²

განტიკიებული იდეოლოგიური წინამძღვრებისადმი წი-
ნაბედნედად, უცხო ძალებისადმი და არსებულ საზოგადო-
ებრივ წესწესობების ნორმების მიერ ინდივიდუმი და-
მორჩილების წინააღმდეგ გალაშქრება ექსპრესიონისტულ
დრამაში — კენდლერის ზრთით — დებულობს ადამიანური
თანაბრების გარეგნული წინამძღვრების უარყოფის ფორ-
მას, ასევე „ახალი ადამიანის“ სუბიექტურად კონსტრუირე-
ბული ნების თავისუფლების და მოქმედების პოსტულირებ-
სა. იგი თავისუფლებას გაბატონებული სინამდვილისაგან
და განაღობებს თავის საკუთარ კანონს „კავშირობის“ მი-
დგომისა. თუმცა, ეს უარყოფა ინტეგრირებულია სოციალუ-
რი სინამდვილისაგან საერთო უარყოფაში. იგნორირებულია
რეალური კავშირები, ჩნდება დრამის ექსპრესიონისტული
გმირი, რომელიც უნაპირი სუბიექტივობისა გადაგარდნილი.
ამაში თანამედროვენი ხედავდნენ ნატურალისტური დე-
ტერმინიზმის უარყოფას და დრამატული გმირის ნეტელმის
თავისუფლებას გაველნას:

«Противоположным моментом было также и то, что
драматический герой перестал быть зависимым от
среды, наследственности, влечений и т. д., что сде-
лало возможным активную реакцию зрителя на сцен-
ические события. Последовательно проводимый на-
турализм в драме при всем социальном обличении
— вызывал главным образом сострадание. Этот же
прогресс был достигнут ценой радикальной утраты
реальности. Последовательный идеализм и философ-
ский субъективизм привели к исчезновению всех со-
циальных предпосылок человека и допустили лишь
дифференциацию по степени эстетической ответст-
венности, этического сознания. На место обусловлен-
ности внешними факторами пришла псевдоальтер-
натива человека и массы»¹³.

განდნენ ახალი დამოკიდებულებანი, რომლებიც ობიექ-
ტურ საგანთა სამყაროში კი არ იყო საძიებელი, არამედ
თვით სუბიექტში. ეს დამოკიდებულებანი არ ემორჩილებო-
დნენ რაციონალურ განსაზღვრებას, იხიან აღიქვებთან რო-
გორც შინაგან და მარადიული კანონები ადამიანთა მოდ-
დებისა, რაც ვლინდება ინდივიდუუმში, „ახალ ადამიანში“.

„დრამას უნდა მოეცა მაგალითი იმისა, თუ როგორი ცხო-
ვრებაა საჭირო, უნდა წარმოჩინა იდეალი. დრამა იქცე-
ბრატებად თემაზე „ახალი ადამიანი“.¹⁴

ეს „ახალი ადამიანი“, როგორც სულიერი იდეალი, „ძვე-
ლი ადამიანის“ უარყოფაა. როგორც კი რწმუნდება, რომ
არსებული წყობილება ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ინ-
დივიდუალურ თავისუფლებას, იგი ეთიშება ამ ახალ სა-
ზოგადოებას. მაგრამ ეს „ახალი ადამიანი“ — უარყოფე-
ლი ძქვლისა, არ არის შექმნილი ახალი სინამდვილის. ამი-
ტომაც ამბობდა ბ. ბრეჰტი — თუცა ადამიანის თავისუფ-
ლება გამოცხადებულია, მაგრამ არ არის განხორციელებუ-
ლი. მასაგეროდ, მასში არის რეალიზებული სინამდვილის

უარყოფელი ადამიანის სურათი. არსებული სინამდვილის
უარყოფა დაკავშირებულია საზოგადოებრივ ცენტრში
ადამიანის ღირსების შესახებ პირობების შექმნის იდეა-
თან.

ცხადია, რუსთაველის თეატრის ხელმძღვანელს, კ მარ-
ჯანიშვილს ქართული საბჭოთა თეატრის განვითარების ამ
მეტაზე არ შეეძლო ყურადღება არ მიემქნა როგორც დრა-
მის ახალი რეჟისტორებისათვის, ისე ამ „ახალი ადამიანის“
იდეისათვის, რადგან ფიქრობდა, რომ სანამ არ ჰქონდა
„ახალი საბჭოთა ადამიანის“ სენური პროტოტიპის შექმნი-
შესაძლებლობა, მანამდე, ერთგვარად მომეზადებინა მიახ-
ლოებით მოდელი მაინც. რეჟისორი პ. პატარაძე ხეობდა და-
სახელებულ შრომაში სამართლიანად შენიშვნას: „კომე-
დიაში მარჯანიშვილის უდღესი შემოქმედებითი ნიჭი, სწორი აღ-
ლო იმპაზი გამოიხატა, რომ პესნიისტური, მისტიკური ში-
ნარის პიესებს, რეჟოლუციური სულისკმით აცვსებდა,
რომელიც მაყურებელს მხნეობას და ბრძოლის სურვილს
უნერგავდა.“¹⁵ ამის მიღწევა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში
იყო შესაძლებელი, თუ რეჟისორმა დრამად ჩასწვდომო-
ბა: ექსპრესიონისტული დრამის ყველაზე პირველად — ზოგ-
ჯერ მართლად მინიშნებულ მოტივებს და რელიეფურად გა-
მოჰყვეთა მას. ექსპრესიონისტული პიესის რეჟოლუციური
პოეტიკით საუბრე სპექტაკლად გარდაქმნის მაგალითია ე ტო-
ლერის „კაცი-მასა“, რომლის კორექტირებამ არსებითად
შესცვალა სცენაზე წარმოდგენილი პიესის ხასიათი. აღსანი-
შნავია ის გარემოება, რომ კ. მარჯანიშვილს ექსპრესიონიზ-
მის თაობაზე, ორჯერ ჰქონდა საუბარი დასთან ერთხელ
სეზონის დასაწყისში, როცა განსაზღვრა თეატრის სარეჟე-
რტული პოლიტიკა და მეორეჯერ, უშუალოდ რეპეტიციე-
ბის დროს სუბიექტში. ამ მეორე საუბარში მან ფაქტურად გა-
ნუშარტა დას და პიესის დამდგმელს მ. ქორევის ექსპრე-
სიონიზმის ძირითადი თავისებურებანი და ამ პიესის დადგ-
მის, სპექტაკლის იდეური მიმართულება. ასევე მისი აქტუ-
რი ჩარევის შედეგად შეიქმნა კონსტრუქტული სცენაროგრაფია
(მხატვარი ზდანვიტი), რომელიც თავის თავში ატარებდა
ექსპრესიონისტული მხატვრობის ძირითად ტენდენციას და
ამავ დროს ეფარდებოდა მოქმედებას — განსაზღვრებდა პირ-
ველი ვარიანტისაგან, სადაც მხოლოდ წმინდა ახატარტუ-
ლი, ტქილი ფორმები იყო წარმოდგენილი, თავის თავში
„ჩაქეტილი“ და დამოუკიდებელი. აქვე, არ შემიძლია არ
აღვნიშნო საინტერესო პარალელი. ზვეით უკვე თქვი, რომ
რეჟოლუციის თეატრში ეს. მეორეხარისხის, ამ თეატრის სამ-
ხატვრო ხელმძღვანელს, არცერთი ექსპრესიონისტული პიე-
სა არ დაღვამა, მაგრამ იგი შორიდან როდი უშურდა. იმას,
რაც სცენაზე ხდებოდა:

„რეჟოლუციის თეატრი, რომელსაც მეორეხარისხის ხელმ-
ძღვანელობდა, იყო რა გატაცებული ექსპრესიონისტული
დრამით, თავისებურად იაზრებდა მას, ახალი იდეურ აქცე-
ნტებს სვამდა მასში. განსაკუთრებით რადიკალური იყო რე-
ჟისორის ჩარევა. ე. ტოლერის პიესა-ორატორია „კაცი —
მასას“ მხატვრულ-თემატიკურ ქსოვილიში.“¹⁶

როგორც ვნახეთ, ასევე რადიკალურად ჩაერია კ. მარჯ-
ანიშვილიც ამავე პიესის ინტერპრეტაციის რუსთაველის
თეატრის სცენაზე, რადგან მან კატეგორიულად არ მიიღო
მ. ქორევის დადგმის საერთო განხორციელება და სულისკმით
სპექტაკლის პირველსავე სცენაში განსაზღვრა მან იდეუ-

რი მიზანდასახულება და აზრობრივი აქცენტები. პირველ სურათში ნაჩვენებია, თუ როგორ ემზადებინა მუშები გაფიცვისათვის, აქვეა ქალი. მუშებისა და ქალის სურათი მიიღობა დაბალ ტონებში, „კონსპირატული“ საერთოცვაში. რიტმი იყო შენეებული, თითქმის სტატიური. რაღაც იდუმალი, მისტიკური ელფური გადაკვადაკვა ყოველივეს. მან გამიჩინა ქალი და მუშების მასა: — ქალისათვის („ახალი ადამიანი“) გაფიცვა, უსისხლო ბრძოლა, მიზანია, მუშებისათვის კი საშუალებაა ახალი ბრძოლებისათვის, — განუმარტა მან მსახიობებს. ეს დიფერენციაცია, პოსიციითა განთიშვა, კონტრასტი დაულო საფუძვლად კ. მარჯანიშვილმა შეიძლება სცენასაც. იგი მოითხოვდა რევოლუციურ და არა ე.წ. „სამიტინგო“ პათოსს. ასევე დაარღვია მან ქალისა და მისი მეტელის ურთიერთობა ქსოვილი, ჩ.მ.პ.ცელა და მისი ინტინური საბურთალები და მათ კამათს საფუძვლად დაუდო არა ოჯახური უპიზნობა (ქმარი ცოლს არ ანებებს რევოლუციურ საქმეში მონაწილეობას, ეს მთავრობის დღაბატია), არამედ მოსოლმედველფერებიც, იდეოლოგიური კონფლიქტი. არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მესამე სურათის სცენური გადაწყვეტას, რადგან აქ ძირითადი კონფლიქტი იკვეთებოდა. ის რიტორიკა, ზოგადი, აბსტრაქტული ხასიათი, რითაც გამსჭვალულია პიესის ეს სურათი — უკვე ქურნადღვებოდა კ. მარჯანიშვილას მიერ დადგმულ პირველ სურათს — სადაც ცოცხალი რევოლუციური სული ბობოქრობდა. მ. ქორელს კი ეს სცენა სწორედ ე. ტოლუის რიტორიკის შესაბამისად, „ბუკალურად“ ჰქონდა გადმოდებოდა. („ასეთი მიდგომით, — ამბობდა კ. მარჯანიშვილი, — თქვენ რევოლუციურ ჩირაღდანს კი არ დაანთებთ, არამედ დანაბულს ჩააქრობთ. ამ დიადი მზადების დროს თქვენ მჯავლობთ ისე, თითქოს საყოველღეო, უბრალო საკითხების გადაწყვეტა გინდათ“). ამ სურათში ურთიერთის უპირისპირდება მასა და ადამიანი, მასის წარმომადგენელია — უსახელო და ადამიანობის განსახიზება — ქალი. ქალზე ბრძოლას მოითხოვს, მაგრამ მისი რადიკალიზმი შეზღუდულია, უსახელო კი მაქსიმალისტია, მხოლოდ ბრძოლით, იარაღით შეიძლება მონობისაგან თავდასხსნა. ამ კონფლიქტის მნიშვნელობა, მისი მასშტაბი მხოლოდ უსახელოსა და ქალის პირად შეხვედრებათა შეუსაბამობაში ელნიდება, მაშინ როცა კ. მარჯანიშვილს სურდა ამოქმედებული მასების სურათი დაეხატა. მან გაარღვია „ოთახის“ მასშტაბები, გახსნა საზღვრები, იგრძნო უსახელოს მიღმა მდგარი მასების საერთო ინტეგრაცია და სულისკვეთება.

„ეს პიესა ჩვენ ქართული ბუნებით, ქართული ტემპერამენტით, ქართული ვენებათა ღვლავით უნდა განვსახიზებოთ. ამისათვის ყველა პირობა მოცემულია. აქ მასა მთავარი მოქმედი ყველა, მასა, რომელიც ქმნის — ის შეუპოვარია, მისთვის მისაღებია ბრძოლის ყოველგვარი საშუალება და თუ მის წინ დგას ადამიანი-ქალი, მას უფლება აქვს გასთხოვოს ადამიანი-პიროვნება მიზნის მისაღწევად, თქმცა, როგორც უსახელოს, ისე ქალს, მასა ორივე უყვარს, ორივე მისთვის იბრძვის, მაგრამ გზებია სხვადასხვა, მასამ უნდა დაამარცხოვოს ქალი, რომელიც წვრილბურთუაზილი იდეოლოგიის წარმომადგენელია, რომელსაც, უნებლით, შევდომილ ვახსიან უნდა გაიჭრას ბრძოლის ველზე“¹⁷ — უხსნაღა იგი მსახიობებს. კ. მარჯანიშვილმა მნიშვნელოვანი ეკაპოური გაკავთა ამ სცენისა, სადაც მასა მუშებდა და გლუხებად

იყო დაყოფილი (მუშები ქარხნებისა და იარაღის მხსნისკენ მოიხიფდნენ, გლუხები — მიწას). მან საერთოქალაქული კვებობას, საერთო მისწრაფებას დაუმორჩილა მასა (სტრუქტურას) ერთნაირად სააკვა, მხოლოდ ქალი შემოსა ძაძებით, — ამით მის პიროვნულ, შინაგან ტრაგიკულ ტყვიელგზუ, ინდივიდუალურ განდევნულ მიუთითა. რევისორმა ამ მისისგან გამოკვეთა მკვეფური გრეფური კომპოზიციები, პლასტიკურად ამტყველებულმა ნიზანსცენებმა, რომლებიც გამოხატავდნენ ერთი მიზნით გამსჭვალული ადამიანების ერთიანობას, მის შემჯიდროვებას, შესცვალეს მაღაფარდოვანი რიტორიკა, თუ სურათის დასაწყისში ქალსა და მასას შორის წინააღდეგობა პუნქტირით იყო მხოლოდ მინიშნებული და მათი სცენაზე ყოფნა გარეგნულად ერთიანობას ამტკიცებდა — უსახელოს გრიგალისებური შესწორების შემდეგ (ქალის როლს ასრულებდა ნ. ჩხეიძე, უსახელოს — ა. ხორავა) მასის განლაგება, მისი დინამიზმი უაღრესად მეტყველ სურათს ქმნიდა. უსახელო მეზნებრედ მოუწოდება მასას ბრძოლისკენ, იარაღისკენ (აქ კ. მარჯანიშვილმა თვით მასას, მისცა რეღვია — „იარაღი იარაღი“), მის სტყვებში შთაგონება და შინაგანი რწმენა სტვიოდა.) სწორედ ამ სცენის რეგეტიციოდან თქვა კ. მარჯანიშვილმა ძალიან საუკუნისმხო ფრზა: „თუ შენ არ იცი არის ამბობ, როგორ შეგიძლია აზროვნო ან იმოქმედო, როგორ შეგიძლიან შემოქმედებას სწორად მიმართო. შეშეცნება — ეს არის ტექსტი, დრამატურუბა, ქვეშეშეცნება კი — ჩემი მიხედვრად, ჩემი აზრი, ჩემი თრობურა, ჩემი შემოქმედებითი უღლვა. შეიძლება ეს ინდივიდუალური იყვეს...“ ნახა, ერთბაშად შეიცვლიდა სახეს, კომპოზიცია წამიერად სხვა რაკურსში ინახებოდა — მასა მისი იბრუნებადა ქალისაგან და თავის წაღში ორგანულად შეხსლხხორცებადა უსახელოს, როგორც თავის შვილს, როგორც თავის სანუკვარ ოცნებათა და ფიქრთა გამომხატველს. ეს მასა ახლა შემტვე, მოუთხოვნავ ძალად გადაიქცა. ამ ორი სურათის მაგალითზე სასცენოდ ნათლად ჩანს კოტე მარჯანიშვილის იდეურ-მხატვრული ჩანაფერის კონსტრუქციული ხასიათი, სასცენით თანამედროვე და ორგანული ხედვა ნაწარმოებისა.

უფრო რადიკალური და ძირფესვიანი გარდაქმნა მოხდინა მან მომდევნო სცენებშიც. კერძოდ, მ. ქორელს ამ სურათს, სადაც გამარჯვებული მუშები არიან თავმოყრილინი (ქარხნის ეზო) აგებდა მისტიკური, განწირულ სულისკვეთებაზე, რომელზეც ემზინება გრიგის „სიკვდილის ცეცხლი“. აქ მუშები მონუსხულებითი იქვედნენ, ახლანდელი გამარჯვებით გამოწვეული სასიხარულო განწყობილების ნაცვლად, ისინი თითქოს მოსალოდნელი დამარცხების მიზით იყვნენ გათავსებული. მათი სიმღერა უმაღლესად იყო განწირული ადამიანებისა, ვიდრე უსული ჩამდგარი სიხარულის გაზოხატულება. ამას კიდევ უფრო ამბაფრებდა ჩონჩხების მისტიკური ცეცხა. კ. მარჯანიშვილმა, მართალია, დასტოვა „სიკვდილის ცეცხლი“, მაგრამ სულ სხვა აზრად და პლასტიკური გამომხატველობა მიანიჭა მას. უპირველესად, უკუაგრო სიკვდილის წინასწარ შეგრძნების განწყობილებად და სიციხლითა და ხალისით აავსო მუშათა სახეები და მათი მოქმედება. მუშები მერობდნენ და ილენებდნენ, ხმას აყოლებდნენ ხალისიან ბავარულ მღეროდის. გამარჯვებამ ისინი სიამყისია და ოპტიმიზმით აავსო. დღეს არაიენ არ ფერტობს სიციხლზე. სასიკვდილოდ განწირულნი სხვანი არიან. სურა-

თის დასასრულს შემოაკავებთ მუშების მოწინააღმდეგენი, ახლა ტყვედგარდნდინი. აი, ესენი აცეკვა კ. მარჯანიშვილმა გრიგის „სიკვილის ცეკვის“ მელიოდებზე და, ამგვარად, აბსოლუტურად შემოატრიალა მთელ სცენის აზრი — მუშები კი არ არიან მოსალოდნელი სიკვდილის მისტიკური შიშით შეპყრობილები (როგორც ეს ე. ტოლერთან და რეისორ მ. ქორელოთან იყო), არამედ მათი მოწინააღმდეგეები. ჭეშმარიტად რევოლუციურა მათიგანით ავასოს მას მუშების დამარცხების სცენა. თუ, პიესის მიხედვით, მებრძოლთა შტაბში ძირითადი კამათი მიმდინარეობდა უსახელოსა და ქალს შორის, და კამათის დასასრულს მთავრობის ჯარები იმარჯვებდნენ, მიიწვევდნენ შტაბისაკენ, აპატიმრებდნენ ქალს. (უსახელო სადაც უწინარდებოდა) — რაც სრული დამარცხების ნიშანი იყო, კოტე მარჯანიშვილი დადებითად ეს სცენაც სულ სხვაგვარად გამოყურებოდა — აქ მთავარი გახდა არა კამათი ქალსა და უსახელოს შორის, არამედ უსახელოსი (მასების მეთაურის) და მასის ბრძოლა მთავრობის ჯარების წინააღმდეგ, უსახელო ამ სცენის ბოლოს კი არ გარბოდა, არამედ მუშებით გარემორტყმული რჩეობდა შტაბში. ჯარებმა დააქციეს ბარიკადები, შემოანგრეს კარები და შტაბში შემოიჭრნენ. უსახელო, ეს მამაცი და მოხდენილი ჭაბუკი, რომლის ყოველ მოძრაობაში ენერჯია და რწმენა სჭეოდა, მაღალ საფეხურზე აიჭრებოდა, მას მუშები მიყვებოდნენ, შემოეჯარებოდნენ და ცოცხალ ბარიკადს ქმნიდნენ. ერთ წაშის ეს ჯგუფი, მოლოდინით და მრისხანებით გამსჭვალული, მტკიცედ შერკული, გაბრძნული, უკიდურესად დაძაბული იდგა. შემოჭრილი ოფიცერს უსახელო ტყვიას დაახლიდა და ძირს დასცემდა. ცოცხალი პირამიდის თავში მოქცეული უსახელოს ხელში, როგორც მოულოდნელად აგარდნილი ალი, წითელი ალამი აბრიალებოდა, რაც მასში საყოველთაო ალტაქცია იწვევდა. ამ ალტაქცეას აგვირგვინებდა „ინტერნაციონალის“ მჭკვარე მელიოდი. მასა მღეროდა, ერთ მუხტად შერკული ეგებობდა მტერს — იგი ვერ დაამარცხეს, ვერ დათრუნეს, ვერ გატყუეს სულიერად. ამავე რეპეტაციას კოტე მარჯანიშვილი, რომელსაც არ მოსწონდა უსახელოს გაქრობის სცენა — შემდეგნაირად მიმართავდა სპექტაკლში მიზანწილ მსახიობებს: „რევოლუციამ დაამალა და გაპარვა არ იცის. რევოლუცია რომ იგალობა, რომელიც წარხვევს, აღმოფხვრის იმას, რაც მას შეებრძოლებას“. 18 მართლაც, გრიგალი დაატრიალა კ. მარჯანიშვილმა ამ სცენაში, სადაც ასე ნათლად, პლასტიკურად იყო განხლებული ბრძოლის, მოქმედების, ერთიანობის, უძლეველობის რწმენის იდეა. არსებითად ეს შეიძლება: და სპექტაკლის ფინალი ყოფილიყო, მაგრამ ექსპრესიონისტული პიესის კონსტრუქცია აქ არ მთავარდებოდა, იგი ეწყვებოდა დაბლა, განწირულებისა და უიმედობისაკენ, რომელსაც მთელი თავისი არსით ებრძოდა კ. მარჯანიშვილი და ცდილობდა ყოველი დეტალი რევოლუციური სულისკეთების გამოსატვისათვის გაეზარდა და მასშტაბურად წარმოედგინა, რევოლუციური ბრძოლის საერთო სურათის შესაქმნელად.

ნათელია, რომ კ. მარჯანიშვილმა მსოფლმხედველობრივად გააღრმავა და გაამდიდრა პიესა, ახალი, თანამედროვეობით განსაზღვრული კონცეფცია დაუდო საფუძვლად. „ახალი ადამიანი“ (ქალის) აბსტრაქტული სახე, ატორის ჩანაფიქრი მასაც ამადლებული, იდეალური, უფრო ადა-

მიანური და ქმედითი გახდა, მაგრამ მთავარი სხვაა. მან ფაქტურად უსახელო აქცია ჩვენი დროის შესაფერისი ადამიანად, ხოლო მასა ცოცხალ, აზრთან, დინამიკურ, სწრაფ აზრით და გრძობით მღეროლ კოლექტივად. მასობრივი სცენების ამ გააზრებით, როცა მასის წინამძღოლი (უსახელო) და თვით მასა ერთიანი მოქმედებითა შედუღებული, როცა ერთი გამოსატყავს აზრსა და საერთო, მოქმედებას, შემდეგში საფუძვლად დაედო რუსთაველის თეატრის მრავალ უნიშვნელოვანეს დადგმას. მიუხედავად ერთგვარი გადავარდნისა, რააც რეჟისორმა პატარაძემ იქნენ ამ სპექტაკლის შეფასებისას, არსებითად სწორად უნდა მივინიშოთ მისი მოქმედი მოსაზრება.

„აკაცა-მასა“ კი თეატრის მომავალი განვითარებისათვის დიდნიშნელოვანი წარმოდგენა იყო — ეპოქალური, თურუსთაველის თეატრის სცენაში თავის ახალსა და არაჩვეულებრივი მასიური სცენებით, როგორც სამშობლოში, ისე მოსკოვში და რუსუბლიკებში გასტარების დროს. თუ ენის არცოდნე მასურებელს ხიბლავდა, იტაცებდა ცალკეული აქტიორული შემოქმედების და მისი გასაუკურებელი ყურადღებას იმსახურებდა შესანიშნავი მასიური სცენები — ყველა ამისი საწყისი კოტეს მიერ „აკაცა-მასაში“ შექმნილ მასიურ სცენებში უნდა დაეინახათ. ასეთი რეჟისორული გააზრებით და გადაწყვეტით გაკეთებული მასიური სცენები ახალი სიტყვა იყო ჩვენი თეატრალურ ხელოვნებაში. რუსთაველის თეატრმა თავის შემდგომ აღმდგენაში სწორედ ეს გადაწყვეტა იმხანა, მაგრამ ურალად მისი ასლი კი არ გადადა, არამედ განავითარა იგი. 19 თვით ექსპრესიონისტული პიესის სტრუქტურა იძლეოდა საშუალებას მასის როლსა და წინშეწოდების გააზრებისათვის, მისი ამოქმედების საფუძეს აქ მასა, ერთიანი აზრით შერკული, ამავე დროს, მოქმედებდა და ნების, ერთიანობის განახლებაც იყო. აზრთა ერთიანობა მოქმედების ერთიანობამ უნდა უარმოეხა, — ამტკიცება იგი. დინამიკა, უზანგანი რიტმი იგრძნობოდა როგორც შექცევა, ისე სკალტურული, გარბნულ კონაოხიკული. აქ ერთიანი ფორმა ყრბნობოდა რატიმულ სისასუსსა და დაძაბულობას. ჭუნებრივია, რომ პიესის ავტორებმა იძლეოდა საფუძველს განზოგადოებისათვის. მისი ზოგადი ხასიათი, მთიშველეთაში სოციალური პრობლემების სიმწვავე აერთიანებდა მასას. მასის მოძრაობა იყო ერთიანი და დინამიკური, მაგრამ დამაჯერებელი და თეატრალური იერსა და იმავ დროს. ექსპრესიონისტული გრძობით გამსჭვალული მასა კ. მარჯანიშვილმა დაუმორჩილა ე. წ. „ჰეობიკული რეალიზმის“ პრინციპებს, რამაც თვალსაჩინო მონაშენებლობა მიანიჭა მას. ექსპრესიონისტული პიესას სიმძრალე და რიტორიკობა ერთგვარად ძნელი ამოცანის წინაშე აყენებდა კ. მარჯანიშვილს, რომელიც ისრაფივოდა სიცოცხლთ საესე, ხალისიანი, მიწისა და ბუნების ფერებით და სუნთქვით საესე თეატრალური ხელოვნებისაკენ. ეს სინეზიმა მას შესანიშნავად დასძლია. სწორად შენიშნავს თეატრმედიცინე ე. გუგუშვილი: „პიესის მთავარი მამოძრავებელი ძალა, გმირი, ისევე როგორც „ფუნტე ოვბუნანაში“, უნდა ყოფილიყო მასა, ხალხი. მაგრამ რეჟისორი გრძობდა პიესის „სტილისტიკას“ და კარგად ემსობა, რომ პლასტიკური ფორმები, რომლებიც მასის მოძრაობის წარმოსავლა იყო საჭირო, განსხვავებული უნდა ყოფილიყო ლოპე და ვეგას ტრადიციის სახალხო სცენებისაკენ. მას, რო-



გორც რეჟისორს, ერთმანეთისათვის უნდა შეესაბამებინა პო-
ლარული წერტილები. ეს პოლარული წერტილები იყო: სა-
კუთარი რეალისტური თვალთახედვა და ექსპრესიონისტუ-
ლი, მექანიკურ-რიტორიული და, ამ აზრით, ერთად პი-
რობით თვალთახედვა. ამ შეთანხმების ძიებისას კ. მარჯა-
ნიშვილი კვლავინდებურად შინაარსით, იდეით ხელმძღვანე-
ლობდა.²⁰

კიდევ უფრო თამამი და ორიგინალური შინაარსით ავსო
მან ამ ატრისის პიესას „პოპლა, ჩვენ ვეცოცხლობთ“, რომლი-
თაც გაიხსნა ქუთაისის დრამატული თეატრი (1928 წ.). ამ
სპექტაკლში ახალი ძალით გაბრწყინდა კ. მარჯანიშვილის
რეჟისორული ტალანტი, მისი არაჩვეულებრივი უნარი სილ-
ნების წყობისა და სტრუქტურული თავისებურების
ამოცნობისა. ცნობილია, რომ აქ კ. მარჯანიშვილმა შესანი-
შნავად გამოიყენა კინო, რადიო, სინათლის სხივი და სცე-
ნური მაშინერია, რაც დრამის ორგანულ, აუცილებელ ნა-
წილად აქცია. პირდაპირ განსაცვიფრებელია მისი მახვილ-
რის ნიჭი. ჩვენ თანამედროვე კ. კენდლერი, რომელმაც ექ-
სპრესიონისტული დრამის სტრუქტურული თავისებურებანი
დრამად გამოიკვლია, დღეს წერს და თორიულად ასაბუთებს
იმას, რასაც ადრევე ჩასწვდა დიდი რეჟისორი. კენდლერის
აზრით, „ახალი ადამიანის“ იდეა, რომლის განსაზღვრა
ძალიად და მხოლოდ შესაძლებელია ირრაციონალობით მი-
მისი გადმოცემა, თავისი განსხვავებისათვის საჭიროებს და-
მხმარე სტრუქტურულ საშუალებებს. იგი ნაგულისხმევია
სტრუქტურა შორის, ანდა მოქმედ პირთა ექსტრემში და არა
დაილოგორ ან მონოლოგორ მეტყველებაში. „ახალი ადა-
მიანი“ განახორციელებს უტოპურ იდეას და ძალზე ხში-
რად ამ იდეის გაგება შეიძლება როგორც მხოლოდდამო-
ლოდ უარყოფა რაღაც არსებულისა, რისგანაც ახსობრივდ-
ბა არარსებული ანდა ჯერ არ არსებული — ეს უნდა ან-
ტოპოზიცია, ვიდრე პოზიცია, რომელიც იგი წარმოადგენს.
ამ მიზნით გამოიყენება დამხმარე დრამატურგიული საშუა-
ლებანი, მაგალითად რეჟისორული რემარკები — მიმართუ-
ლის სურათის გამოსახატავად. გამოვლილი სტრუქტურები,
რომლებიც როგორც მეტყველებაში, ასევე სცენაზე სიმო-
ლურ ხასიათს ატარებენ, გასაღებია იმისა რაც გამოითი-
ქნის.²¹

ასეთი „რეჟისორული რემარკები“ სწორედ, კ. მარჯა-
ნიშვილის მიერ გამოყენებული სინთეზური საშუალებანი,
რაც იწყებს და ავითარებს სიტუაციას, უფრო აღრმავებს
და სტრუქტურულად დასრულებულ ხდის მას.

ტოლერის პიესის პესიონისტური ულისკვეთება, კარლ
ტოსლის დაცემა მან „შემობარუნა“ ოპტიმისტური რაკურ-
სით, მაყურებელს ურუნა მთავარი გმირის დაღუპვით გამო-
წვეული ტკივილი და ამავე დაღუპვით განპირობებული შე-
კავიერება თანამებრძოლებისათვის. ეს არ იყო ძალდატანება,
პიესის ექსპრესიონისტული ბუნების შეცვლა, ახალი პრობ-
ლემატიკის წამოჭრა. უბრალოდ მთელ სიუჟეტურ ქარვამში,
მის შეუცვლელად, კ. მარჯანიშვილმა შეიტანა მეკეთრი-
იდეური აქცენტი და ამით იგი რეალისტური თანამედრო-
ვეობას დაუკავშირა. მთელი სპექტაკლი მან ააგო მონტაჟი-
და მთლიანობის პრინციპზე. და კაკაბაძის მიერ შექმნი-
ლი სცენური კონსტრუქცია — ნაცრისხვერი კოლონების
სიბრტყეები, რომლებიც მოქმედების ფუნდასხვა ადგილს
აღნიშნავდნენ, ამგვარი მონტაჟისა და რეჟისურ შექმნის სა-
შუალებას იძლეოდნენ. სინათლის სხივი, ხან ერთ ოთახს

გამოკვეთდა, ხან მეორეს, ხან მთელ სცენას, ხან კი ერთ დე-
ტალს, ხან ერთი ადამიანის სახეს, ხან კი მთელ მსახივრებს
იყო არა ურალთ „განათება“, არამედ სპექტაკლის ესუ-
ტიკური და აზრობრივი ფუნქციონი. მონტაჟის თუ პრინციპი
სტილისტურად ამართლებდა სპექტაკლში კინოს გამოყენე-
ბას, რადგან აქაც, ისევე როგორც სცენაზე, მსხვილი პლა-
საერთო პლანების მონაცვლეობა დინამიურ და შთაბეჭ-
დავ სცენურ ცხოვრებას ქმნიდა.

ინტერესი მოკლებული არ არის ის გარემოება, რომ პო-
ლიტიკური თეატრის შემქმნელი ერვინ პისკატორი, თითქმ-
ის ამავე პერიოდში დგამს ექსპრესიონისტულ პიესებს,
მათ შორის „პოპლას“ და მათ რეჟისურ ფორმებად ანაწი-
ლებს. აქ პისკატორი კინოს თავისებურად იყენებს. მაგ.
„პოპლამ“ პროლოგსა და უშუალოდ მოქმედების დასაწ-
ყის შორის ნაგულისხმეია ვაიმარის რესპუბლიკის განვი-
შეყოფით ეგრანზე ურუნა ამ რესპუბლიკის ცხოვრების უმ-
ნიშვნელოვანესი მომენტები, ის, რაც დრამატული დიალოგ-
ში მხოლოდ მერთალად იყო მინიშნებული. მნიშვნელოვანი
ისტორიული მოვლენების ჩარჩოში მოქცეული ეს პიესა,
როგორცე გადაიქცა ისეთ სინამდვილედ, რომელიც უკავ-
შირდებოდა სოციალურ გაფრმოს, ერთუელმა შემთხვევამ
შეიძინა ზოგადი ხასიათი. ისევე როგორც კ. მარჯანიშვილ-
მა ე. პისკატორმაც სიმულური პრინციპი დაულო საუბრე-
ლად გაფორმებას — აქაც სხვადასხვა სინამდვილე
და სხვადასხვა სიბრტყეზე განლაგებული მოედნები მოქმედების
განვითარების ერთდროულობის და ერთიანობის შთა-
ბეჭდილებას ქმნიდა და სოციალური იტარაქიის შთაბეჭდ-
ლებას იწყევდა.

კომპოზიციონერ თ. ვახვახიშვილი, თავის იგნში „თერ-
ომტიკ წელი კოტე მარჯანიშვილითან“ ასე ავიწყრს დელო-
რაციას და განათების ეთოტიკურ ფუნქციას სპექტაკლ-
ში „პოპლა, ჩვენ ვეცოცხლობთ“, „დიწყო სპექტაკლი, და
რა სპექტაკლი! და კაკაბაძის ნაცრისფერი კოლოფიდან
დაწყებული ყველაფერი ავლავდა. სინათლე პირდაპირ სა-
სწაულებს ახდენს, ხან ცალკეულ ადგილს გამოაჩენს, ხან
აქეთ-იქით დახტის — მარჯვნივ, მარცხნივ, ცენტრში, ხან
კი ყველაფერი ერთად ჩანს — კაბინეტები, რესტორანის
მსახურთა ოთახები, ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თით-
ქოს მთელი დაწესებულების ცხოვრებას, ყველა მის დეტალს
უყურებო. ასეთი რამ მარჯანიშვილს ჯერ არ გაკვთებინა.
იგი სპექტაკლს გვიჩვენებს არ მარტო ერთი სასცენო მოე-
დნის ფორტალებს, არამედ როგორც კინოში, მსხვილი პლა-
ნითაც, როცა სინათლის სხივი მთელ სცენას ან საერთოდ
მასიდან ერთ რომელიმე მსახიობს გამოაჩენს ხოლმე. ან
ის რად ღირს, რომ მან კინო მოიშველია და მოქმედი პირ-
ის ელვის სისწრაფით გადადიან სცენიდან ეგრანზე და იქ
განაგრძობენ თამაშს?!. (გვ. 90).

ახლა მოვუსმინოთ თუ როგორ აღწერს ამავე სპექტაკლს
(ერთი უცნაური დამთხვევაც აღვნიშნოთ ბარგე: ე. პისკა-
ტორმაც „პოპლით“ გახსნა თავისი თეატრი) კ. კენდლერი,
რომელიც თანამედროვეთა წერილობას და სტატების ყურდ-
ნობა:

«Освещение или повороты аппаратуры выделяли
нужную игровую площадку, причем места, где
развертывалось побочное действие, предшествую-
щая или последующая сцена в зависимости от их

связан с происходящим действием тоже оставались в поле зрения. Кроме того, эта оснастка оставляла свободные плоскости для демонстрации фильмов и изобразительных проекций, так что документальные части включались в систему взаимосвязей и придавали действительно характер parts pro toto (часть вместе целого) в историческом процессе»²².

ამ პარალელში სანიტრებისა არა მხოლოდ სპექტაკლების გადაწყვეტის ერთიანი პრინციპი, არამედ სპექტაკლებმარხისონისებრი სცენური გარემოის, როცა კონსტრუქციული ნაბჭიონები ყველაფერზე დომინირებენ. კ. მარჯანიშვილთან და ე. პიკატორთან გაფორმება ექსპრესიონისტულ სულისკვეთებას შეიცავდა და, ამავ დროს, უშუალოდ ერწყმეოდა სცენურ მოქმედებას, განსაზღვრავდა ამ მოქმედების ბუნებას. ამას გარდა — ეუ პიკატორმა ისტორიული ქრონიკა, ისტორიული მოვლენები, დოკუმენტური სიუჟეტები ადამიერული ფორმე, ჩართო სპექტაკლში და ამით უაღრესად გააფართოვა სცენური მოქმედების გააზრების მასშტაბი, თუ მან მთლიანად დრამა ისტორიის განუყოფელი, ცოცხალი ნაწილი გახადა და საერთო სისტემის სტრუქტურული ელემენტი — რაც აბსოლუტურად ახალი ესთეტიკური ფუნოქიონი აღმოჩნდა ამ სისტემაში, კ. მარჯანიშვილიც არ წყაულა — მართალია, არა იმდგვარი მასშტაბითა და მნიშვნელობით როგორც ე. პიკატორი — კინოს მარტოდენ ფუნქციონალური გამოყენების გზით.

კ. მარჯანიშვილმა პირველსავე სცენებში ჩართულ კინოკადრებში უჩვენა სახალხო აჯანყების ამასხველი ეპიოდები. ამევე ლენინი აჯანყებულ ხალხს მიმართავდა. ეს ფრიალი მნიშვნელოვანი მომენტი იყო, რადგან იგი განუზომლად ზრდიდა პიესის მოქმედების მნიშვნელობას — დიდი ისტორიული მოვლენებთან აკავშირება მას და იგი წარმოადგენდა, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური მოვლენების ერთი რგოლი. ეს — თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ — „გაცხოების ეფექტი“ პიესის მთავარი მოქმედი პირობის ცხოვრებას იმიტეტურ სისრულეს ანიჭებდა. გადაცავდა ის ახალ რეჟისტრში, რაკი რეჟისორი ბრძოლას ცოცხალ, შეხადგენულ ნაწილად აქცევდა მას. სოციალური ცხოვრების სტრუქტურაში ზოგადისა და კერძოს ეს ერთობლიობა სპექტაკლს დიდმნიშვნელოვან ილტურ სიხვედრს და გამომსახველობას ანიჭებდა. კინო აქ ერთი რომელიმე ადამიანის მოქმედებას კი არ გვიჩვენებდა მხოლოდ (მისი თქმა, რომ ეს კინოკადრები იცნებდა ცნობილ ხასიათს არ ატარებდნენ და ორგანულად იყვნენ ჩართული საერთო სისტემაში — ჯერ კიდევ მნიშვნელოვანს არაფერს ნიშნავს), არამედ ფსიქოლოგიურ კონფლიქტს ისტორიული მოვლენად აქცევდა. ეს კონმასალა (აჯანყებულის ხალხი, ლენინის სახე) კარგავდა კომენტარულ, „ფაქტობრივ“ ფუნქციას და იძინდა ახალ ესთეტიკურ ფუნქციას, ხოლო თვით სპექტაკლში განვითარებული ამბები ისტორიის ფაქტად იქცეოდნენ. ამავე დროს, ეს სპექტაკლი, — განსხვავებით რუსთაველის თეატრში დადგმული სპექტაკლისაგან „კაცი — მასა“ — ფსიქოლოგიური სიღრმითა და რეალისტური სისავსით გამოირჩეოდა. აქ არ იყო არც რიტმიზირებული მოძრაობა მისისა, არც ე. წ. „მანქანათა რიტმი“ მსახიობთა მოძრაობაში.

ცნობილია, რომ კ. მარჯანიშვილს შეეძლო სულ უბრალო ეპიოდები აეყოს — საჭიროებისდამიხედვით, — დიდი ფსიქოლოგიური სიმატლით ან უბრალო ფსიქოლოგიური

დეტალი ზოგადობამდე აემულუნებინა, ინტიმური, კამერული სცენა ბრძოლისაგან მღვწნებარე მოწოდების სტენდარტულ მავალითად, პიესაში „კაცი—მასა“ არის ასეთი სცენა — საკანინან გააყვით ქალი. პაუზა. შემოდის ორი საეჭო გარემონის ქალი, რომლებიც ხარბი მტაცებლებივით იქცევიან. სცენის მიღმა ისმის სროლის ხმა. ცხადია: ქალი დახვრიტდა ამ ხმამ თითქოს შესდარა ამ ორი ქალს არსება. ისინი მიხვდნენ თუ რა საზიზღრობა მათი საქციელი და გაოგნებული გაირჩინეს. ამ დროს ერთი მათგანი დარცხვენილი ამბობს: „რას ვუხეივით ჩვენ, დოა“. აი, ეს უბრალო ეპიოდები და ეს უმნიშვნელო ფრაზა, კ. მარჯანიშვილმა გადააქცია იდეური სიმაფრითა და ემოციურ აღსაქვე სცენად... ეს ქალბები, შინაგანად გაეცისტრენებულნი, ანთებულნი, შემართულნი ნლა მიმართოდნენ აჯანყებისაკენ. მათი სახე, მოძრაობა, მისისაზედ წარმოქმეული სურათი, „რას ვუხეივით ჩვენ, დოა“ — სახე პრეტესტით და მოწოდებით, გამოსხატავდა მსჯავრს იმ საზოგადოების იყო მართლ, რომელმაც გასწარა ეს ქალი. ეს იყო ბრალდება. ამავე დროს, ეს ფრაზა — გადმოსროლილი პარტერში — იყო მოწოდება ახალი ბრძოლისაკენ, გამოფხიზლებისაკენ, ნორტესტეკა ყოველგვარი ინერტულობის წინააღმდეგ. ეს ქალები პარტერისაკენ ნელა მიდიოდნენ და ასევე ნელა ინთებოდნენ სინათლე სცენასა და პარტეტში და, ვიდრე ფარად დაიხურებოდა და მთეული თეატრი განათებლობდა, თითქოს სინათლის ჭაღლმა კი არ გაანათათ იგი, არამედ ფრაზამ „რას ვუხეივით ჩვენ, დოა“.

ასევე, სულ უბრალო ეპიოდები „პოპლში“, სახვე ე. ტოლერისათვის დახმასათებელი პესიონიზმით, რომელიც ამ პიესაში განსაკუთრებულის ძალით ვლინდება და პიროვნული მოტივეციობა გაპირობებული, კოტე მარჯანიშვილმა გადააქცია სრცობის სხივის, იმედის, ცხოვრების ტრფიადის სცენად. ეს ეპიოდები მშვენივრად აქვს აღწერილი უ. ჩხეიძეს მოგონებათა წიგნში „კოტე მარჯანიშვილი — რეჟისორი და ხელმძღვანელი“.

„მარჯანიშვილის კომპოზიცია გვიტყვავდა და გვიხმლავდა არა მარტო კლასიკოსებში; ის ისეთივე ძლიერი იყო თანამედროვე პიესებშიც. ათ, თუნდაც ერთი სცენა ტოლერის პიესიდან „პოპლა ჩვენ ვიცოცხლობთ“. სცენა წარმოადგენს საპროლოგებს. ათა დღეა ადამიანები ელოდებიან სიკვდილის განაჩენს. ისინი უკვე, თუ შეიძლება ასე თთქვას, ნერვების ნაფლეთებს წარმოადგენენ. ყოველი მოძრაობა კარგება იქით, ნაბიჯის შორეული ხმაც, მათში იწყებს უდიდეს დაძაბულობას. ერთი ტესდათავანი ნატრულობს თამბაქოს. მეორეს აღმოაჩნდება შემთხვევით პაპიროსი. ეს უკვე საკმარისი მასალა მარჯანიშვილისათვის. ის სიკვდილის მოლოდინიდან უფროდ გამოთივავს ყველას ყურადქას და გადააქვს პაპიროსის გარშემო. ყველა მოქმედ პირს შეიყრობს მწვავე სურთილი, ვრთხელ მაინც მოსწიოს პაპიროსი. თამბაქოს მოწევის სურვილმა შთანთქ ყველაფერი. აი, ვრძელ სკამზე ჩამოვდა ფრუ მიულერი (ე. დლანური), მის პირდაპირ სკამზე გადამჯადარი მოთავსდა კარლ ტომასი (უ. ჩხეიძე, ი. ზარდალიშვილი), კარლ ტომასის მარჯვნივ, ხალხისაკენ, ცალ მუხლზე დამოქცილი და პაპიროსისაკენ ხელგებავილი მოუთმნლად შეეყურებს ფრუ მიულერს კილმანი (შ. გომელაური), ფრუ მიულერის მარჯვნივ მოთავსებულია მომღიმავე სახით თავისი რიგის მოთმნებელი

მომლოდინო ალბერტ კროლი (შ. დამამიძე), ამ უკანასკნელისა და კარლ ტომასის შუა, მათ მხრებზე ხელებით დაყრდნობილი დგას ყველაზე ახალაზრდა ევა ბერგი. იგი აღგზნებული თვალებით მისჩერება და ელოდება პაპიროსს. ყველას დააივიწყა სიკვდილი. ყველა მოწყვის მოლოდინშია და მოელის პაპიროსს, როგორც ერთგვარ შეებას, ნეტარებას. ათი დღის განმავლობაში მოღუშულ, დატანჯულ სახეებს პირველად გადაუხრება ღიმილი, ღიმილი ძლიერდება, გააღდის ნაწყვეტ სიცილიშ და, აი, არიოთ უკანასკნელი ღერი ასანით ერთადერთი პაპიროსი, მისწია ფრუ მიულერმა და თითქოს ყველას სუნთქვა შეეგრა მოლოდინის მწვევე შერბნობით, ყველა გაქვავდა. მათი გონიერი დაიპყრო მოლოდინითა სურვილმა და ერთი წუთით სასიკვდილოთ განწირული ადამიანები გახდნენ ბედნიერნი. ეს იყო დიდი მოქანდაკის ხელთ გამოტყდური ადამიანის სახეები. სხვა რეჟისორის ხელში შეიძლება ამ სცენას სრულიად უმნიშვნელოდ ჩაველი, რადგან ავტორი აქ თითქმის არავითარ მასალას არ იძლევა, მას გაკვირთ აქვს ნათქვამი პაპიროსზე ორიოდ სიტყვა.

ამ ადგილით მაყურებელიც დასავენა მარჯანიშვილმა დაძაბული მდგომარეობისაგან. მივლ მოქმედებაში შეიტანა შუქი, ნათელი სხივი და ამავდროს განწირული ადამიანების ხანმოკლე ბედნიერების ჩვენებით უფრო მწვევედ გვაგრძნობინა მათი ტრაგედია.²³

ეს პიესა, სრულიად ახალი რაკურსით შემოტრიალდა დასკვნით ნაწილში, როცა მუშა ალბერტ კროლი საფინანსო სცენაში წარმოსთქვამდა თავისი სიტყვას და მომაგებო ბრძოლისაკენ მოუწოდებდა თანამზრახველებს. კარლ ტომასის ტრაგიკული ცხოვრების დასასრული, გამსჭვალული პეიზაჟში, რეჟისორის ხელში იძენდა ოპტიმისტურ ელვადობას... „და უკ ჰგონით მათ, ვინც ტომასი მოკლა, რომ ამით ჩვენ მოგვკლა. მაშ, კვლავ ვინ საბრძოლველად... ნუ ვღვრით ცრემლებს... ნუ ვიტანჯებით. გაეწიოთ საბრძოლველად. „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“. სახეებით მართებულად უნდა მივიჩნიოთ ე. გუგუშვილის მოსაზრება, რომ „მარჯანიშვილისათვის ეს (იგულისხმება „ჰოპლა“ ნ. გ.) კვლავ იმისი საბაბი გახდა, რომ რევოლუციურ თანამედროვეობასთან დაკავშირებული მოვლენები გაეზარებინა“ (გვ. 459). კ. მარჯანიშვილმა გვაჩვენა იდეალისტი-რევოლუციონერის ტრაგედია და არა ტრაგედია რევოლუციისა, რომლის განმასაზღვრელი ძალა დადასტურებულია კროლის სიტყვებში (სხვათაშორის, კროლი პირველი სახეა მუშა-რევოლუციონერისა ქართული თეატრის ცენაზე).

ამგვარად, ექსპრესიონისტული დრამატურგიის შემოსვლამ ქართულ სცენაზე (განსაკუთრებით აკაცი-მასა და „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“) გარკვეული პროგრესული ტენდენციები განამტკიცა. მხედველობაში მავს როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური, ასევე თეატრალურ-ესთეტიკური ასპექტი. პოლიტიკურად, ამ პიესებმა კიდევ ერთხელ წინ წამოსწიეს რევოლუციური სულისკვთების საყოველთაო, განმასაზღვრელი ხასიათი, ხაზი გაუსვეს თანამედროვეობის უშუალო კავშირს რევოლუციასთან, ბრძოლის, ბუნტარული განწყობილების აუცილებლობას ძველი დროის ბასტიონების დასაწვრვად. ამას გარდა, ქართულ სცენაზე ავიდა „ახალი ადამიანი“, რომელიც თავის მოწოდებას ბრძოლაში, დრო-მოქმედების უარყოფაში ხედავდა.

ესთეტიკურად, ამ პიესებმა მოითხოვეს სცენურ საშუალებათა განახლება, თანამედროვე ფორმების ძიება. ესტეტიკურად აქტიურულ შესრულებას, ასევე რეჟისურასა და სცენოგრაფიას. ექსპრესიონისტულმა დიალოგმა — მოკლე, სხარტმა, მიკვეთილმა ფრაზებმა აქტიურული ტექნიკის განახლებისათვის მოამზადეს ნიადაგი. პიესის რიტმი, ექსპრესია, რეჟისურისა და მამასხათიბეული ტემპი, თვითუფილი, ეპისოდის მიკროდრამატურგია და სიტუაციის დამაბული ხასიათი მოითხოვდა ასევე მკვეთრ ფესტს, მკვეთრ მოძრაობას, დინამიკურობას, რიტმის ხაზგასმას. ასევე მნიშვნელოვანი იყო მასისა და პიროვნების, კოლექტივისა და ინდივიდუუმის მოქმედების რიტმული სინქრონიზაცია, რომელმაც უშუალოდ საბჭოთა თანამედროვეობის ამსახველ სპექტაკულურში თავსებური და სრულყოფილი გამოხატულება ჰპოვა. ექსპრესიონისტული პიესების იდეურია ხარვეზების, მისი მხატვრული ქათვილის არასრულყოფილების შეფასებისას არ უნდა გამოგვჩრქოს ის საკმაოდ მნიშვნელოვანი მომენტები, რომელმაც მოუზარდეს ნიადაგი თანამედროვე ცხოვრების ამსახველი სპექტაკლების სტილისტურ თავისებურებას.

შენიშვნები:

¹ К. Рудницкий. Режиссер Мейерхольд. М., 1969, стр. 321.

² А. Я. Завельчинская. Экспрессионизм. Огиз. 1931, стр. 17—18.

³ კ. მამასხრდია. „ახალი ევროპა“, 1928 წ. გვ. 23.

⁴ К. Рудницкий. Режиссер Мейерхольд. М., 1969, стр. 321.

⁵ А. Февральский. Театр им. Руставели. изд. «Искусство». 1959, стр. 75.

⁶ იქვე. გვ. 76

⁷ Г. А. Хачиченко. Путь советского театра. 1967 г. стр. 34.

⁸ ესარგებლობ ე. გუგუშვილის წიგნით „კოტე მარჯანიშვილი“. გვ. 409.

⁹ Модернизм. Изд. «Искусство». М., 1969, стр. 31.

¹⁰ К. Кендлер. «Драма и классовая борьба», изд. «Наука», 1977 г., стр. 26.

¹¹ იხ. დასახ. წიგნი. გვ. 36.

¹² იხ. დასახ. წიგნი. გვ. 50.

¹³ იქვე

¹⁴ იქვე.

¹⁵ იხ. კრებული. „კოტე მარჯანიშვილი“. „ხელოვნება“, 1961 წ. გვ. 337-358.

¹⁶ К. Рудницкий. Режиссер Мейерхольд. стр. 321.

¹⁷ იხ. კრებული „კოტე მარჯანიშვილი“ გვ. 346.

¹⁸ იხ. დასახ. კრებული. გვ. 351

¹⁹ იხ. დასახ. კრებული. გვ. 356

²⁰ ე. გუგუშვილი „კოტე მარჯანიშვილი“. ს. თ. ს. 1972 წ. გვ. 407.

²¹ იხ. ცენდურის დასახ. წიგნი. გვ. 60

²² იქვე. გვ. 172.

²³ „კოტე მარჯანიშვილი“. კრებული. 1961 წ. გვ. 101, 102.

75

ბესარიონ

ქლენტი

გახსენება

ჩემ თაობას ბევრი რამ დარჩა ბესარიონ ქლენტზე მოსაგონარი. მასთან ბრძოლაში და მეგობრობაში გამოიწრთო იგი. ბესარიონი ფართო მასშტაბის მოღვაწე გახლდათ, ბრძოლა და შრომაც ერთმანვე ყველა ფონტზე უხდებოდა. ლიტერატურა, თეატრი, კინო... ერთი სიტყვით. საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს წვედებოდა. თეატრმცოდნეთა ახალი თაობის გამოსვლაც ცხარე დისკუსიებით დაიწყო. მისი წამომწყები ბესარიონ ქლენტი იყო. ყველას ესახელებოდა მასთან კამათი, ყველას დიდ პატივად მიაჩნდა მისი ქება. მას მუდამ ჰქონდა მასშტაბებისა და მაღალი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გრძნობა. ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო ამბავსაც კი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხოლმე და ამით ახალგაზრდა თეატრმცოდნეებს მოვალეობის გრძნობას გვიმაფრებდა. ბრწყინვალე ორატორთან კამათი ადგილი არ იყო და ზოგჯერ ისიც ხდებოდა, ხოლმე, რომ მართლანი პოლემიკაში მტყუპანი ვჩანდით. ერთხელ ცოტა განაწყენებული ტონით ვკითხე:

— ბატონო ბესო, რატომ ხდება, რომ ყველა ნიჭიერს ებრძვი?

— ეის, მაგალითად? — მკითხა მან. ვიფიქრე, ზედმეტი მომივიდა მეთქი და შევარბილე. — არა ისე. საერთოდ, მწერლებშიც თეატრშიც..

— აბა, როგორ! ნიჭიერს უნდა ეკამათო, ებრძოლო, რომ გზას არ ასცდეს, თორემ უნიჭოსთან კამათს რა აზრი აქვს. მისი ბრალი ხომ არ არის, რომ უნიჭოა. ბევრსაც რომ ეცადოს მაინც ვერაფერს შეცვლის, რაც არის, ის დარჩება. ნიჭს კი მოვლა უნდა.

— მერე და ბრძოლაა მოვლა? — შევარბილე ისევ.

— მიყვარს მებრძოლი ნიჭი. პირზე ცოცხითა და ერთმანეთის ქებით შორს ვერ წავალოთ. კივანელიძეების ამბავი დაგვემართება. ერთხელ შეიკრიბნენ და დაადგინეს: ამიერიდან აზნაურები ვუწოდოთ ერთმანეთსო. არავინ არ სცნობდა აზნაურებად, მაგრამ თავს მაინც აზნაურებს ეძახდნენ. ვიყოთ ჩვენც ასე? ვაქოთ და ვადიდოთ ერთმანეთი? მერე, რა გამოვა აქედან?..

ბესარიონ ქლენტს მართლაც უყვარდა ნიჭიერი, მებრძოლი მწერლები, ხელოვნების მუშაკები. ერთი-ორჯერ წაიკამათებდა, ღონეს გაუსინჯავდა და თუ გაუძლებდა იგი მის შეტევას, მერე უთუოდ დაიხლოვებდა მას. მისი მეგობრობა კი ბევრისათვის საშური და სანატრილი იყო. ბესარიონმა იცოდა ნამდვილი მეგობრობის ფასი.

ვასილ კიკნაძე

იგი თავისი მეგობრების დიდი მფარველი იყო, პოლემიკას კი არც მეგობრებს აკლებდა

რუსთაველის თეატრის ირგვლივ ატბილ ცნობილ დისკუსიაში ბესარიონ ქლენტს გამოირჩეული ადგილი ეჭირა. მის დიდ ავტორიტეტს ყველა ანგარიშს უწევდა. ამ ცხარე პოლემიკის დროს ბესარიონმა განსაკუთრებით შუაქო ერთ-ერთი მონაწილე. მე მახარებს შენი ვაჟკაცური ბრძოლა — უთხრა მას, რადგან არ იცი, რით დამთავრდება იგი. თუ კი იცი, რომ შენი ბრძოლის გამო არაფერი საფრთხე არ გეცლის, ეგების მან სახელი და წარმატებაც მოგიტანოს. — ეგ რაღა ვაჟკაცობაა. თავად ბევრი ვაჟკაცური ბრძოლა გადაეხადა ბესარიონს და კარგად იცოდა მისი ფასი. — „ავაკეშინას“ წინააღმდეგ ჩატარებული ბრძოლები ხომ ნამდვილი გმირობა იყო. მერე და რა ფართოდ გახსნა ბრძოლის ცეცხლი. ბესარიონი შეუვალი იყო იქ, სადაც საქმე თავის ერს ეხებოდა. ყველგან, სადაც არ



უნდა ყოფილიყო იგი. ღირსეულად წარმოადგენდა ხოლმე თავის ქვეყანას. არაჩვეულებრივი მხესიერება ჰქონდა. ზეპირად იცოდა ქართული პოეზიის ნიმუშები, რუსი და დასავლეთ ვერსო-ვის პოეტთა საუკეთესო ლექსები. მასსოფს, ერთხელ ქუთაისში ვიყავით. წარმოდგინის შემდეგ ბანკეტზე მივიწვივებ. ბესარიონი, როგორც ყოველთვის, აქვს ყურადღების ცენტრში იყო. მისთვის ჩვეული გონებამახვილობით ახალისებდა სუფრას. იგონებდა ოციანი წლების ლიტერატურულ და თეატრალურ ცხოვრებას. იგონებდა კურიოზულ შემთხვევებს. ჰყვებოდა საინტერესო თავგადასავლებებს. სასაცილო ამბებიდან უცებ სერიოზულ საკითხზე გადავიდოდა და მთელი სუფრა სულგანაბელი უსმენდა, ადიდებდა თეატრის როლს ხალხის ცხოვრებაში და შემოიწვევდა, თითქოს სუფრის ყველა წევრის ავტორიტეტი და პასუხმგებლობაც იზრდებოდა. რაღაც ამაღლებული და სასიამოვნო განცდა

ეუფლებოდა ყველას. ვერძობდით, რომ ჩვენც, ჩვენს თეატრსაც არ დაუარგავს თავისი დიდი მისია. ამით ბესარიონმა ისე აამაღლა ყოველი წევრი, რომ თითქოს ყველა შექმბული და ნაღვერძელები იყო. ასე გამაზნევა და გაახალისა ბანკეტის მონაწილენი. მერე გვიან, როცა ქეიფი მოთავდა, ბესარიონთან ერთად ქუთაისის ცნობილ ბულვარში გავისეირნეთ. ბესარიონი გვიცთხავდა ბარათაშვილის, გალაკტიონის, პასტერნაკის ლექსებს. მე არ შევულებო მერე პოეტი, რომ ყველა კარგი ლექსი ჰქონდეს. ასეთი მხოლოდ ბარათაშვილიაო, — ამბობდა ბესარიონი. ქართული პოეზიის ქებათქებას ლექსების კითხვით ალამაზებდა. შუალაშე გადასული იყო, რომ სასტუმრო „ქუთაისში“ დაებრუნდიო. ბესარიონს ძილი არ ეგარებოდა, პოეზიამ გაიტაცა და ვატყობდით, ერთხანს კიდევ უნდოდა ქართულ ლექსებზე საუბარი. სასტუმროს კიბესთან შევიჩერდით. გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“ წამოიწყო და უცებ შეწყვიტა კითხვა. ახლა კი დავისვენოთო, გვითხრა და მივხვდით, რომ ამას ჩვენს გამო ამბობდა. ბესარიონი ურთიერთობაში დიდი ტაქტის კაცი იყო, იგი არავის არ აწუხებდა. ზოგჯერ ბავშვებით გულბრუნვით გვეჩვენებოდა. ვისაც მისი მასპინძლობა და ყურადღება უგრძობია, უთუოდ შეინჩნებდა ამას.

თუ არ ვცდები, თავის ქვეყანაში ასეთი პოპულარული კრიტიკოსი საერთოდ არ ყოფილა. სხვების არ ვიცი, მაგრამ საქართველოში კი ნამდვილად ასე იყო.

ბესარიონ ჟღენტს პოლემიკის დროს ძალიან უყვარდა, როცა რეპლიკას ესროდნენ. მოსწრებული სიტყვით ადიღოზევე „სპობდა“ რეპლიკის მოქმელს. დარბაზი გულიანად ხარხარებდა და შექსარე ოვაციას უმართავდა ორატორს. ყველამ იცოდა ბესარიონ ჟღენტის გონებამახვილობის ამბავი და ბევრი ურიდებოდა რეპლიკის თქმას. ბესარიონი კი, ხშირად, კამათს ისე წარმართავდა, რომ ძალაუნებურად რაღაც უნდა გეოქება. სიტყვით ან რეპლიკით უნდა შეპასუხებოდი. თეატრალური საზოგადოების ერთ-ერთ პლენუმზე ბესარიონმა მკაცრად გააკრიტიკა კულტურის სამინისტრო, რეპერტუარი არ გვიარგათ, დრამატურგებთან არ მუშაობთო, საყვედური გა-

დაჭარბებული მიწვევა (მაშინ სამინისტროში ემუშაობდი) ერთი სული მქონდა ვაგაპსუსებო-დი, მაგრამ ვიფიქრე, ვაითუ, უარესი თქვას მე-თქი და ერთხანს გავერმდი. ბესარიონი კი რის-ჩვასავით დაატყდა თავს სამინისტროსა და თეატრებს. მაშინ ვვლარ მოვითმინე და რეპლიკა ვესროლე:

— წელიწადში ორასზე მეტ პიესას ვკითხულობთ-მეთქი!

— ორასი გლახა პიესიდან სამ გლახას ამოარჩევთ და ამას ეძახით თქვენ მუშაობას? — მიპასუხა ბესომ და დარბაზში ატყდა ხმაური, სიცილი, ტაში.

ბესარიონ ჟღენტი თავისი ორატორული ხელოვნებით საინტერესოს ხდიდა ყველგ სხდომას, თათბირს, პლენუმს, დისკუსიას. მისი მონაწილეობის თვით ფაქტიც კი რაღაც განსხვავებულ ელფერს აძლევდა ყველაფერს. ყველა დიდი ინტერესით ელოდა ხოლმე მის გამორჩენას ტრიბუნაზე.

ბესარიონ ჟღენტი მძიმე სენით იყო შეპყრობილი, როცა რუსთაველის თეატრში გაბრიელ სუნიდუკიანის იუბილეზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა. გამხდარი, ფერდაკარგული, მაგრამ ისევ ამაყი და ძლიერი ბესარიონი იდგა ტრიბუნაზე. მისი მჭექარე ხმა კვლავ ესმოდა რუსთაველის თეატრის კედლებს. იგი თითქმის ნახევარი საუკუნე იდგა ამ ტრიბუნაზე. მისი სიტყბუკის ყველაზე ძვირფასი მოგონებებიც ამ სცენასთან იყო დაკავშირებული, როცა მარჯანიშვილი ქმნიდა ახალ თეატრს. აქ, ამ სცენაზე, დაიბადა პირველი საბჭოთა სპექტაკლი. თითქმის ფარდის მიღმა დარჩნენ წარსული მოგონებები. დროვამს გააყვია პირველი შთაბეჭდილებები და, აი, ახლა, უკურნებელი სენით შეპყრობილი ბესარიონი უკანასკნელად იდგა ტრიბუნაზე და მაყურებელს ხალხთა მშობასა და მეგობრობაზე ესაუბრებოდა.

ეს იყო, მართალია, უკანასკნელი, მაგრამ მაინც ვაჟაკური და ომახიანი სიტყვა.

რუსთაველის თეატრი... დიუსელდორფის თეატრის გასტროლი... შიღერი — „ვერაგობა და სიყვარული“... შედისარ ფოიერი და რეჟისორი როლანდ შეფერი უკვე ქმნის ატმოსფეროს სპექტაკლისათვის. აქვე, შუენ გვერდით, სხვა საუკუნის ადამიანები დდიან, ცხოვრობენ. ცხოვრობენ ჩვეულებრივად, ძალდაუტანებლად და ხაზგასმული თეატრალიზმის გარეშე. პროფესიონალის თვალთვალ კი აშკარად ამოიკითხავს მიზანდასახულ, ლოგიკურად გამართულ, გონიერად განსჯილ მოქმედებას... უმაღლე იბადება ინტერესი, მაყურებლისა და მსახიობის კონტაქტი და ჩუმი ჭიდილი. იბადება კითხვა: „რა მოხდება?“... დაძაბულობა იზრდება, როდესაც შედისარ დარბაზში. „რა მოხდება?“ კადადის ახალ ფაზაში... გიპყრობს სცენაზე შექმნილი განწყობა, ასეთი პრელუდით რეჟისორმა და მსატყარმა ერთბაშად მიაღწიეს მიზანს: მაყურებლის წარმოსახვა აქტიურად ამუშავდა. იგი თავიდანვე ჩათრეულია, თანამონაწილეა თეატრისა. ქრება სინათლე... სცენაზე გამოდის მსახიობი ალოიზ შტრემპელი — ლუიზას მამის, მუსიკოსი მილერის როლში. მაგიდასთან ზის შინაგანი წინააღმდეგობებით დამუხტული ადამიანი და საკმაოდ გრძელ პაუზაში ვერძნობა, რომ მისი არსება ფიქრების დაუსრულებელ ნაკადს შეუყვარა, ბორბავს მისი სული და გონებას გამოსავალი ვერ უპოვია. ეს ყველაფერი აღბეჭდილია მსახიობის თვალბეჭდში, რომელიც თუნწი, მაგრამ ზუსტი გამომსახველობით პასუხობენ შინაგან იმპულსებს. ექსპოზიციის ამ პირველი სცენის გადაწყვეტის ეფექტურობა მიღწეულია კონტრასტის ხერხით — მილერის გარეგანი სტატეია და დაძაბული შინაგანი ქმედება სიტყვის დაბადებამდე ქმნის დრამის დაწყებისათვის საჭირო ტონალობას. რეჟისორმა და მსახიობებმა მიაგნეს ზუსტ ტემპორიტმს. იბადება პირველი სიტყვა. სიტყვა მართალი და სასოვანი, კამერტონი მთელი სპექტაკლისა.

უხილავი ძაბვები ვაგება სცენასა და დარბაზს შორის... დაიწყო, უფრო სწორად, გაგრძელდა თეატრალური სანასაობა, რომელმაც კიდევ ერთხელ დავგარწმუნა კლასიკური ნაწარმოებისადმი თანამედროვე მიდგომის აუცილებლობაში. თეატრის ცხოველმყოფელობასა და ძლიერებას რომ განაპირობებს. სცენისა და პარტერის კონტაქტი, უსწრაფესად რომ ამოქმედებს წარმოსახვას: და ფანტაზიას, მადებს ასოციაციებსა და პარალელს, გვიმოიფხვს უამარვ საიდუმლოს, ცხოვრებისეულ სიღრმეებში გვახედებს. როცა სპექტა-


დიუსელდორფის თეატრი თბილისში

გიზო ყორღანია

ღის ეს ორი კომპონენტი პარმონიულ ერთიანობაშია მოქცეული, თეატრი თავის ნებას უმორჩილებს მაყურებელს, მიღწეულია უმთავრესი — ადამიანი გულგრილად არ სტოვებს თეატრს. ფიქრობს, დასვენას აკეთებს, ცოცხლობს იმ იდეით, მას რომ უჭადაგეს, ანდა პირიქით — იმსჭვალება პრეტესტის გრძობით, კამათობს, ამტკიცებს საწინააღმდეგოს, მაგრამ რომელ შემთხვევასთანაც არ უნდა გვეჩინდეს საქმე, მთავარი მაინც ერთია — აზრით დატვირთული მიდისარ თეატრიდან. მსგავსი რამ არ ძალუძს ჩვეულებრივს, ბანალურს. ამას რომ მიაღწიო მხატვრული ზემოქმედების ძალა, სათქმელის გამოსატყვის,

მაყურებელამდე მისი მიტანის უნარი უნდა გაგაინდეს. ამისთვის დახვეწილი პროფესიონალიზმი და არაჩვეულებრივი აღმოჩენის ნიჭია საჭირო. ყოველივე ეს აქვთ დიუსელდორფელებს. უსურველად იკვეთება სპექტაკლის იდეა, რომელიც პერმანენტულად მოქმედებს, როგორც მხატვრული ძალა. სპექტაკლი ერთ საერთო გადაწყვეტას ემორჩილება და მისი ყველა კომპონენტი ერთიანად ესწრაფვის მთლიანობას, დასრულებულობას. ყველანი ერთხმად იმბალღებენ ხმას სოციალური უკუღმართობისა და ძალადობის, დესპოტიზმისა და ტირანიის წინააღმდეგ. ესაა ბრძო-

სცენა სპექტაკლიდან «ვერაგობა და სიყვარული». ლუიზა — შარლოტა შვაბი, ფერდინანდი — პეტერ ზიმონიშვილი



ლა ადამიანის უფლებების დაცვისათვის. რეჟისორმა და მხატვარმა, მსახიობებთან ერთად, საშარაოზე გამოიტანეს დღევანდელი ადამიანების სატყუარი. შილერისეული სინამდვილე მათ ჩვენ დროს, 71-იანი წლების ადამიანების თვალით დანახეს. ნიჭიერად მიგნებული აქტორების საშუალებით და ავტორისეული ტექსტის გონივრული ინტერპრეტაციით მათ ხმა ამაძლეს იმ უსამართლობის წინააღმდეგ, ჯერ კიდევ რომ ხდება მეოცე საუკუნეში. ადამიანის უფლება იკხოვროს ისე, როგორც მას სწამს და სურს — ფეხქვეშ არის გათელილი. ძალადობა ჯერ კიდევ ბოკონობს. კაცური ღირსება სამართალს ითხოვს. ამ პრობლემების გადაწყვეტას ემსახურება სპექტაკლის იდეა და მისი ფორმა. ამიტომ არის პარტერში ცხოველი ინტერესი. ამიტომაც ეს წარმოდგენა თანამედროვე მახვილგონივრულად მიგნებული სივრცობრივი გადაწყვეტა, სპექტაკლის აზრის შესაბამის ატმოსფეროს ქმნის და აქტიორებთან კონტაქტში ლაპარაკობს იმ სატყუარზე, ასე მწყვედვს რომ განიცდის ფრიდრიხ შილერი და, რომელიც დღესაც აქტუალურია.

მხატვარ ფრანც კოპენდორფერის მიერ მიგნებული ფორმა ორი სამყაროს უთანასწორო ჭიდილს გამოხატავს. მილერთან სამყაროს უხეშად, მთელი ძალით აწვება ამა სოფლის ძლიერთა დაბრახები, კაბანეტები, აპარტამანტები. სახელმწიფოებრივ მანქანას, მის დესპოტიზმს, სიმდიდრესა და ფუფუნებას მარწმუნებში ჰკავთ მომწყველული ჩვეულებრივ ადამიანთა სამყარო. ბოროტება თრგუნავს და ამოსურთქვის საშუალებას არ აძლევს ადამიანს. ცივი კედლები და ნეონის შუქი მაღალი ჯებირივითაა აღმართული ბიურგერების წინაშე. ერთის მხრივ, მდიდრული ავეჯი, ძვირფასი ჭადი და ცინიკური სკულპტურული ფიგურა ფეხქვეშ გათელილი ქაღალდების გროვა. მეორეს მხრივ, ჯვარცმული ქრისტეს გამოსახულება, ბიბლია და საცოდავად მიგდებული ჩელო, ხატოვნად მეტყველებს ორი უთანასწორო სამყაროს არსებობაზე. ვიზუალური მხარე მჭიდროდ უკავშირდება მოქმედებას, ბადებს ასოციაციებს, აადვილებს ქვეტექსტების აღქმას, რისმომხივს მრავალადა სპექტაკლში.

ხატოვნადაა მოძებნილი კომპოზიცია, დეტალურად არის დამუშავებული მისი ყველა ნაწილი. აზრობრივი დატვირთვა აქვთ ნივთებს. სასცენო მოედანი უამრავ საშუალებას იძლევა მოქმედების გამოსათვის. სინათლის საინტერესო პარტიტურა ხაზს უსვამს ორი ატმოსფეროს შეჯახებას. ერთი სიტყვით, სპექტაკლში ყოველ დეტალს აზრობრივი და ესთეტიკური ფუნქცია აკისრია.



სენა სპექტაკლიდან «ვერაგობა და სიყვარული»

დახვეწილი გემოვნებით შექმნილი კონტრაპუნქტი მხატვარ კოპენდორფერის მაღალ კლასზე მეტყველებს. კოსტიუმების მხატვარი ასტირდ კირსტენი სპექტაკლის საერთო ჯდრადობიდან გამოდის, როდესაც ეთნოგრაფიულ სიზუსტეს არ მისდევს. მის კოსტიუმებს აქვთ თანამედროვე ინტონაცია და გმირების შინაგან ბუნებას შეესატყვისებინან. კოსტიუმის ფერწერულ-ფაქტურული გადაწყვეტა, მათი სილუეტები ემხარებინან მსახიობს, რეჟისორსა და მხატვარს კონცეფციის გახსნაში. თანამედროვე თეატრში ბევრი რამ არის დამოკიდებული ტექნიკურ პერსონალსა და განათების ოსტატებზე. ჩვეულებრივ მაყურებლისთვის შეიძლება არ ჩანდეს მათი პუნქტუალობა, საქმისამი შემოქმედებითი მიდგომა, სპექტაკლის გათანაშება სხვა სენაზე ენერჯის დიდ დაძაბვას მოითხოვს. მიუხედავად სირთულისა, დიუსელდორფის თეატრის ტექნიკურმა პერსონალმა შესანიშნავად წარმართა სპექტაკლები.

მუსიკალური გაფორმება კუთვნივთ რაინჰარტ ფირსოვსა და გერჰარტ კოიფენოვს. მუსიკა შესაბამის ასოციაციებს ბადებს, ორი სამყაროს წარმოსახვას ხელს უწყობს. კტეს გარეშეა, რომ დიდი მუშაობა გასწია თეატრის ლიტერატურულმა ნაწილმა, რომელსაც ხელმძღვანელობს იოჰან იოჰანსენი და რეჟისორის ასისტენტმა ბეატ ზოდელმა. ერთი სიტყვით, დიუსელდორფის თეატრის მთელი კოლექტივი შერეულია მაღალმხატვრული სპექტაკლების შექმნის იდეით, ამის მოწ-

მობს „ვერაგობა და სიყვარული“, რომელიც რეჟისორმა, თანაც დებიუტანტმა, ბრწყინვალედ მიიტანა მაცურებლამდე. მისი რეჟისორული ხელება მაღალპროფესიული, ორიგინალური, ღრმა და ხატოვანია. აღმავალი რიტმი წუთითაც არ წელდება. ახალგაზრდა რეჟისორმა გამოამჟღავნა მსახიობთან მუშაობის ნიჭი და ოსტატობა, მრავალპლანიანი მასიური სცენების აგების ტექნიკა. იგი შესანიშნავად ფლობს მოულოდნელობების ეფექტს, რომელიც ქვეტექსტების ამოცნობას ემსახურება. როლანდ შეფერი-მიზანდასახული, ინტელექტუალური და ემოციური რეჟისორი — თამამად ლაპარაკობს წარსულის უკუნობას ემსახურება. რათა დეკავიერის დღევანდელ სატყეარსა და ხვალისად სამშრობოებაზე...

მსახიობი ვალტერ ედგარი (იგი პრეზიდენტ ფონ ვალტერის როლს თამაშობს) ირინიულად ფურცლავს წიგნს, რამდენიმე წუთის წინ ლუიზას რომ ეჭირა ხელში, ფურცლავს და მისი გამომეტყველებიდან, პოზიდან ჩანს, რომ იგი დესპოტია. მას შეუძლია განუკითხავად გასრისონ, გათულოს ყოველივე წმინდა და ამაღლებული, რათა სახელმწიფოებრივი პოლიტიკას უფრო სწორად კი, პირად კარიერას, საკუთარ კეთილდღეობას ამსხვერპლოს ადამიანების ბედი, რასაც იგი აკეთებს კიდევ. იგი ცეცხლს წაუკიდებს წიგნს და სადისტური საიფრინებით შეტყუარებს ამ პატარა აუტოლაფეს. წიგნი თავისებურ

სიმბოლოდ იქცა იმ საშინელი სახელმწიფო მანქანისა, საუკუნების მანძილზე რომ მტრობს და უღობილად ანადგურებს ყოველივე ადამიანურს, ერთი ხელის მოსმით სპობს სილამაზეს. ეს კაცი კაცობრიობის საერთო მტერია, ის, ალბათ, დღესაც ცოცხლობს, საკუთარ ჩრდილთან უტყფ დი-ალოფში გარკვევით ჩანს, რომ პრეზიდენტი კვლავაც აინაცვლებს სახელმწიფოებრივი იერარქიის კიბეზე და მაშინ რეაქცია უფრო თამამად მიიტანს იეროში კეთილი ნების ადამიანებზე... ცეცხლს მისცემს მშვენიერს, წყვილად გაამფრებს. რეჟისორის ეს ჩანაფიქრი იშვიათი ტაქტიკითა და შესანიშნავი აქტიორული ოსტატობით შესარულად ედგარ ვალტერს. ჩვენს იდეა ინტელექტუალური მსახიობი, რომელიც თავისი ნებით წარმართავდა გმირის ცხოვრებას. სცენიდან სცენამდე თანმიმდევრულად და შაკიფოდ ხსნიდა ამ უსულგულო კარიერისტის შინაგან ბუნებას. მის მოქმედებებში აშკარად ჩანდა სახელმწიფო „მოღვაწის“ შინაგანი სიბინძურე და უმადურობა. მისი ყოველი სიტყვა აღწევდა მიზანს. აქტიორულ გამომსახველობის უხვი და ნატიფი ფერებით, პლასტიკური სიმასვილით და ტემპორიტმის უტყუარი გრძნობით წარმოდგენილი პრეზიდენტი მსახიობ ედგარ ვალტერის ბრწყინვალე გამარჯვებაა.

თუ ახალგაზრდობა ჯანსაღია და ბრძოლისუნარიანი, თუ მომავალ თაობას შესწევს ძალა წინაპრების მიერ ნაანდერძევი კუნიისტური ტრადიციების გაგრძელებისა, მაშინ ქვეყნიერებას ვერ გადააშენებენ პრეზიდენტები. მაგრამ რეაქციასთან ბრძოლა ხუმრობა როდია, ამას სჭირდება დიდი ნებისყოფა, გმირული შემართება, მსხვერპლი. ეს ფუნქცია სპექტაკლში აკისრიათ ფონ ვალტერის შვილს ფერდინანდსა და ლუიზას. ეს როლები მსახიობებმა პიტერ ზომინონ-შეკმა და შარლოტა შვებმა წარმატებით იტვირთეს. ისინი აღუდგნენ საუკუნეებით ნაშენებ ბარიერს, დღესაც რომ ახშობს თავისუფლებას, ბედნიერებას. უყურებ პიტერ ზომინონშეკს და გჯერა, რომ ამ ახოვან ტაბუქა ძალმუს ზვარკად მიიტანოს თავი სამსხვერპლოზე. მსახიობს ჭეშმარიტი არტიტიზმი და დიდი ტემპერამენტით, ამავე დროს, შინაგანი ზომიერების გრძნობით მიჰყავს როლი. მთელი სპექტაკლის მანძილზე ზომინონშეკი — ფერდინანდი მაღალი მოქალაქეობრიობით, მთელი თავისი თაობის სახელით იბრძვის პიროვნების თავისუფლებიანათვის, პროგრესისათვის, სიყვარულისათვის. გმირის შინაგანი ცხოვრების ადეკვატურია მსახიობის მიერ მიცემული ფორმა. მას თავდავიწყებით უყვარს და შვენებულად სძულს... ნაზიკ

სცენა სპექტაკლიდან „ვერაგობა და სიყვარული“





სცენა სპექტაკლიდან „მდებოთა ქორწილი“

არის და გაეკატორიც. რაინდულ შემართებას და სიფიციხესთან ერთად გონიერია და ღრმადამიანური. მოწამელისა და სიკვდილის სცენის რეჟისორული გადაწყვეტა მსახიობისაგან დიდ შინაგან სიწირფელესა და მხატვრულ ტაქტს მოითხოვს... სიკვდილი ახლოვდება... სადაცა ყველაფერი დამთავრდება; მაგრამ სათქმელი მაინც უნდა ითქვას. შეყვარებულნი თმობენ ერთმანეთს, არაადამიანური დაძაბვის წყალობით აგრძელებენ განწირულ სიცოცხლეს. პიტერ ზიმონიშვილი და შარლოტა შვაბი ჩინებული ოსტატობით გადიან ბეწვის ხიდზე. მხოლოდ დეტალების სკრუპულოზური დამუშავებით, მაღალი პროფესიონალიზმით შეიძლება ამ ურთულესი სცენის გათამაშება. რეჟისორი და მსახიობები აღწევენ მიზანს, ჩანაფიქრი რეალიზებულია. აბეთი ჭიდილის შემდეგ ფერდინანდის დაკვლვობა ლუიზას სხეულზე — ჩინებული მიგნება. ორივე სცენაში მონახული ფორმა პარადოქსულად ერწყმის ერთმანეთს, ნატურალისტური საშუალებებით გათამაშებული სიკვდილის პროცესი მოგონილი ფინალით მთავრდება.

შარლოტა შვაბი მდიდარი შინაგანი ბუნების მსახიობია. კარგი აქტიორული მონაცემები და შინაგანი ტექნიკა საშუალებას აძლევს მსახიობს დახვეწილი ოსტატობით გამოძიქროს ლუიზას სახე. ზუსტად მოქმენილი შინაგანი საყრდენები, წარმოსახვის მრავალფეროვანი საშუალებები, ზომიერების გრძობა ახასიათებს ამ მსახიობს. იგი წარმატებით აღწევს მიზანს უსუვალურო, ატმოსფეროში მისი სხეული ვერხვის ფოთოლივით თრთის, იტანჯება მისი შეურყეველი სული. თავდავლევებითა და ბავშვური გატაცებით ატარებს იგი სცენებს — ფერდინანდთან. იგი ერთდროულად ამაყი, შეურაცხყოფილი და ბედს მიმდრთილია ლედი მილფორდიან სცენაში. შარლოტა შვაბის მსახიობურმა აღღომ და ნიჭიერებამ დაამდგმელის აზრი თანმიმდევრულად მიყვანა მაყურებელამდე.

სპექტაკლში ერთ-ერთი საინტერესო და კოლორიტული ფიგურაა ჰოფმარშალი ფონ კალბი, წარმოდგენილი ფრანც კოლაშის მიერ. მსახიობი გვიჩვენებს თავქარიან კოსმოპოლიტს, რომელსაც არავითარი პრინციპი არ გააჩნია და მხოლოდ პირადი ინტერესებით ცხოვრობს. ზუსტად მიგნებული პლასტიკური მანერით ფრანც კოლაში უწყინარ კომიკურ პერსონაჟ რიდი წარმოსახავს... ჰოფმარშალი აუცილებელი ატრიბუტია ბოროტმოქმედთა სამყაროსი. იგი ისევე საშიშია, როგორც პრეზიდენტი და მისი იდვიანი ვურმი. თავქარიანი არისტოკრატის უკან მსახიობი ნათლად წარმოგვიდგენს საზოგადოების წურბელას. როლისადმი ავთინაირი მიდგომა ბაღებს ასოციაციას — ეს კაცი, ალბათ, დღესაც ბედნიერად გრძობს თავს. სად არ შეხვდებით მას, მსოფლიოს რომელ კუთხეში? მეჯლისესა და საოჯახო საღამოებზე, თეატრის კულისებსა და ფოიეებში. ეს „პოპულარული“ კაცუნა უდარდელად დანარმანდება ქალაქის ქუჩებსა და ეკავლენიანი პირების საკრებულოებში, სადაც იგი ტონის მიმღებ კი ხდება. მისი ახალი კოსტიუმი თუ ელემენტური ცხვირსახოცი ბანივანთა და მოლისმიმყოლი ჭებუდის მსჯულობის საგანი ხდება. კაცუნა კი დადის, მიაქვს და მოაქვს ჭორები, გონებას ურევს საზოგადოებას — წამლავს ახალგაზრდობას. ყოველივე ეს თანამედროვე ქვრეადაობას აძლევს მიოღრისეულ სინამდვილეს.

პრეზიდენტის პირადი მდივანი ვურმიც — მსახიობი რანპარტ ფირხოვი — ბოროტმოქმედთა წრეში შედის. მსახიობი როდი მიმართავს ასეთი ყიადის პერსონაჟის დასახასიათებლად არსებულ შტამებს; გმირის შინაგანი ცხოვრების ილუსტრირებას. პირიქით, აქტურად ფარავს ბნელ ზრახვებსა და მისწრაფებებს და ამით უფრო საშიში ხდება. შენობაში მტერი ურავსია, მოულოდნელია მისი დარტყმები, მაგრამ იქმნება ისეთი სიტუაცია, რომელსაც ყველაფერი

სააკაპაროზე გამოაქვს. და ვერმიც ვეღარ ფარავს შინაგან იმპულსებს, მსახიობი ოპატატურად ამფლანებს თავისი პერსონაჟის ნამდვილ სახეს. ეს რომ მარტო ტექსტუალური საშუალებებით კეთლებოდეს, მაშინ მსახიობისა და რეჟისორის ჩანაფიქრი რამდენადმე ჩვეულებრივი, ბანალური იქნებოდა. განუწყვეტელ აქტიურ მოქმედებას, დიდ შინაგან დაძაბულობას, სცენების ხატოვან გადაწყვეტას მსახიობის თამაში აპყავს მალალ დონეზე. ამის დასადასტურებლად აღვნიშნავ წერილის სცენას, სადაც მთლიანად გაიხსნება ვერმის პირუტყველი ბუნება, ვერაგული ბრძოლის ხერხები. მთავრდება სცენა და ფიქრობ: ასი ყური და ასი თვალი უნდა გამოიხსნას საზოგადოებამ, რათა დროზე შეუკვეცოს ფრთები ასეთი ტიპის ადამიანებს. კეთილშობილი ადამიანები უნდა გაერთიანდნენ ბოროტების წინააღმდეგ. ასეთი სურვილის დაბადება გამარჯვებაა რეჟისორული აზრისა, მსახიობური ხელოვნებისა.

ვერონიკა ბაიერი — ტემპერამენტული და გონიერი მსახიობი ქემმარიტი არტისტიზმითა და გესლანი სიმასვილით თამაშობს თავადის ფავორიტის ლედი მილფორდის როლს. დაწყებული გარეგნული დახასიათებიდან ვიდრე შინაგანი ცხოვრების ყველაზე ბნელი კუნჭულები გაშუქებამდე ბაიერი არ დალატობს თეატრალურ ზომიერებას და მახვილგონივრული მიგნებებით ამიშვლებს მილფორდის პიროვნებას. ლუიზასთან, სოფისთან თუ კამერდინერთან სცენებში მისი შინაგანი ტექნიკა და თანამედროვე კლასტიკური საშუალებები ზუსტად გამოხატავენ რეჟისორის ჩანაფიქრს, ამჟღავნებენ მის აქტიორულ ინდივიდუალობას. ბაიერის მილფორდი დახვეწი-

ლია და მკვეთრი. კამერდინერის სახეს გვიხატავს მსახიობი ჰენრიხ ორტმაიერი. მსახიობის გამო-მასხველობითი პალიტრა სწორ პულსაციას ქმნის მილფორდთან სცენაში. ამ ეპიზოდში აქტიური გადატანილია პერსონაჟის შინაგან ცხოვრებაზე. ჰენრიხ ორტიმირის შინაგანი მღელვარება სულ უფრო ძლიერად მოქმედებს მაყურებელზე და საჭირო რეაქციას ბადებს. არ არსებობს დიდი და პატარა როლები. კ. სტანისლავსკის ეს გამოთქმა ესადაგება ამ თეატრს და კერძოდ სოფის როლის შემსრულებლებს ქრისტინა შერერსა და მილერის ცოლის შემსრულებელ ჯენი ლატერმანს. ორივე გმირი ჩაგრულთა წრის წარმომადგენელია. ჯენი ლატერმანის დედას უკვე გაუვლია ცხოვრების დიდი ნაწილი და ახლა შვილის „მოწყობაზე“ ზრუნავს, სხვა რამ მის არ აინტერესებს. რეჟისორი და მსახიობი ისეთნაირად ავითარებენ მოქმედებას, რომ უტექსტოდაც ადვილად იგებ მდაბიო კალის მისწრაფებებს. მიჯი ცხოვრება, დატვირთული ყოველდღიური წვრილმანებით, იგი დღენიადაც ფაციფუცშია, მაგრამ ამას ზომ ყოველი დიასახლისი აკეთებს. ჯენი ლატერმანი კი ზუსტად მოქმენილი ხერხებით წარმოგვიდგენს მხოლოდ თავის გმირს და აქტიურად მონაწილეობს სპექტაკლის რიტმულ წარმართვაში. სოფი კა ახალგაზრდა მოახლეა, მას აწუხებს თავისი წრის უბედურება და სადღაც ისმის პროტესტის ნოტები. ქრისტინა შერერი ამ შინაგანი ანსამბლის განუყოფალი ნაწილია, იგი სერიოზულ ფუნქციას ასრულებს სპექტაკლში. მადლობას იმსახურებენ რუსთაველის თეატრის მსახიობები, რომლებიც მონაწილეობდნენ დიუსელდორფელთა სპექტაკლში, რითაც თავიანთი წვლილი შეიტანეს წარმატებაში.

სან სპექტაკლიდან „მდაბიოთა ქორი-ლო“. სსიძო — პიტერ ზომონიშვილი, სტარსლი — შარლოტა შვაბი



რევისორმა და მახიობებმა მაღლივს ჭეშმარიტ ანსამბლურობას, შემოქმედებით ერთსულოვნებას. ეს არ არის ვარსკვლავების საქეტაკლი, ეს თეატრალური კოლექტივის, თანამზარახველთა დიდი შრომის შედეგია: და კიდევ ერთი რამ — დღეს შილერის ენა თითქოს ოდნავ ზეაწეულად და პათეტურად კი ჭღერს, მაგრამ ეს მიჩვევებითი შობამდელიება ყოფილა. დიუსელდორფლებმა დაამტკიცეს, რომ შილერის ტექსტი ცოცხალია, ღრმადამიანური და რომ მის ძალუქს თანამედროვე საზოგადოების დაფიქრება, აფორიაქება.

ერთი სიტყვით, დიუსელდორფლებმა გააჩვენეს მაღალი კლასის თეატრი, თეატრის გენერალურ ინტენდანტს გიუნთერ ბელიეს, მიელი კოლექტივის გულით ველოცავ ამ დიდ გამარჯვებას.

...გახანებული პერანოსის და საღმრთო კოსტიუმის ნაცვლად სასიძის დატეხული პულოვერი აცვია. ეს კაცი ბიოლოგიური სიმსუნავით ქექავს ნასუფრალს. ყველაზე უბედური მათმზარაც კი არ დიწყებდა ასეთი ჭინით ღვინის ხერხებს სხვათა სასმელებიდან... შას აყვება პატარალიც, ორივენი ოთხფეხა არსებების დარად ნთქვენს ნასუფრალს, იღებებიან და ნელა-ნელა ერევთ ერთმანეთთან სიხარლოვის ჭინი... პირველი ღამის „რომანტიკული აქტი“ ათხრებულ ნასუფრალზე მიმდინარეობს. ეს სცენა ბერტოლდ ბრეტის „მდაბითთა ქორწილის“ ფინალში ხდება. რატომ დავიწყებთ ლაპარაკი საფინალო სცენიდან? იმით, რომ სპექტაკლის მამხილებლური სატირული ძალა ამ სცენაში აღწევს კულმინაციას, აქ თვალნათლივ ჩანს მემჩანიზმის სრული გრძის. ეს სცენა მახილონივერული გვირგვინი მთელი სპექტაკლისა და ყველაზე დიდი გამართასებაა ადამიანის სულიერი სიდატაკისა. მთელი სპექტაკლის მანძილზე მზადდება ეს გამანადგურებელი ფინალი. ჩინებული კამერული ორკესტრით; იმერაგს“ მსახიობთა ანსამბლი მისხელ გრუნერის რეჟისორობით (რეჟისორის ასისტენტი საბინა ვევერუსი); ყოველ აქტიორს ფილიგრანული ოსტატობით, პარტიორის ფაქიზი გრძობით, დახვეწილი შინაგანი ტექნიკით მიტყავს თავისი „პარტია“. ამ მხამეწყოილ ჭღერადობას მაყურებელამდე მოქაქს ბერტოლდ ბრეტის ვესლოიანი სიმარლიფე. რეჟისორი, მხატვარი და მსახიობები ხმამაღლა, მსაურად ლაპარაკობენ გადამდები წყულუების მატარებელ ადამიანებზე, რომლებიც ავრცელებენ ბაცილებს, დეგენერაციის გზაზე რომ აყენებს და ალპობს საზოგადოებას. სპექტაკლი თამამად აუნავს სილას ბევრ მაყურებელს.

„მდაბითთა ქორწილი“ ცხრა პერსონაჟი და ცხრავე ამორუტხავ ლაფშია ჩაფლული. მისხელ გრუნერი მკვეთრად დახატული და გამოფრული

დამოკიდებულებების, მახილონივერული კონფლიქტებისა და სანტერესო ფორმის საშუალებით ქმნის მოქმედებას, სადაც ხატონად იძურწყება, მვლანდება ადამიანების წვროლმანი ბუნება. ჩვენ ვხედავთ ეგოცენტრიკებს, ნივანთ განწყობილებებს მორიდებულად რომ ახვევენ ერთმანეთს. მათ უსაზღვრო სიამოვნებას ანიჭებს სხვის სულში ხელის ფათური. ამ პერსონაჟთა ცხოვრება აიცრუეზა და მყარებული, ნივანთ შესანიშნავად აქვთ მომარჯვებული, მაგრამ საკმარისია ოდნავ დაირღვეს ცხოვრების ჩვეული პირობები და მთელი სიხებადით ვლინდება მათი მგლოური ბუნება, დაუნდობლობა, სიყალბე. მოთრეობდალ დატევენ ლანძღვა-გინებას, დაუშოგავად აფურთხებენ ერთმანეთს სულში.

მატკარი ვილგელმინა ბაუერი მეტყველ სასცენო მოღდანსა და ატმოსფეროს ქმნის. ჩვენთან საუბარში მან სინანულით აღნიშნა, რომ რუათაველის თეატრის მცირე დარბაზში დეკორაცია თითქმის არ იკითხება, დარბაზის სპეციფიკური წყობა არ იძლეოდა საშუალებას დეკორაცია გამართულიყო ისეთნაირად, როგორც ეს დიუსელდორფის თეატრშია. „მაყურებელი ზემოდან უნდა დაკყურებდეს სასცენო მოღდანს, მსახიობები ფსკერზე უნდა დაიცვავენდნო“. როგორც ჩანს, ეს მახილონივერული ქვეტექსტი დაიკარგა სპექტაკლში. მიუხედავად ამისა, სპექტაკლის მატკარულმა გადაწყვეტამ მაინც დასტოვა შობამდელიება, მოახდინა შემოქმედება. მიქორწილთა ბუნება თითქოს სოლივით იჭრება მაყურებელთა დარბაზში. ეს მარტო იმიტომ კი არ კეთდება, რომ მსახიობები რაც შეიძლება ახლოს იყვნენ მაყურებლებთან. უპირველესად, ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენში ჯერ ისევ ცხოვრობს, ისევ ბატონობს მეშჩანური ყოფა. ეს ადამიანები ტერმინებს შეგნებისანი არიან. უყარად თითქოს არც ჩანს მათი ნამდვილი ბუნება, საქმიანობა. ისინი შიგნიდან, შეუმჩვენლად ღრდნიან საზოგადოებას, ადამიანს. რეჟისორის ეს აზრი ამოსავალ წერტილზემად იქცა მხატვრისათვის, რომელმაც მექორწილენი მაყურებელთა შორის მოაქცია. მან ხმამაღლა, თამამად გაილაშქრა საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგ და აქტიური მონაწილეთა მიიღო რეჟისორული კონფიციენის გახსნაში. კიდევ ერთი მომენტი: მატკარი და რეჟისორი სცენაზე სპეციალურად ქმნიან სიფიროვეს, რის გამოც მექორწილენი ერთმანეთში ქვეწარმავლებივით ირევიან.

მისხელ გრუნერი სპექტაკლის პერსონაჟებს პერსპექტივაშიც ხედავს და გვაფრთხილებს: ამ ტიპებს ბევრი ბოროტების, სიავის ჩადენა შეუძლიათ, ვინაიდან მათი მოქმედებების ამპლიტუდა საოცრად ფარტოა, განუსაზღვრელი. ხომ შეიძ-

ეს ასეთი ადამიანი მასწავლებელი იყოს ან ხე-
მუშაობის სათავეში მოექცეს... მსახიობებს
ეს უარი შთამაგონებელი ძალით. სწორედ
ეს გახლავთ ამ სპექტაკლის იდეა, მიუღწერად
ეს მაღალ მოქალაქეობრივ ელვრადობას რომ
დღეს ბერტოლდ ბრეტის მიზანიც ხომ ეს
ყოფიერება სპექტაკლს და თვალწინ დაგიდგება.
სწორედ მთავარი ყოველდღიური ცხოვრებიდან.
სწორედ უფრო ხარ ასოციაციებისა და ანალოგიე-
რის ცოცხალ რეალში. უყურებ მემჩანური ყოფა-
ცხოვრების ამ ფეიერვერკულ კასკადს და შიში გი-
წყობს, იმდენად შემამრწუნებელია პერსონაჟთა
სიყვლილი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ მსახიობები—
ბრეტოლა შვაბი (პატარძალი), პენრიეტა ტიმინი-
ა (მისი და), ვერნერ მაიერი (მისი მამა), პი-
ეტრ ზიმონიშვილი (სასიძო). ჯენი ვალტერმანი (მი-
სი დედა), ნილს ხანზენი (მისი მეგობარი), დიტ-
ლდ და ბილბერგები (ქალი), ვალტერ შპიზკე
(მისი შვილი), უდო ზამელი (ახალგაზრდა კა-
პიტანი) — დრამა ჩასწვდენს ბრეტს, რომელსაც,
ბრეტის გამომწვევის მიზნით სწავდა მაცუ-
რების სიცილი, მისი გაბრაზება, გაღიზიანება,
საწარბა...

სპექტაკლში აქტიურად მონაწილეობენ 'სხვა
პერსონაჟებიც' — ავეჯი №, ლამპა, საპირფარე-
ო — სახიერი სიმბოლოები მოქმედ პირთა ცხოვ-
რებას. ლამპაც მემჩანური სიმყდროვის სიმბო-
ლოს წარმოადგენს, საპირფარეოში წყლის ჩამო-
ხვევის ხმაურიანი აკომპანეიმენტი ოჯახური „იდე-
ოლოგიის“ გამოხატვითი ელემენტია, ავეჯის მოუ-
ღუნელი, მაგრამ ყოველთვის თანადროული
ტექნიკაც ამ იდილია ატრიბუტია. ერთი სიტყ-
ვით, სპექტაკლის ანტურაჟი ქვეყლია მემჩანური
ყოფის სამხილებელ იარაღად. სად არის ძალი,
რომელსაც ძალუქს შეგბრძოლოს და დათრგუნოს
მემჩანის წამლკეავი ნიაღვარი? ეს ძალია დარ-
ბასის რეაქციაშია. სიცილია ის ენერჯია, რომე-
ლიც მისპობს საშინელ ბაცილას.

დიდი წარმატება ხვდა საბავშვო წარმოდგენას
ბარბარა იორთელის ხელმძღვანელობით. დასაწა-
ნია, რომ დიუაელდორფლებმა ეს სპექტაკლი
მხოლოდ ერთხელ ითამაშეს, მიუხედავად ამისა,
სწავს ჭალაქში კლოუნი პაკო პოპულარული გა-
ხდა...

რეჟისორი გაბრიელა ორი კამერული სიუჟონია

მარინე ოვაკიმოვა

რეჟისორი გაბრიელა ორისი იმ კომპოზიტორთა
რიცხვს, რომელთა მოღვაწეობა ხასიათდება ან-
ტიურთი შემოქმედებითი ძიებითა და სიალისა-
დში ცხოვლი ინტერესით.

თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე
კომპოზიტორი ორჯერ მკვეთრად იცვლის ხელ-
წერას: პირველად — 30-იანი წლების ბოლოს,
როდესაც იგი ექსპერიმენტებიდან გადადის ეროვ-
ნული ინტონაციების პირდაპირ გამოყენებაზე,
ხოლო, მეორე უფრო მნიშვნელოვანი შემოქმედ-
ებითი „გარდატეხა“ უკავშირდება 60-იან წლებს,

როდესაც უკვე მრავალი ნაწარმოების ავტორი და
სასესიო ჩამოყალიბებული კომპოზიტორი თით-
ქმის ძირეულად იცვლის შემოქმედებით სახეს.

60-იანი წლების ქართულ მუსიკაში რევავ გა-
ბიჩიყაძის კამერულ-ინსტრუმენტულ შემოქმედ-
ებას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. 50-იანი
წლებიდან მოყოლებული კომპოზიტორი სისტე-
მატურად მიმართავს ამ ჟანრს და თანდათან
მსჭავალავს მას თანამედროვე გამომსახველობითი
ხერხებითა და ფორმებით.

რევავ გაბიჩიყაძის მიერ 60-იან წლებში შექმ-
ნილ ნაწარმოებებში განახლებას განიცდის მუ-
სიკალური მეტყველების ყველა ელემენტი. ახალი
ტენდენციების პირველი მაგნი იყო 1964 წელს
რ. გაბიჩიყაძის მიერ შექმნილი სიმფონია სიმები-
ანი ორკესტრის, ფორტეპიანოსა და ლიტაერები-
საების. თუ ადრე ხალხური ვოკალური შემოქმე-
დების გავლენით მის ინსტრუმენტულ ნაწარმოე-
ბებში სჭარბობდა სასიმღერო საწყისი, 60-იან
წლებში მტკიცდება რეიტატივულ-დეკლამაციუ-
რი სტილი, მელოდიკა ინსტრუმენტული ხასია-
თისა ხდება, საგრძობლად რთულდება პარმი-
ნიული ენა — შეიძინევა მუსიკალური წყობის
ქრომატიზაცია და პოლიფონიური ხერხების ფა-
რთო გამოყენება ტემბრის უფრო მეტად ინდი-
ვიდუალიზირდება.

ასეთი მეტამორფოზა თანდათანობით მსადლე-
ბოდა. კომპოზიტორის შემოქმედების გარდატე-
ხაში დიდი როლი თამაშებს 50 წლებში შექმ-
ნილმა მეორე და მესამე სიმებიანმა კვარტეტებ-
მა.

აღნიშნულ ტენდენციებს კომპოზიტორი წარ-
მატებით აგრძელებს მომდევნო ნაწარმოებებში,
სახელდობრ ორ კამერულ სიმფონიაში.

№ 1 კამერული სიმფონია დაიწერა 1964
წელს, ხოლო № 2 ქალაქ როსტოკის (გდრ) ნო-
ნატის დაკვეთით შეიქმნა და პირველად შეა-
რულდა 1968 წლის 13 ივლისს ქალაქ როსტო-
კის 750 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო
დღეებში.

ორივე ნაწარმოებებმა ფართო გამომხატურება
პოვა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარ-
გარეთაც. ეს სიმფონიები სრულდებოდა საკავში-
რო და საერთაშორისო ფესტივალებსა და დათ-
კალიერებებზე; მათ დღესაც ესვდებით საკონ-
ცერტო პროგრამებში.

ორივე კამერულ სიმფონიას აერთიანებს ერთ-
ნაირი სახეობრივ-ფორციური წყობა, რომელიც ეყ-
რდნობა კონტრასტულობის პრინციპს, საფუძ-
ვლად რომ ედება ციკლის დრამატურგიას. ღრმა
ლირიკა თავისუფლად ერწყმის ჟანრულ სახეებს
გამოხატულს მოტივურ დინამიკითა და რიტ-

მული ენერჯით. ამ სიმფონიებს ანსხვავებს სახე-
ობრივ სფეროთა აქცენტირებისა და განხნის ხა-
რისხი. კომპოზიტორი სარგებლობს მასალის
განვითარების მსგავსი ხერხებითაც, რომლებიც
ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში პოულობენ ინ-
დივიდუალურ გადაწყვეტას.

№ 1 კამერული სიმფონიის დრამატურგია
შენდება კონტრასტის პრინციპით — პირველი
ნაწილი ალგერო, მეორე — ანდანტე მოდერატო,
მესამე — ალგერო. კონტრასტის პრინციპი თა-
ვისებურადაა გადაწყვეტილი, ნაწილებს შორისაა
დამყარებული. თვითოეული ნაწილი კი დაწერი-
ლია ერთ ემოციურ გასაღებში.

პირველ ნაწილსა და ფინალს მსჭავალავს
სახეობრივად და ემოციურად მსგავსი მუსიკა,
რითაც კომპოზიტორი ციკლის მთლიანობას აღ-
წევს და ამავე დროს მკვეთრ ფონს უქმნის ლი-
რიკულ-დრამატული ხასიათის მეორე ნაწილ-
საც.

პირველი ნაწილის, განსაკუთრებით კი ფინა-
ლის ჟანრული ვარიოფები გამოირჩევა სიმკვეთ-
რითა და სახეობრივით. კომპოზიტორი ამჟღავ-
ნებს იუმორის გრანოზასაც. მეორე ნაწილში კი
დაძაბულობა ეჭრ აღწევს ნამდვილ დრამატულ
კულმინაციას. აქ უფრო თავდაჯეროვლი, მკაცრი
გრანოზობია გაბატონებული, რაც წარმოადგენს
რ. გაბიჩიყაძის 60-იანი წლების მუსიკის დამაზა-
სიათებელ თვისებას.

საწინაწინააღიბის მიუხედავად სიმფონიაში
ოთხნაწილიანი სონატურ-სიმფონიური ციკლის
ნიშნები აღინიშნება. პირველი ნაწილი არ წარ-
მოადგენს სონატურ ალგორიას, მაგრამ მისი
დრამატურგიული ფუნქცია, შეიცავს რა ინტონა-
ციური მასალის შემდგომი განვითარების პო-
ტენციას, უახლოვდება ციკლის პირველ ნაწი-
ლებს. მეორე ნაწილი ეპიკურების ნიშნებს ლირი-
კულ-დრამატულ ცენტრს. სიმფონიის მასშტაბუ-
რი ფინალი კი ორმაგი ფუნქციის მატარებელია,
რადგან ერთდროულად ასრულებს აკრცოსა და
ფინალის როლს. ამასთან ნაწარმოებს მთლიან-
ობასა და დასრულებულობას ანიჭებს ის ინ-
ტონაციური საწყისი, რომელიც სიმფონიის ყვე-
ლა ნაწილის მუაიკაშია გაფორმებული და თავისებურ
ლექტივტიონაციადა ქცეული.

პირველი სიმფონიისაგან განსხვავებით მეო-
რე კამერულ სიმფონიაში კონტრასტის პრინ-
ციპი დრამატურგის საფუძველს არ წარმოად-
გენს. მიუხედავად იმისა, რომ აქ მეტადნდება გან-
ვითარების ორი კონტრასტული ხაზი — ჟან-
რული და ლირიკული — უპირატეობა მაინც
ჯანრულ სახეებს ენიჭება. ლირიკულითა და
რეგითი ჟანრული სახეები კონტრასტის მიერ

უფრო მკვეთრად და ორგანულურადა გახსნილი. დრამატურგული განვითარების სწორედ ეს ხაზი ყურდნობა გერული მუსიკალური დიალექტის მთავრ სახასიათო სასიმღერო-სატყვეო ინტონაციების კანონზომიერებებს.

რადგან კომპოზიტორი განიხილს გერული ფოლკლორის პრიზმაში ვარდატყავას, მუსიკა იმსჯელდება იუმორითა და გროტესკით. ეს ძირითადად ციკლის მეორე და მეთოხე ნაწილებზე ითქმის.

განხილული პერიოდის სხვა ოპუსებისაგან განსხვავებით, მეორე კამერულ სიმფონიაში ლირიკული სფერო შედარებით უფრო ნაკლებადაა გამოვლენილი. იგი ძირითადად მოქცეულია „ზომიერი მოძრაობის“ (ანდანტე სოსტენუტო) პირველ ნაწილში, რომელიც მოელი ციკლის თავისებური პრელუდიაა. ლირიკული სფეროს ფარგლებში ვხვდებით მრავალფეროვან ემოციურ დინამიკებსაც. რომელთა მემურობით მუსიკავი დრამატისთვის ელემენტები ჩნდება.

მეორე კანერული სიმფონიის სტილის დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს იმპროვიზაციულობა, სათავეს რომ იღებს სიმფონიის ეროვნული თვისებებიდან. სანტერესია, რომ იმპროვიზაციულობა შესამებულია მკაცრად ორგანიზებულ შემოქმედებით აზრდებებასთან. მასამე ნაწილად კომპოზიტორი იყენებს უნიკალ ფუგის ფორმას, რომელიც თითქმის ოპერისპირდების სიმფონიის საერთო იმპროვიზაციულ წყობას, ფუგაში მგლანდება გაბიჩვადის პოლიფონიური ოსტატობა. ფუგა შემოსაზღვრულია ერთ თემატურ მასალაზე აგებული შეხვლითა და კოდით, რომლებშიც სონორული ხერხებია გამოყენებული. შესავალი და კოდა ქმნიან დრამატურგიულ კონტრასტს ციკლის დაბაბული ხასიათის მეორე, მესამე და მეთოხე ნაწილების მიმართ.

ფორმის თვალსაზრისით მეორე კამერული სიმფონია სიუეტია უახლოვდება. იგი წარმოადგენს სახასიათო ეპიზოდებისა და განწყობილებების ჩანახატების თანმიმდევრობას. მიაი სიმფონიში ემოციური განწყობილებების კონტრასტულ დაპირისპირებებში, განვითარების მიზანსწრაფულობასა და დაძაბულ დინამიკაში ვლიინდება.

კომპოზიტორი აქვ იმარუნებს სონატურ-სიმფონიური ციკლის გარეგულ ნიშნებს, მაგრამ პირველ კამერულ სიმფონიაში შედარებით შესამჩნევად სცილდება მის სქემას, იმდენად, რამდენადაც მოცემულ შემთხვევაში პირველი ნაწილი შესავლის ფუნქციას ასრულებს. ციკლის ნელ ეპიზოდ და შეიძლება ჩაითვალოს მესამე ნაწილის კიდევები.

ნაწარმოების ოთხივე ნაწილის სათაურებიდან გამომდინარე („სიმოიერი მოძრაობა“, „კარნავალი“, „ფუგა“, „სწრაფი მოძრაობა“) № 2 კამერული სიმფონია პროგრამულ ჩანაფიქრს ყურდნობა, გამოიყენებულია პრინციპულია განხვადებული ტინი, თუმცა აზრის გამოთქმის ლაკონიურობას სავსებით კონკრეტულ სახოვნებასთან მივყავართ. უფრო მეტიც, ზოგჯერ ცალკეული ინტონაციებიც კი იძენენ ხელშესახებ კონტრეტულობას. მაგალითად — მომწოდებლური ინტონაციები მეორე ნაწილის დასაწყისში („კარნავალი“), ანდა მეოთხეხმეტელების მარდი სრულა ფინალის ძირითად თემაში ქმნის ადღებსასწაულ ორთმტრიალის შთაბეჭდილებას, ფიციი, სისხლასვე ფინალის II თემა კი შეიძლებოდა შექმნილიყო მხოლოდ სახალხო ზეიმის ატმოსფეროში.

რ. გაბიჩვადის 60-იანი წლების შემოქმედებისათვის თემატური მასალა განვითარება კი არაა დამახასიათებელი, არამედ დაპირისპირება. ინტონაციურ წარმონაქმნებს აქვთ თვისური ხასიათი. თვითული ასეთი წარმონაქმნი შეიცავს განვითარების ელემენტებსაც. მაგრამ განვითარების პროცესი ხანმოკლეა, რაც განაპირობებს ინტონაციური ბირთვისების სწრაფ მონაცვლეობასა და დაპირისპირებებს. განვითარების ერთ-ერთ საშუალებად გაბიჩვადი იყენებს იმეტაციურ პრინციპს, რომელიც აქტურის მრავალხმიანობას წარმოქმნის. ესეც რ. გაბიჩვადის 60-იანი წლების შემოქმედების ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა.

ამრიგად, ფორმა ხშირად შედგება რამდენიმე მონაკვეთისაგან. ყოველი მათგანი შეიცავს ახალ ინტონაციურ წარმონაქმნს, რომელშიც ყოველთვის გამოიყოფა წამყვანი ინტონაციური მარცვალი, ფორმის მთლიანობას რომ ადუღაბებს. მაგრამ ამავე დროს ზოგჯერ იგრინობა ფორმის ერთგვარი გაჭიანურება, გადატარებაც ამის მაგალითს პირველი კამერული სიმფონიის ფინალი და მეორე სიმფონიის პირველი ნაწილი წარმოადგენა.

რაც შეეხება დანარჩენ ნაწილებს, მათი სტრუქტურა არ ხასიათდება კალეიდოსკოპურობით. აქ გაბიჩვადის ამ პერიოდის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი ლაკონიზმი დომინირებს. ეს აიხსნება იმით, რომ ნაწარმოებში არ ხდება თემასახეობის განვითარება.

ორივე კამერული სიმფონიის ინტონაციური წყობა გამომსახველი, მკვეთრი და კონტრეტულია. ამ ნაწარმოების მელოდია ეოვნულ საწყისებსაც შეიცავს, რაზედაც მიგვანიშნებენ ნასტომები დიდ ინტერვალზე, კრომატიზმები, კვარ-

ტა-კენიტური სვლების ფართო გამოყენება და სხვა-საინტერესოა, რომ განრეულ კიპოციტებში კვარტის ესა თუ ის ინტონაცია გროტესკული საწყისის გამოსატყულებად იქცევა ხოლმე, მაშინ, როცა, მაგალითად, პირველი კამერული სიმფონიის შუა ნაწილში სწორედ ამ ინტონაციების განვითარების წყალობით მიღწეულია დრამატიკში.

რევაზ გაბიჩავაძე 60-იანი წლების ოპუსებში სცოლდება ტონალურ საფუძვლებს და თავისუფალ ატონალობას ეყრდნობა. გამონაკლისს არც განხილული სიმფონიები წარმოადგენენ.

დასახელებული პერიოდის სხვა ოპუსებთან შედარებით, პირველი კამერული სიმფონია, თუ შეიძლება ასე ითქვას, უფრო მეტად „ტონალურია“. ამასთან ტონალური კავშირების შესუსტება ერთგვარად კომპენსირდება რიტმის, დინამიკისა და პოლიფონიური ფუნქციის მნიშვნელოვანი გაძლიერებით. კომპოზიტორი ეყრდნობა მძაფრ დისონანტურ თანხმირებებს, რომელთა საფუძვლს ხშირად კვარტო-კენიტური ვერტიკალები წარმოადგენენ. ატონალობა ძლიერდება სიმფონიის იმ ნაწილებში, რომლებშიც უფრო განზოგადებული სახეობა ხორციელდება.

ექსპრესიულად, კოლორიტულად ქდერენ ქართული ხალხური პარმონიისათვის დამახასიათებელი აკორდული თანხმირებანი — კვარტ-სებტაკორდები და კვინტსეპტაკორდები, რომლებიც კარგად ესაბებიან ატონალურ სტრუქტურებს.

ორივე კამერულ სიმფონიაში უდიდეს მნიშვნელობას იძენს მეტრორიტმული განვითარება, რომლის წყალობითაც კომპოზიტორი ქმნის გარკვეულ სახეობრივ სფეროს. მუსიკალური მეტყველების სწორედ ეს ელემენტი უწყობს ხელს ქართულ ხალხურ მუსიკასთან ასოციაციების წარმოქმნას. სიმფონიისათვის დამახასიათებელი მეტრორიტმული ასიმეტრიულობა დეცალმბადობა ერთგული მუსიკალური ფოლკლორიდან იღებს სათავეს. ამავე დროს ეს თავისებურებები დამახასიათებელია ატონალიზმის სტილისტიკისთვისაც. რიტმულად ჭირვეულ, ნერვულ ეპიზოდებს ენაცვლებიან რიტმულად გათანაბრებული, გაწონასწორებული მონაკვეთები. დიდ მნიშვნელობას იძენს პუნქტირებული და სინკოპირებული რიტმიც.

რ. გაბიჩავაძე იყენებს სხვადასხვა სისტემისათვის (ატონალური, კილობრევი, სონორული) დამახასიათებელ ხერხებს, რომლებიც წარმოქმნიან როგორც ავტორისეული, ისე ერთგული სტილისათვის დამახასიათებელ თვისებებს. მაგ-

რამ მაინც რ. გაბიჩავაძის დამოკიდებულება ერთგულთან ძალზე გასუალებულია.

ორივე კამერული სიმფონიისათვის დამახასიათებელია ორკესტრის უჩვეულო შეკადრებლობა (ნონეტი: ფლიტა, პობოი, კლარნეტი, ვალტორნა, ფაგოტი, ვიოლინი, ალტი, ვიოლონჩელო, კონტრაბასი), რათაც კომპოზიტორი თანამედროვე ტენდენციებს ეხმარება, ამაშიც ჩანს ბარტოკისა და სტრავენისკის კამერული სიმფონიის გაგენა. ამაზევე მეტყველებს ფაქტურის გრაფიკულობაც, თემატიკის განვითარებისა და გადმოცემის ხერხები. ავლასაჩინოა ანსამბლის ტემბრთა ინდივიდუალუაცია, დიფერენცირება, რაც აგრეთვე თანამედროვე მუსიკის დამახასიათებელი ნიშანია.

განხილულ ნაწარმოებებში განსაკუთრებით აღსანიშნავია ორკესტრობა, რომელიც სახეობრივ-ემოციური წყობის შექმნას უწყობს ხელს. ესაა ანსამბლის სხვადასხვა ჯგუფების მკვეთრი დაპირისპირება, ცალკეული ხმების ერთგვარი, შეჯიბრი, მხიარული გადახასიალები, ავლენენ ინსტრუმენტთა სპეციფიკურ თვისებებს. პირველ რიგში ეს ეხება ვალტორნას, ფაგოტსა და ვიოლინოს. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს აღვინშნოთ რევაზ გაბიჩავაძის მაღალი საორკესტრო ტექნიკა და ოსტატობა, რაც მდგავნდება გამომსახველობითი საშუალებების ორიგინალურ გამოყენებაში.

№ 2 კამერული სიმფონიის მკვეთრი ინტონაციური წყობა; მისი ტემბრული, კონტრასტებით სასვე დრამატურგია, ეფექტური სტილი. ყოველივე ამაში ჩანს განრეის საკონცერტო-ვირტუოზული ინტერპრეტაცია. შემთხვევით როდეს ეწოდა ამ ნაწარმოებს „კონცერტი ნონეტი-სათვის“. აქ თითოეულ ინსტრუმენტს შეუძლია მისთვის დამახასიათებელ ტექნიკურ-ტემბრულ თავისებურებათა დემონსტრირება.

რ. გაბიჩავაძის 60-იანი წლების შემოქმედებითი ხელწერისათვის დამახასიათებელი ტენდენციები დღესაც განაგრძობენ თავისიანობასა და სრულყოფას.

ქეთევან მალაშვილი



ნანა მირცხულავა

ქეთევან მალაშვილი, თვალსაჩინო მხატვარი-პორტრეტისტი დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის, ელენე ახვლედიანის თაობის ხელოვანია, ამ შესანიშნავი მხატვრების თანარაზმელია. ამ სახელების გარეშე ქართული საბჭოთა ხელოვნება წარმოდგენილია.

ქეთევან მალაშვილმა რთული და დიდი შემოქმედებითი გზა განვლო. რევოლუციამდელი რეალიზმის საწინააღმდეგო ტენდენციებს ბევრი მხატვარი ადამიანის შინაგანი ბუნების სიმართლით წარმოსახვის უარყოფამდე მიჰყავდა. აღრეული, ცვალებადი ესთეტიკური იდეალებისა და ნაირნაირი მიმართულებების ხანაში, რითაც განსაკუთრებით აღბეჭდილი იყო 20-იანი წლები. ქეთევან მალაშვილი რჩებოდა მხატვარ-რეალისტად, დაზგური ფერწერის კულტურის ერთ-

გულ შემოქმედად. იგი იყო ძალზე მთლიანი მხატვრული ბუნების პიროვნება, თანმიმდევრულად იცავდა ხელოვნების თავისთვის ორგანულ კონცეფციას, მაგრამ არასოდეს ჩაკეტავდა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი დოგმის ჩარჩოებს. იგი უარყოფდა სქემებს, მკვდარ კანონებს, მთელი ცხოვრება ეძიებდა ახალ და ახალ გამომსახველობით სამუალებებს, მიღწეულით არ კმაყოფილდებოდა, სრულყოფდა ოსტატობას, ეზმარებოდა ყოველივე მოწინავეს, რასაც ცხოვრება წამოჭრიდა.

საბჭოთა ხელოვნების ძალა დადებითი იდეალების დამკვიდრებაში ვლინდება. ქეთევან მალაშვილმა დავიტიკოვა დიდი გალერეა პორტრეტებისა, თავის ნამუშევრებში წარმოაჩინა ბუნება შემოქმედი, მოაზროვნე ადამიანისა. ამ პორტრე-

ტების აზრობრივი დატვირთვა და ემოციური გამომსახველობა ქ. მაღალაშვილის შემოქმედებას მთელი საბჭოთა სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო მოვლენად ხდის.


ქ. მაღალაშვილის ჩვენამდე მოღწეული ყველაზე ადრეული ნამუშევრები ეკუთვნის იმ დროს, როცა მხატვარი სწავლობდა მოსკოვის ფერწერის, ქანდაკებისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში. თემატურად ისინი მკვეთრად იყო-

მედ წარმოვიჩინეს დახატულ პიროვნებათა შინაგან ბუნებასაც, სახის, სხეულის ნაკვთებს მხატვარი პლასტიკური ანატომიის კანონების თანახმად აგებს, რისთვისაც მკვეთრ სიბრტყეებსა და შუქრდილებს იმარჯვებს. მიუხედავად იმისა, რომ ყოველ ნახატში კონსტრუქტიული აგების თავისებურებები იკვეთება, მოდელი წარმოვიდგინეს ცოცხალ ადამიანურ ხასიათს. ამასთან, უკვე ამ აღრინდელ ნამუშევრებში შეინიშნება



ნატო ვანიადის პორტრეტი

უმანგი ჩიბუძის პორტრეტი



ფა ორ ჯგუფად: თაბაშირიდან, შიშველი ნატურიდან შესრულებული ნახატები და პორტრეტები.

ნახატები ფანქრითაა შესრულებული საშუალო ფორმატის (50X60) ქალაქდზე უკვე ამ აღრინდელი ნახატებითაც შეიძლება წარმოდგენის შექმნა მომაჯალი მხატვრის ინტერესთა მიმართულებებზე. შიშველი სხეულის ჩანახატები უფრო დაუდევრადაა შესრულებული და, ხშირად დაუსრულებელის შთაბეჭდილებას სტოვებს. გაცილებით უფრო გულდაბეჯითებით ხატავს ქ. მაღალაშვილი პორტრეტებს. მხატვარი აღწევს არა მარტო ტიპაჟთან გარეგნულ მსგავსებას, არა-

სხვადასხვაგვარი მანერა, რაც ნაკარნახევია მხატვრის სურვილით, ყოველი კონკრეტული ამოცანის გადაწყვეტისათვის მოენახა ყველაზე უფრო მეტყველი ფორმა, რომელიც მოდელის ხასიათს გამოავლენდა. ასე, მაგალითად, ჭარმაგი მაჭაკაცის პორტრეტი დახატულია ენერგიული, მკვეთრი შტრიხებით, რომლებიც მკვეთრად წარმოაჩენენ სქელი წარბების რკალს, მოკუმული ტუჩების ხაზებს, სახის ღრმა ნაოჭებს. უფრო რბილადაა მოდელირებული ხნიერი ქალის მოდელი. კამკამა თვალები გულღია, მიმნდობი მზერა აქ უკვე სხვა ბუნების ადამიანს გვაცნობს და მხატ-

ვარი ამოცანას წყვეტს ფანქრის მსუბუქი მონა-
სმით, მკრთალი ტუშირებით.

1917 წელს ქეთევან მაღალაშვილი სწავლას
თავს ანებებს და სამშობლოში, თბილისში ბრუ-
ნდება. აქ იგი იწყებს ძველქართული სამოსელის
შესახებ მასალების შეკრება-შესწავლას, მუშაობს
გიორგი ჯაბადარის თეატრ-სტუდიაში, იღებს
X-XI საუკუნეების ქართული ფრესკების ასლებს,



სიმონ ნიჭიანის პორტრეტი

კახეთში ყოფნის დროს ქმნის მამიდის — ნუცა
სულხანიშვილის პორტრეტს.

ეს სახე აღბეჭდილია სისადავითა და უშუა-
ლობით, იმ ნიშნებით, რომლებიც მხატვრის მა-
ნერისათვის არსებითი იყო შემდეგშიც. ამ პორ-
ტრეტში შეინიშნება მეორე, არანაკლებ მნიშვნე-
ლოვანი მომენტი. ესაა მხატვრის მკაფიოდ ხაზგა-
სმული, მკვეთრად პირადული, ემოციური დამო-
კიდებულება მოდელთან. ახლობელი ადამიანის
მიმართ ნახი და სათუთი გრძნობაა გადმოცემუ-
ლი ამ ნამუშევარში. ნათლი, გახსნილი სახე
ხანშიშესული ქალისა, რომელიც მისი პორტრე-

ტის ხატვის წინ საგანგებოდ მორთულა კახური
ჩისტკოპით, ირვლივ შინაური სიმკუდროვის,
უდრტინველობის განწყობილებას ასადგურებს.
ამვე პერიოდს ვაკუთვნებთ ჩვენ უჩნობი ქალის
პორტრეტს (ზეითი). (ესა და ნუცა სულხანიშვი-
ლის პორტრეტს ჩვენს მიერაა მიკვლეული).
ამ დასკვნამდე მივღვართ მოსკოვის ფერწერის,
ქანდაკებისა და ხელოვნობის სასწავლებელ-
ში ქ. მაღალაშვილის მიერ შექმნილი პორტრე-
ტების ანალიზის შედეგად.

უჩნობი ქალი ძლიერი პიროვნება ჩანს. ესაა
აშკარად გამოსატული ინდივიდუალობა, შინაგა-
ნად დამოუკიდებელი ადამიანი. მკრთალი სახე,
მკაცრი და დალილი გამომხედვა, შავი შეჭალა-
რავებელი თმები... ყოველივე ეს ხაზს უსვამს მო-
დელის სხეულს ცხოვრებისეულ გამოცდილებას.
ტუჩები მაგრად მოუკუმავს, ფიჭურში ჩაძირულა,
სახეზე მძაფრი ტეივილი აღბეჭდილია.

ქ. მაღალაშვილის პირველი მნიშვნელოვანი
ნაწარმოებები 1921 წ. მიეკუთვნება. ეს პერიო-
დი ქართული ინტელიგენციის ინტენსიური მოღ-
ვაურობით ხასიათდება. ქ. მაღალაშვილი მუშაო-
ბას იწყებს იმხნად შექმნილი ეროვნული სამხატ-
ვრო გალერეის ბიბლიოთეკაში, პარალელურად
ქმნის დ. შევარდნაძის, ი. ნიკოლაძის, ე. ახვლე-
დიანის, მწერალ გ. შარაშიძის (თავუნა), ქი-
რურგ მაჭავარიანის, თეონა ნიკოლაძის, ლევან
ხუნდაძის (ეს ორი უკანასკნელი ნამუშევარი
ჩვენ აღმოვაჩინეთ) პორტრეტებს.

ქ. მაღალაშვილის აქტიური შემოქმედებითი
ბიოგრაფია ამ პორტრეტებით იწყება. ძნელი სა-
თქმელია, რა აძლევდა ამ პერიოდში იმპულსს
მოდელის შესარჩევად, — ქვეყნეული ადგილ
დაღვინებული მხატვრისა, რომელსაც კვლავ
ესმის, რა ძნელია პორტრეტისტიკის ამოცანა, წმი-
ნდა ემოციური მომენტი, სურვილი მომხიბვლე-
ლი ადამიანების დახატვისა თუ პირად-ყოფი-
თი ახლობლური ურთიერთობები. ალბათ, ყველა
ეს გარემოება ერთდროულად, ახლობლებისა და
მგობრების სტკვა პორტრეტისტიკის ამოცანას თი-
ქოს ადვილებს, რადგან ის კარგად იცნობს ამ
ადამიანების ბუნებას, მეორეს მხრივ, ეს გარემო-
ება სწორედ რომ ართულებს მხატვრის ამოცანას
— მას უჭირს იყოს თავისი ახლობლების შინა-
განი ბუნების, ხასიათის მიუდგომელი, ობიექ-
ტური ანალიტიკოსი.

ქ. მაღალაშვილის ადრეული ნახატების შესწა-
ვლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ იგი იმთა-
ვითვე, როცა ხელოვნებაში პირველ ნაბიჯებს
დგამდა, ფიქრობდა, დაკვირვებული მხატვარი იყო.
პორტრეტებში არ იგრძნობა მოდელის იდეა-
ლიზაცია, ვერც, აქვს ადგილი შედარებულ
დეტალებს და ელემენტებს, ალწერით, თხრო-

ბით მანერას, მოდელი თვით გვეუბნება თავის თავზე სათქმელს. მოდელი, ჩვეულებრივ, წელს-ზევით ან სარტყელს ზევითაა ასახული, გამოსხედავ, მზერა მშვიდია. მხატვარი ისწრაფვის, რომ მიდელი ჩვენი გულსაყური მიაპყროს მოდელის სარტყელს.

თვით მოდელის „ნატურალური“ კოლორიტი ესადაგება ფერთი აქცენტებზედ ფონს, რომელიც ხშირად გვეხმარება პიროვნების ემოციურ დახასიათებაში, შეაქვს მოდელის ხასიათში სიმძაფრე, პორტრეტების ფერწერული პალიტრა შეზღუდულია.

ქ. მაღალაშვილის პირველ პორტრეტში შეინიშნება სიყვარული ამა თუ იმ ფერთა შესაბამისა. მათში აუცილებლად ინიჭება შავი ან მუქი-ცის-ფერი წითელთან შეხამებისა და მცირე თეთრი ლაქით, რომელიც ხაზს უსვამს ფერის სიმსუყვეს და იმედროულად, პორტრეტს დახვეწილობასა და სიმბატიფეს ანიჭებს. ფორმის ფერწერული მოდელირება გამოირჩევა სილბოთი, ცოცხალი, სახიერი გამომეტყველებით. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა პორტრეტზე გამოსახული პიროვნების გადმოცემას. ზემოთ აღნიშნული პორტრეტებისათვის საერთო ეს ნიშნები მხატვრის ნაწარმოებში არ ქცეულან გამომსახველობითი საშუალებების, კომპოზიციური და ფერადი სტრუქტურების სქემებად.

ამ თვალსაზრისით ტიპური ად. შვეარდნაძის* პორტრეტი, რომელშიც საინტერესო ფერწერული გადაწყვეტა, არტიკული პლასტიკა ერწყმის ღრმა ფსიქოლოგიურ დასაბუთებას. უწინარეს ყოვლისა, პორტრეტი მითითებს უძველეს მსგავსებას მოდელთან. მაგრამ გარეგნული მსგავ-

სების იქით მხატვარმა შესძლო მოდელის იშვიათი თვისებების წარმოჩენა. ძლიერი, შეუდრეკი ადამიანი, რომლის დაუოკებელი ენერჯია და ანალიტიკური გონება მუდმივ ურთიერთიდიდობაშია, — ასეთია ად. შვეარდნაძე ქ. მაღალაშვილისეულ პორტრეტში. რამდენადმე განსხვავებული ემოციური ვასალები მთარო მხატვარმა იაკობ ნიკოლაძის პორტრეტს. ეს პორტრეტი დიდი ქართველი მოქანდაკის საიუბილეოდ იქმნებოდა. შესაძლოა, სწორედ ამ საიუბილეოდ განწყობილებამაც გამოიწვია პორტრეტის გადაწყვეტა. ლამაზი სახე, ხშირი წვერ-ულავაში, დაუდევრად, შესაძლოა, კოკეტურადაც კი მოგდებული მოსასახში, — ყოველივე ეს მტკიცეობს მოდელის არტიკულ ნატურაზე, რომანტიკულ შთაგონებაზე.

როდესაც ამ პერიოდის ნამუშევართა ღირებარებაზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ ისინი ყველა თანაბრად ფასეული არაა, ზოგიერთში იგრძნობა სიცივე, სქემბატურობა, ზოგიერთი პორტრეტის კოლორიტულ გადაწყვეტაში შეინიშნება შეზოგილება, გაუბედაობა (ქირურგ მაჭავარიანის, შარაშიძის პორტრეტები).

ქ. მაღალაშვილი ოსტატობის სრულიყოფისათვის გაგზავნის საზღვარგარეთ (ჯერ გერმანიაში — მიუნხენში, შემდეგ საფრანგეთში). პარიზში ქ. მაღალაშვილმა სახელისწილი იქორავა კამპან პრემიერზე, რამდენიმე დღის შემდეგ კი უკვე მიაბიჯებდა ვიქტორ ბიუგოს ქუჩაზე, სადაც იმყოფებოდა იმ დროს პოპულარული კოლაროსის კერძი „აკადემია“, რომელიც ჯერ კიდევ XIX საუკუნის 80-იან წლებში იტალიელმა მოქანდაკემ ფილიპ კოლაროსიმ დააარსა. „პარიზის კერძი აკადემიები საოცრად ბევრს აძლევდა მხატვრებს, — ისინებებს ლადო გუდაიშვილი. — ყოველგვარი ჯაჰოდუა გარკვეულ, გარკვეული, საგამოდ ხელმისაწვდომი საფარული აქ ნებისმიერ მსურველს ეძლეოდა დაშუალება მიეღო კონსულტაცია. მხატვრების მუშაობას თვალს ადევნებდნენ გამოცდილი პედაგოგები, მაგრამ ისინი თვითმხურად არ ენეროდნენ ხატვის პროცესში. როცა ეს აუცილებელი იყო, პედაგოგები სიამოვნებით აძლევდნენ მხატვრებს მითითებებს, პასუხობდნენ შეკითხვებზე (ლადო გუდაიშვილთან საუბრიდან — 1976 წლის ივლისი). საინტერესოა, რომ კოლაროსის აკადემიაში ერთხანს უღლია პოპოგენის (ჯონ რეგალი, „პოსტიმპრესიონიზმი“) კოლაროსის აკადემიაში, პარიზის მრავალი სხვა კერძი აკადემიის მსგავსად, მრავალი უც-

* ად. შვეარდნაძის დიდი დამსახურება მიუძღვის ქეთევან მაღალაშვილის შემოქმედებით ფორმირებაში. იმხანად შექმნილი ეროვნული სამხატვრო გალერეის დირექტორი ყოველმხრივ უწყობდა ხელს ნების ახალგაზრდა თანამშრომლის ნების ვაფორქქვანის. ად. შვეარდნაძის უშუალო ზედამხედველობითა და ხელმძღვანელობით შეიქმნა ქ. მაღალაშვილის პირველი პორტრეტები. საინტერესოა იაკობ ნიკოლაძის ქალაშვილის, თეა ნიკოლაძე-კვდიას ნაამბობი. 1923 წლის გაზაფხულის ერთ დღეს პატარა თეა კობტად გამოაწყვეს და მამამ იგი ერთგულ სამხატვრო გალერეაში წაიყვანა. ქვედა ოთახებში (იქ ახლა ფონდები და კანცელარია) თეამ დინახა ერთი წლის წინათ, სიუბილეოდ, დახატული პორტრეტი მამამისისა, იქვე დგა მამობიარე ქალაშვილი, ამ პორტრეტის ავტორი — ქეთევან მაღალაშვილი. ნიკოლაძემ ბავშვი ქეთევანს დაუტოვა, რომელშიც იმ დღეს ეტიოღები გაათავა თეას პორტრეტისათვის. სენსის დროს ოთახში შემოდოდა ად. შვეარდნაძე და მხატვარის საგულსსპო მითითებებს აძლევდა.

ხოებიდან ჩამოსული მხატვარი დადიოდა. აქ დასადგურებელი უშუალოდ თავისუფალი ატმოსფერო ახალგაზრდა ქ. მაღალაშვილის საშუალებას აძლევდა სწრაფად აეღო ალღო ვითარებისთვის, ხოლო პარ. ზე. ელენე ახლელიანის ჩასვლის შემდეგ კოლარობის აკადემიაში სიარული ორგზის საინტერესო გახდა. მაშ, ასე, ერთად შეივარა პარიზში ოსტატობის სრულყოფისათვის ჩასული ოთხი ახალგაზრდა ქართველი მხატვარი — დავით კაკაბაძე, ლადო გუდიაშვილი, ელენე ახლელიანი, ქეთევან მაღალაშვილი (მხატვარი შ. ქიქოძე 1921 წ. ქ. მაღალაშვილის პარიზში ჩასულამდე გარდაიცვალა). ცოტა ხნის შემდეგ ამ ოთხეულის გამოსვლით ქართული მხატვრობა ახალ სახეს მიიღო, ჯერჯერობით კი... მათ თვალწინ ზედიზედ იღება ლუერის აუარაცხელი კარი და ეცნობიან ხელოვნების ზღვარდაუღებელ შესაძლებლობებს. ახალგაზრდა ფრანგი და პარიზში სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსული მხატვრების გამოფენებს ისინი შეჰყავს იმ პრობლემების სფეროში, რომლებითაც ცხარობდა იმ დროს XX საუკუნის ევროპის მხატვრული ცხოვრების არარსებული ცენტრი, პარიზს ჩასული ოთხი ქართველი მხატვრის შტაბ-ბინა ხდება ქართველი „პარიზში“ სოლორაშვილის ბინა, სადაც ადრე სახელონო ჰქონდა დავით კაკაბაძეს. კვირაში ერთხელ ახალგაზრდები იკრიბებიან სოლორაშვილიან. სამუშაოდ ხშირად მიემგზავრებიან პარიზის გარეუბნის სოფელ სოშიში (ელენე ახლელიანი თან საუბრიდან — 1975 წლის ივნისი).


ყოველივე ეს მუშაობაში დამოუკიდებლობას არ გამოირჩხვავდა. მკაცრი მომთხოვნელობა საკუთარი თავის მიმართ ქ. მაღალაშვილს აიძულებდა გაენადგურებინა ბევრი თავისი ნამუშევარი, ამავე დროს, იმხანად მხატვარი მიმდებოდა აუდმოფობდა, ამიტომაც იმ პერიოდის მის ნამუშევართაგან ჩვენამდე მოღწეული ნაწარმოებებითაც ჩანს, რომ ქ. მაღალაშვილი განაგრძობდა თავის საყვარელ — პორტრეტის თანხში მუშაობას. და აქაც მოდებდა ჰყავს თავისი წრის ხალხი — მხატვრები, მასხიოები, მწერლები. იმ პერიოდის ერთ-ერთი პირველი ნამუშევარია ქ. ახლელიანის პორტრეტები. ქ. მაღალაშვილი არც აქ აღლატობს, პარიზამდელი პერიოდის ნახატებში რომ ელტვოდა, იმ ფერთა შეხამებას, მაგრამ აქ მინც იგრძნობა ევროპული კლასიკური ხელოვნების სამუშეუმი ნიმუშებთან ნაცნობობა. მასში გამოვეთვლილად ჩანს ის „ამოყანა“, ის კომპოზიცია, როლის დროსაც არც მხატვარი და არც მოდელი არ მალავს პოზირების ფაქტს. ამ ნაწარმოების

პროგრამულობისა და „სამუშეუმი“ განწყობა მიუხედავად ქ. მაღალაშვილს შესძლო ჰქალს ცოცხალი ხასიათის გალერეცხვა. პირველ ყოვლისა, ეს შეეხება კოლორიტს, ხატვის მანერას — ადრინდელზე უფრო ლაღს, ტემპერანენტულს. უშუალებლი იყო პარიზში ცხოვრებას და იმპრესიონისტებთან ნაცნობობას კვალი არ დაემჩნია ქ. მაღალაშვილის შემოქმედებაზე. იმპრესიონიზმმა, რომელმაც დიდი ზეგავლენა მოახდინა მრავალ მხატვრულ მიმართულებაზე, ქ. მაღალაშვილი მოხიბლა მოდელითან მაქსიმალური მიახლოებისკენ სწრაფვით. მას ხიბლავდა იმპრესიონისტების უშუალოდ, თითქოს პირველად ეს-ესა და დინახსე მოდელი თუ ესა თუ ის მოტივი, რადაც სხვაგვარად განიცდიდნენ ისინი სამყაროს. ქ. მაღალაშვილი ხატავს დინამიკურ, თითქოს „ფარული თვალით“ დინახულ სამყაროს. იგი იწყებს მუშაობას მუყაოზე, რომლის მკვირვ ზედაპირს, სრულქმნილი ფორმის მისაღებად, საკმარისია წყისვას საღებავის თხელი ფენა.

მხატვრის ფერწერული ნამუშევრები ხდება პაერთვანი, გამჭვირვალე, მორთოლავი, მაგრამ სახეებს ამით ცხოვრებისეული დამაჯერებლობა არ აკლდებათ. მაგალითად აქ შეიძლება ტანია კაკაბაძის გეითევი გამოვლდეს. ამავე ნიშნებით ხასიათდება, აგრეთვე პიანისტ ირაკლი ორბელიანის* პორტრეტი. მასში და ზოგიერთ სხვა სურათში აისახა მხატვრის იმ პერიოდის მანერის თავისებულება. „სტაბილური“ პოზა მუციკოსისა (იგი გამოსახულია პროფილით, გულზეხეულდაკრფილი); რომელიც დუმად ღრმად ჩაძირულია თავის ფიქრებში, მინც გამომოვეცემს ანატისის შინაგან ტემპერამენტს; მსუყე თავისებურად მოსული საღებავი ქრის ექსპრესიას, იქმნება მუყაოს ზედაპირის თიმთიმის შთაბეჭდილება. მხატვარი აქა-იქ დაუშუშავებლად ტრეკებს მუყაოს, რომელსაც ნაწარმოების ფერწერულ ქსოვილიმ რთავს

* თბილისის კონსერვატორიის ეტრსდამთავრებულმა პიანისტმა ირაკლი ორბელიანმა დიდი წარმატებით ჩაატარა კონცერტები საფრანგეთში. 1925 წლის 11 ნოემბერს გახუთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუში პარიზიდან ცოტა ხნის წინათ დაბრუნებული ლადო გუდიაშვილი ამბობდა: „...საფრანგეთში ცხოვრობს ახალგაზრდა ქართველი პიანისტი ირაკლი ორბელიანი, რომელმაც უკვე ჩაატარა სამი კონცერტი პარიზში. მის კონცერტებს უმატებ მსმენელი ესრება. ფრანგულმა პოემა მაღალი შეფასება მისცა ორბელიანის ხელოვნებას. მას დიდ მოპაუღს უწინასწარმეტყველებენ“. საფრანგეთში პიანისტის დიდ წარმატებაზე მივკვირბობს 1927 წლის 22 თებერვლის გახუთ „კომუნისტს“ „ხელოვნების ქრონიკა“.

პარიზის პერიოდის შემოქმედებითი ძიებისათვის დამახასიათებელი საპორტრეტო მოდელის ცხოვრების ერთი, მიოვლენ მონაკვეთის ასახვა. ეს თავისებურება თვალსაჩინოა სუსანა ღამბაშიძის ეტიუდში (მხატვარი ს. ღამბაშიძე პარიზში, ვაიონისა და კასტელუროს კერძო აკადემიებში სწავლობდა). ეს ეტიუდი თემატიკითაც და გააზრებითაც განსხვავდება პარიზამდელი პერიოდების ფიჭრინი, თავდაპირველი პორტრეტებისაგან. ჟანრობრივი მოტივი, რომელიც საფუძვლად უდევს კომპოზიციას, მიმდინარე მოქმედების ფიჭირება, აგრეთვე მისი გარეგნული მოტივირება უჩვეულოა მხატვრისათვის. თეთრი საყვლოდან ყვავილეფთას ამომართული ოქროსფერთმიანი თავი და სახის პროფილი. ფიგურაც ასევე პროფილშია მოცემული. ქლიბი, რომელიც ქალიშვილს ხელში უჭირავს, თითქმის სურათის ცენტრშია მოქცეული და ყურადღებას იქცევს ნაპერწკლური ბრწყინვალეობით. ამ სახეს ავირგინებს ნატიფი ხელების მშვიდი ფესტი. ძალდაუტანებელი და ბუნებრივი პოზა ქალის ელკანტურობასა და გრაციოზულობას უსვამს ხაზს. პორტრეტში ფერადი გამა მოცემულია მდიდრული ნიუანსირებით. ფერი ემოციური ვაწყობის ვადმოუკვშია.



ლევან გოგობაშვილის პორტრეტი

1926 წელს ქ. მაღალაშვილი პარიზიდან თბილისს ბრუნდება. მისი შემდგომი ცხოვრება და შემოქმედება თითქმის მთლიანად თბილისის უკავშირდება. 1926 წლიდან ქ. მაღალაშვილი ეროვნულ გალერეაში მუშაობდა მხატვარ-რესტავრატორად ამ მოვალეობას იგი ასრულებდა 1936 წლამდე, გადმოიღო ხახულის ლეონიშვილის მინაწერული ხატის, გელათის მოსაიკის (გაბრიელ მთავარანგელოზის თავი) და ნაბახტევის ეკლესიის ფრესკების შესანიშნავი ასლები. 1936 წლიდან მხატვარი გალერეაში მუშაობას თავს ანებებს და მთლიანად შემოქმედებით მოღვაწეობაზე გადადის.

პირველი პორტრეტი, რომელიც მხატვარმა საშობლოში ჩამოსვლის შემდეგ შექმნა, დიდის პორტრეტი იყო. ამ მოდელის არჩევა დედასთან აბდენი ხნის განმარების შემდეგ საკვებით ბუნებრივად გვეჩვენება, ცხადია, დედის პორტრეტში ქ. მაღალაშვილი დიდ სითბოს აქსოვს, მაგრამ იგი არ აიდვალეს მოდელს. პორტრეტზე გამოსახულია ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ხანდაზმული მანდილოსანი, ნაოჭებიანი სახე სახვამით მტკვლებს, რომ მას ბევრი განუცდია და გადაუტანია. მაგრამ, ამასთანავე, სურათზე ყურადღება გამახვილებულია მოდელის ფიზიკურ დახასიათებაზე. ცხოვრებისეული სიბრძნე, რაღაც

გაუმხელელი ნაღველი იკითხება მანდილოსნის სახეზე, ავსებს რა თითქმის მიწვეული ტოლის ზედაპირს მოდელის ფიგურით, მხატვარი ქმნის მონუმენტურ ხასიათს, რაც, საბოლოო ჯამში, ნამუშევარს განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ აზრს ანიჭებს. თავისი კვალი თუ დაინახა პორტრეტს პარიზში გატარებულმა სამმა წელმა? მაინც რა შეიძინა ქ. მაღალაშვილმა საზღვარგარეთ? ეს ბუნებრივი კითხვებია. გარკვეული აზრით, ქ. მაღალაშვილი პარიზში წასვლამდე ჩამოყალიბებული მხატვარი იყო, ამიტომ, რომ იგი პარიზისშემდგომ პერიოდშიც თავის თავის ერთგულ მხატვარად რჩება. ამით იმის თქმა როდი გვიძინა, თითქმის მხატვარს პარიზში ოსტატობა არ აუმაღლებინოს. პირიქით, პარიზის შემდეგ მის ნახატში განმდებარე თვითრწმენა, კოლორიტის უფრო ღრმად გააზრება. კოლორიტის უფრო მეტად დამორჩილება სახის ფსიქოლოგიურ აზრს და, რაც მთავარია, გამოიკვეთა მეტი თავისუფლება მოდელთან მხატვრის ურთიერთობაში.

ყველა ეს თვისება, მეტ-ნაკლებად, შეიძლება შევამჩნიოთ პარიზისშემდგომი ათწლეულის პორტრეტებში. თუ პარიზში ყოფნის წლები ძალთა მოკვებისა და მოსიძვების წლები იყო, და, თითქმის, შესამჩნევი ხელსავალიანობით არც გამოირჩეოდა, სამშობლოში ჩამოსვლისთანავე ქ. მაღალაშვილი ნაყოფიერ მუშაობას იწყებს.

ამ პერიოდში შექმნილი ნამუშევრები ექსპერი-
მენტებისა და ცდების უწყვეტი ჯაჭვია. მხატვარ-
ი უწინდებურად ინტელიგენტთა პორტრეტებს
ხატავს, რომელთა უმეტესობა მისი ახლო ნაც-
ნობები, სულიერად მონათესავე ადამიანები
არიან. მაგრამ ამ პერიოდის პორტრეტები, კომ-
პოზიციურად უფრო მრავალფეროვანია. მოდე-
ლის დასახასიათებლად ქ. მაღალაშვილი ახლა
ხელებასც რთავს სურათში, მხატვარი მეტი პა-
სუსისმგებლობით ეკიდება მოდელის პოზას,
ფესტს. ზოგჯერ მოულოდნელ ეფექტს ქმნის
თვით ტილოს ფორმატიც, მაგალითად აქ შეიძ-
ლება დავასახელოთ ი. ხენინაშვილის პორტრე-
ტი. ახალგაზრდა ქალი საყარძელში ზის, ნარ-
ნარი რიტმი, რომელზეც აგებულია ის პორტ-
რეტი, ქმნის სიმშვიდისა და გულისყურიანობის
შეგრძნებას. ოდნავ გამოუჩენილია სავარძლის
სახელები და მათ ხაზებს მიჰყვება მუხლზე
დაკრფილი ნატიფი ხელები. ძველებური სავა-
რძელი, ქალის ლამაზი სახე, ჩამოქნილი
მტკვნელები ქმნიან ხასიათის დახვეწილობის, რა-
ფინირებულობის შეგრძნებას, მაგრამ მხატვარი
არასადე არ გადადის იმ ზღვარს, რომლის იქი-
თაც იწყება „სილამაზე“, საღონ-ობა. მხატ-
ვარი ტკეპბა მოდელით, მისი დახვეწილი სახის
ნაკვეთები, მშვენიერი ხელებით, მაგრამ ხ-
დავს იმასაც, რაც ამ გარეგნობის მიღმა იმა-


ლება — მოდელის შინაგან ბუნებას, მისი სუ-
ლის მოძრაობას: თავის ფიქრებში ჩაძირული
ადამიანის კავშირს მზერას, შეფარულ წუხილს,
ტუჩის კიდევ გამკრთალ ნაოჭს (კომპოზიცი-
ურად პორტრეტი ჩინებულად გადმომავცემს ამ
სულიერ მდგომარეობას: მოდელი ისე ზის, რომ
მისი სახე და ტოჩის მთორე პლანზეა, რითაც
იქმნება სივრცის შეგრძნება — სახე და ტოჩის
თითქოს დაშორებულია „გამიჯნულია“ მაცუ-
რებელისაგან, ქალისა და მაცურებლის თვალი
ერთმანეთს არ ხედება).

სულ სხვაგვარადაა გადაწყვეტილი აკადემი-
კოს შ. ამირანაშვილის პორტრეტი. ეს მომცრო
ნახატი ეტრუდად ითვლება, მაგრამ სახეობრივი
დახასიათება აქ იმდენად გამოკვეთილია, რო-
სიტიკვა „ეტრული“ აქ მხოლოდ ფერწერის ჩან-
რის მიმართ თუ შეიძლება ვინმართო. „მსუი-
ლი პლანი“ თითქმის ნატურალური ზოის
დახატულ სახეს თითქმის მთელი ტილო უჭი-
რავს, იგი მაცხიმალურად უახლოვდება მაცუ-
რებელს, რაც მასთან საოცარ კონტაქტს ქმნის.
შლაპის ტალღისებური ფარფლები, მხრების
მოსახულობა, ჩარჩოს ვერტიკალური ჭრილები,
რომლებიც თვით პერანგთან მეტი პიჯაკის კო-
ნტაქტს ქმნიან, რაც მთავარია, ქმნიან ცოცხა-
ლი, ტემპრამენტული ნატურის შეგრძნებას.

პარიზისშემდგომი პერიოდის ერთ-ერთ საუ-
კეთესო ნამუშევრად მიგვაჩნია ჩვენს მიერ მი-
ვლული „ირაკლი გამრეკელის პორტრეტი“. ქ.
მაღალაშვილი გულისყურით გამოჰკვეთს მოდე-
ლის დამახასიათებელ გარეგნულ ნიშნებს: თხე-
ლი თმა, მაღალი, ამობურცული შუბლი, ძლიერი
ნებისყოფის წარმომჩენი ნიკაპი, გაოცებით
აზიდული წარბები, ფართო თვალები. მაგრამ
მიდელის შინაგანი ბუნება ამ ნიშნებით არ
იწურება, იგი ყველაზე მეტად წარმომჩენდა
მწერით — საოცრად ცოცხალი, ოდნავ დაძა-
ბული, გაფაციცებული გამოხედვით.

ამგვარად, პარიზის შემდგომი პერიოდი ად-
რინდელი მოდელების წრეს უტრიალებს, მაგ-
რამ ახლა მხატვარი ცდილობს პარიზში შექმნი-
ლი ჩვევების და გამომსახველობითი საშუალებ-
ების გამოყენებას. აქ მკვეთრ ნახტომზე ლაპა-
რაკი არ შეიძლება. ზოგიერთი პორტრეტი (ი.
ხენინაშვილი, თ. ჩოლოყაშვილი, ი. დამბარაშ-
ვილი, ა. ქავთარაძე — ორი უკანასკნელი ჩვე-
ნი აღმოჩენილია) ახლოს დგას ადრინდელი პე-
რიოდის პორტრეტებთან. სხვა ნამუშევრებში
(შ. ამირანაშვილი, თ. ვირსალაძე, ი. გამრეკე-
ლი, ვ. სიღამონ-ერისთავი და სხვ.) თავს იჩენს
ახალი ნიშნები, ახალი ხელწერა. პარიზამდელ
და პარიზისშემდგომ პერიოდებში შექმნილ ნა-

ჰენრის ნეპოლუსის პორტრეტი



წარმოებებს შორის მკვეთრი ზღვარის არარსებობა იმის საფუძველზე გვაძლევს, რომ მთელი ეს პერიოდი ჩავთვალოთ განუყოფელ ეტაპად მხატვრის შემოქმედებაში, ეტაპად, რომელიც მკვიდრ ბაზად ეყვან ისეთი ორიგინალური ხელწერის მქონე დიდი შემოქმედის ჩამოყალიბებისათვის, როგორც იყო ქეთევან მაღალაშვილი.

შემდგომი ეტაპი ქ. მაღალაშვილის შემოქმედებისა, რომელიც მოიცავს პერიოდს 30-იანი წლების შუახანებიდან 40-იანი წლების პირველ ნახევრამდე, დაკავშირებულია, უპირველეს ყოვლისა, ახალ თემათა და ახალ სახეებთან. მნიშვნელოვან ცვლილებას განიცდის მხატვრის ხელწერა, იცვლება კოლორიტი. უფრო რთული ხდება კომპოზიცია. ამ პერიოდში შექმნილი პორტრეტები მოდელის, ნატურის გულდასმით, ხანგრძლივად შესწავლის, ხასიათის უფრო ღრმად და ყოველმხრივ კვლევის შედეგია. მოდელის შესწავლის სისტემაში ამჟამად უკვე მართკუთხედ და ხელები კი არ შედის, არცებითი მნიშვნელობა ენიჭება პოზის, ფესტის, რითაც ფართოდება პორტრეტების სიუჟეტურ-თხრობითი მხარე. მხატვარი ეძებს და იჩრევს იმას, რაც ყველაზე უფრო მეტად და მათხასიათებელი მოდელისთვის. მხატვარი ხშირად სხეულის თავისუფალი მოძრაობით, თავის შერუნებით, ხელების ფესვით გამოხატავს მოდელის ტემპერამენტს. ქ. მაღალაშვილი ისწრაფვის, რომ ფორმას მოცულობითობა მინიჭოს. პირველი პერიოდისთვის დამახასიათებელი „ბრტყლად“ ხატვის ნაცვლად. ტილოს ზედაპირი ხდება ფაქტურული, რხევადი. მხატვარი, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ტილოზე მუშაობს. კოლორიტში 40-იანი წლების ბოლომდე, განსაკუთრებით ომის წლებში, ჭარბობს შუქი ნაცრისფერ-შავი და ყავისფერი. ხასიათის კვლევის ამოცანა ითქვამს მეორე პლანზე სწავს მხატვრულ ძიებებს, სახის ფსიქოლოგიური დატვირთვა მიიღწევა ძუნწ გამოხასხველობითი საშუალებებით.

როდესაც 30-იანი წლების შუახანებიდან 40-იანი წლების პირველ ნახევრამდე განვილი პერიოდის მხატვრის შემოქმედებითი გზის მეორე ეტაპად მივიჩნევთ, უნდა განვმარტოთ, რამე ვეულისსმობთ არა რაიმე სადემარკაციო ხაზს, რომლითაც მკვეთრად გამოიჯივებოდა ერთმანეთისგან ადრინდელი და შემდგომი სტილისტური ინსონები, არამედ მხედველობაში, უწინარეს ყოვლისა, ის ამოცანები გვაქვს, რომლებსაც ცხოვრება, თანადროულია სვამდა მხატვრის წინაშე და რომლის გადაჭრასაც მხატვარი მიზნად ისახავდა.

1935 წელს ფართოდ გავრცელდა მოვატორთა მოძრაობა შრომის ნაცხოფიერების ამაღლებისათვის, თაოსნობა, რომელსაც სათავე დაუდო დონბასელებმა მალარულმა ალექსი სტახანოვმა. მხატვარი ამ მოვლენას ეხმარება ჯგუფური პორტრეტით „სტახანოველთა დასვენება“. ეს ნამუშევარი ქ. მაღალაშვილისთვის ახალი ზღვრები იყო: პირველად შექმნა მან მუშაკაცის სახე, პირველად შექმნა ჯგუფური პორტრეტი (უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე, ვიდრე ჩვენ ამ ჯგუფურ პორტრეტს აღმოვაჩინდით, ქ. მაღალაშვილმა არცბულ ლიტერატურაში გამოთქმული იყო აზრი, რომ მან მუშის სახეს პირველად 50-იან წლებში მიმართა და ერთადერთი ჯგუფური პორტრეტი — ორდენისების სურათი შექმნა).

სიმაართლე რომ ვთქვათ, ეს ნამუშევარი ქ. მაღალაშვილის შემოქმედებით მიღწეულ ვერ ჩაითვლება. მხატვრის გასამართლებლად ის გვეთქმის, რომ მას პირველად მოუხდა ამგვარი ამოცანის გადაჭრა, — რამდენიმე, მისთვის უცნობი ადამიანი ერთ ნაწარმოებში უნდა მოეცია, ისე რომ ყოველი მათგანისთვის ინდივიდუალობა შეენარჩუნებინა და თან, უნდა მოეხდა ის საერთოც, რაც მათ ერთობლიობას განსაზღვრავდა. ქ. მაღალაშვილმა მინახა პორტრეტის სიუჟეტური მოტივი — სტახანოველები სუფრას შემოუსხა, ერთ მათგანს ხელში გახვითი დააკავებინა, ის კითხულობს, სხვები უსმენენ. მაგრამ კომპოზიციის ხელოვნობა და ნაძალადეობა თვალმისაცემია. ეცხოება, ამას მხატვარიც გრძნობდა. პორტრეტი დაშთაფრებლის შთაბეჭდილებას სტოვებს.

იმევე წელს ქ. მაღალაშვილი ქმნის მეორე ჯგუფურ პორტრეტს ორდენისებისა: იაკობ ნიკოლაძე, ელენე ახვლედიანი და თამარ ჭაჭავაძე. იმის მიხედვად, რომ პორტრეტზე გამოხასხული სახეები პირველად საერთო საქმით — ხელოვნებით არიან ეკონომიკითან სისხლბორცულად დაკავშირებულნი, მაინც პორტრეტზე არც კომპოზიციური, არც შინაგანი მთლიანობა არაა მიღწეული. მართალია მოდელგებთან მსგავსება უდავოა, მაგრამ თვით მოდელის სტატიკურობა, პოზირების სიპაკარავე ამ სურათს ბევრს აკლავს.

ამ პერიოდის პირველ წარმატებულ შევიძლია ჩავთვალოთ შალვა დადიანის პორტრეტი. შ. დადიანი პორტრეტზე გამოსახულია ერთწელი ჩოხა-ახალციხით, ხელი ხანჯალზე უდკისკე ზუსტად გულისყურითაა მოდელირებული. კრებაა გადმოცემული იუმირით სახეც, ცოცხალი თვალის გამოხედვა. მოდელის პერსონაჟი

ნიფიცირებას ხელს უწყობს აპრეზილი ულვაშები, ჭლარა, ჯილილი თიბები. ყველაფერი ეს, მილიანობაში, პორტრეტს ექსპრესიულს ხდის.

ომის პერიოდში ქ. მაღალაშვილი სხვა ქართულ მხატვრებთან ერთად, ყველაფერს აკეთებდა, ძალ-ღონის დაუზოგავად იღვრება ფორნტის დასახმარებლად: აფორმება აგიტაქუნქტებს, ხატავდა პანოებს, ომის გმირების პორტრეტებს. განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ჩვენს მიერ მიგნებული პირველი დივიზიის უფროსის, საბჭოთა კავშირის გმირის ალექსანდრე პირმისაშვილის, ომში გმირულად დაღუპული დროეულისა და სხვათა პორტრეტები.

ომის წლებშიც ქ. მაღალაშვილმა შექმნა შემოსწმედებით ინტელიგენციის წარმომადგენელთა მრავალი პორტრეტი. ამ და ომის შემდგომ წლებში შექმნილი სხვა პორტრეტების ანალიზი უფლებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ მხატვარი თავისი ტალანტის გაფურჩქნების სტილიაში შევიდა.

მხატვარი გაურბის ნატურის ტრანსფორმირებას, ყოველთვის ერთგულობს მას, გადმოგვცემს პიროვნების ზუსტ, კონკრეტულ ნიშნებსა და თვისებებს, მაგრამ ისე, რომ ახერხებს ყოველ პორტრეტში გადაჭრის რთული კოლორისტული, კომპოზიციური და რიტმული ამოცანები. გამომსახველობითი საშუალებების სისტემაში ჩართულია ტილოს ფორმაც, ფონისა და ფიგურის შეთანაბრებაც. მხატვარი სახის შესაქმნელად „ამუშავებს“ სილუეტსაც და ტილოზე ასახულ ყოველ თუნდაც მცირე დეტალს.

როდესაც ქ. მაღალაშვილის შემოქმედებას მილიანობაში ვაანალიზებთ, ყველა საფუძველი გვაქვს ვამტკიცოთ, რომ ის სახის ხატვის ოსტატი იყო, არ ქმნიდა მნიშვნელოვან ტილოს რადიღოზე ხედვებთან, ქ. მაღალაშვილს შემოქმედების მიუყვარდა სახე, ქ. მაღალაშვილს შემოქმედებით, მაგრამ თუ იგი მოდელს ინტერიერში წარმოგივადგენა (ნეიტრალური ფონისგან განსხვავებით) ან ტილოზე მოაქცევდა რომელიმე დეტალს (წიგნი, მაგიდა, სკამის სასურრე), ყველაფერს სახის გახსნის ამოცანას უმოწყობდა. რასაკვირველია, ქ. მაღალაშვილის მიერ შექმნილი პორტრეტების დიდ გაღერებაში ყველაფერი თანაბრად დასაყული არაა, მაგრამ მის საუკეთესო ნამუშევრებში გადმოცემულია მოდელირების ღრმა და ბევრისმთქმელი ბუნება. პოზა, ფესტი, სახის გამოთქმეცლება, გამოხედვა ამ პორტრეტებში მოტივირებულია მოდელეების ბუნების, სულის ღრმად წვდომით, ცხოვრებისეული სიმართლის შეგრძნებით.

პორტრეტების ანალიზი და მათი ურთიერთმედარება საშუალებას გვაძლევს ჩავევლით გომოსახველობითი ხერხების იმ სისტემას, რომლითაც სარგებლობდა მხატვარი. კუფტინასა და ს. რისტერის პორტრეტები თითქმის ერთდროულადაა დახატული. ორივე შემთხვევაში მხატვარს მოდელად ხელოვანი ჰყავდა. ორივე პორტრეტში სახეთა დახასიათების სისტემაში მხატვარი რთავს მოდელების ხელებს. მაგრამ უნდა გავხსოვინათ „მუშაობას“ ეს დეტალი! რა ღრმად ჩაწვდომოდა მხატვარი ადამიანის ბუნებას, რომ მისი ერთი კონკრეტული განწყობილებით ასე გადმოეტანა მისი ბუნება. მისი ხელოვანი სამყარო! კუფტინას სკამზე ზის, სამი მეოთხედით შებრუნებულია, ოღონდ სახით პირდაპირ მაყურებელს უყურებს. ხელები — პიანისტის ნატიფი მშვენიერი ხელები — სკამის სასურველზე შემოუწყვია და ზედ სახესთან მიუტანია. მაგრამ სახესა და ხელებს შორის არ არის შინაგანი კავშირი, ისინი ცალ-ცალკე, თავ-თავიანთთვის „ცხოვრობენ“. გამზადარი, ნერვიული სახე... ფართოდ გახეილი თვალები... მაგრამ ეს თვალები მაყურებელთან შეხვედრას არ ეძებენ, თითქოს ადამიანი თავისი სულის წიაღში იმზირება, თითქოს იგი გამიჯნულია გარესამყაროსაგან. ამ შთაბეჭდილებას აძლიერებს კომპოზიცია. მკრთალი სახისა და ხეხუდა ტანზე მოგებული შავი კანის კონტრასტი ტილოს ტრაგიკულ სტრუქტურას ანიჭებს. ვინც კუფტინას ბიოგრაფია იცის, შეუძლებელია აღფრთოვანებული არ დარჩეს — აი, ჭეშმარიტად საკვირველი გახსნა მოდელის სულიერი სამყაროსი, მისი ბუნების!

სულ სხვაგვარადაა აგებული სვიატოსლავ რისტერის პორტრეტი. მდომარე პიანისტის ფიგურა მგვეთრდაა მიწეული თითქმის კვადრატული ტილის მარცხენა კუთხეში. ხელის მტევანი მუხლზე ჩამოაშვებია. ხელების მოთენთილი ხაზები სიმშვიდეს, უდრტივივლობას გადმოგვცემს (პიანისტმა ეს-ესაა დაუკრა და ახლა იავენებს). მაგრამ სახის გამოთქმეცლება სხვას გვეუბნება: ბევრების საყარო ჯერ არ ახვეწებს პიანისტს; იგი დღევას განაგრძობს და მისი დახვეწილი ნერვიული თითები თრთიან. სიღრმეში ოღნავ შესაქმნევად კრთის ინსტრუმენტი, სქელი მონასმებით შექმნილი ფონი, რომელსაც ტილოს დიდი ნაწილი უჭირავს, ქმნის რღაც სხვაგვარ სამყაროს, განსაკუთრებულ შემოქმედებით ატმოსფეროს, პარმონიას და შთაგონების განწყობილებას.

არანაკლებ გამომსახველია ქ. მაღალაშვილის

მიერ შექმნილი პორტრეტები ვასო გოძიამვილისა და სერგო ზაქარიაძისა.

— ვასო გოძიამვილი დგას. აშკარაა — სიყვარული არ აკლია. აშკარაა, რომ მსახიობი გრძნობს თავის მომნიჭებულობას და ამიტომ დგას მოშვებულად, ლაღად. სასვე განათებული შთაფონებით, პოზა — დარღმინდულია და დახვეწილი.

სხვაგვარი ხასიათია შექმნილი სერგო ზაქარიაძის პორტრეტში. ესაა ძლიერი ვნებათაუღვლის პიროვნება. პოზა მსახიობისა (იგი ზას) დაძაბულია, იგრძნობა შინაგანი ღინძიკა. მძიმე სხეული, სახის მსხვილი ნაკვთები, ძლიერი, ენერჯული ხელი — ყველაფერი ეს პლასტიკურად შთამბეჭდავი და ხასუს უსაგმს ნატურის, მოდელის ძალას, უკომპრომისობას, გრძნობათა სიღრმეს.

სხვა ემოციური კუთხითაა გააზრებული საბჭოთა ლიტერატურის კლასიკოსის — კონსტანტინე გამსახურდიას პორტრეტი. ამ პიროვნების დიდი ინტელექტი, ტალანტი, კულტურა ხაზგასმულია მისი არისტოკრატიული პოზით, მაღალი შუბლით, ჭკვიანი თვალებით, ოდნავ მედიდურად ზეაწეული წარბებით, მშვიდი, შინაგანი ღირსების გრძნობით აღბეჭდილი გამოსხედვით.

მ. თოიძის, ნ. ჩიქოვანის, ა. ქურდიანის, ა. ბალანჩივაძის, ნ. ვარძაძის, ნ. ჩხეიძის პორტრეტები, — აი, ქ. მალალაშვილის მიერ — ამ პერსონაჟში შექმნილი კიდევ რამდენიმე პორტრეტია. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1925 წელს მს.ტვარი, სხვა ოსტატებთან ერთად, სამშენებლო ობიექტებზე მუშაობდა და ქმნიდა მებეტონების, მექანიკური კიდევ რამდენიმე პორტრეტის, ინჟინრებისა და სოციალისტური მშენებლობის სხვა მონაწილეთა პორტრეტებს, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ქ. მალალაშვილის შრომისმოყვარეობა და ენერჯია.

ხომ ასე პერსონიფიცირებულია ქ. მალალაშვილისეული პორტრეტები, ხომ ასე მრავალსაზრვანია მხატვრის გამოხატავლობითი ხერხები, რაინც ყველა შემთხვევაში, იგი აგებს ახალ-ახალ კომპოზიციებს, ახალ კოლორიტს, ქმნის ახალ პლასტიკურ რიტმებს, მაგრამ მის შემოქმედებაში შეგვიძლია გამოვკვირდეთ მის ზოგიერთ კანონზომიერებას, რომლებიც თვალშისაცემი, იქ, სადაც შეხების წერტილად გვაქვს, მხარავითის აზრით, მოდელის ხასიათის გამოშვებულად ენერჯიის ნიშნებთან. ასე, მაგალითად, პარაზონიდან დაბრუნებისთანავე შექმნილი დედის პორტრეტიც, შალვა დადიანის პორტრეტიც, და ცოტა მოვიანებით შექმნილი ვაჟა-ფშაველას მეუ-

ღლის პორტრეტიც მონუმენტური ფერწერის პრინციპებზეა დამყარებული. ყველა ამ პორტრეტზე გამოსახულია ხანდაზმული ადამიანი. მაგრამ ამ გარეგნული ნიშანს მხატვარი აკავშირებს საზოგადოებაში, ცხოვრებაში ადამიანის, პიროვნების როლზე, ადგილზე ფიქრთან.

ქ. მალალაშვილმა ამით შესაძლოა ქვეშეწინულადვე გამოხატა თავისი დამოკიდებულება მშობელ ხალხთან, სამშობლოსთან, ეროვნულ კულტურასთან ღრმა ფუნჯებით დაკავშირებული ადამიანების მიმართ.

წი-იანი წლების მიწურულს მხატვარმა შექმნა რამდენიმე პორტრეტი, რომელთა სტილისტური თავისებურებანი გვიმხვლავს ქ. მალალაშვილის შემოქმედებისას ახალ ნიშნებს (პ. ბერიძის, გ. ჩუბინაშვილის და სხვათა პორტრეტები).

ამ პერიოდში თითქოს ჯამდება ყოველგვარ საუკეთესო, რასაც მხატვარმა წინა წლებში შეაღწია, მაგრამ, იმავდროულად, მის წინაშე იკვეთება ახალი პრობლემები, რომელთა გადაწყვეტაც კადევ უფრო სრულყოფს ფერწერის ოსტატობას. მისი ნამუშევრები ახალი შუქით ნათდება, უფრო ემოციური ხდება. მესურვების სწრაფი და იმავდროულად თვითრწმენით აღბეჭდილი მანერა და ვირტუოზული მონაწილე ტილოს ზედაპირს არაჩვეულებრივ დინამიურობას ანიჭებს, რაც ნახატის ცხოვრებისეულობას აძლიერებს. ეს განსაკუთრებით ითქმის სახის მოდელირებაზე, რომელიც უფრო გამიზნული ხდება: ფერადი გამა — უფრო ცხველიან-ტლი, უფრო მდიდარი ტონური ნიუანსებით. ამ მომენტებმა ხელი შეუწვევს ქ. მალალაშვილის გააოცისუფლებულიყო ზედმეტ დეტალიზმისაგან. წვრილმანებისაგან, მეტისმეტად სერუპულურად დამუშავებისაგან, რაც ზოგიერთი მისი პორტრეტის სიმწარეს იწვევდა, ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია ცივი მწკრივ-ციხვების გამების საკმაოდ ხშირი გამოყენება. საკმარისია სტუდენტ მანანა ხიდაშელის პორტრეტი შევადაროთ ორი წლით ადრე შექმნილი მცდეა ჯაფარიძის პორტრეტს, რომ წარმოვიდგინოთ ის ცვლილებები, რაც განიცადა მხატვრის მანერამ. განსაკუთრებით თვალშისაცემი ვაქონდა ეს ერთი და იმავე პიროვნების ორი პორტრეტის შეპირისპირებით, ფიზიკოსი ა. იმუნელი ქ. მალალაშვილმა ორჯერ დახატა. მეორე პორტრეტი, მსგავსად პირველი პორტრეტისა, გამომგვეყვს მოდელის შინაგან ბუნებას, სულელი საყვარის, მაგრამ ახლა ტილოს ზედაპირის დამუშავებაში სისალეები შეინიშნება. პორტრეტში შეიგრძნობა სინათლის წყარო, რომელიც თვით ტილოს ზედაპირს უფრო დინამიურს ხდის და

უკეთ ავლენს საგნების ფაქტურას. არც ერთ აკამოდელ ნამუშევარში არ გვხვდება ტანსაცმლის დამუშავების ასეთი მანერა. შუქ-რდილის მონაცვლეობა თეთრ პერანგზე ვიდრე უფრო მსუყვე, ტემპერამენტული, მდიდრულად ნიუანსირებული ფერადოვანი მონასმებით. ეს ნამუშევარი იმაზე მეტყველებს, რომ მხატვარი უკვე მეტ ყურადღებას ამახვილებს სინათლის გამომსახველობით შესაძლებლობებზე. ფერწერული ძიებები თავს იჩენს ახალი მასალის — პასტელის გამოყენებითაც, რომელმაც მხატვარი მიიზიდა ტონებისა და ელფერთა იშვიათი სიწმინდითა და სიფაქიზით. ამ ტექნიკით შესრულებული პორ-

შედევა ჯავახიშვილის პორტრეტები



ტრეტები ორი ტიპისაა: ერთნი, რომლებშიც გამოყენებულია ფერების მთელი პალიტრა მერნი, რომლებისთვისაც დამახასიათებელია ფერთა შეზღუდული გამა და გლუვი „სოსარკული“ ზედაპირი, ამასთან, მეტი როლი ენიჭება სილუეტს. პირველი ტიპის მაგალითად გამოგვაადგება ე. ახვლედიანის პორტრეტი — ესაა მოდელი, რომელსაც ქ. მაღალაშვილი მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მანძილზე ხატავდა და ამ პორტრეტების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია არა მარტო ე. ახვლედიანის „ბიოგრაფიული“ ეტაპები წარმოვიდგინოთ, არამედ შევიშუშავოთ აზრი თვით ქ. მაღალაშვილის შემოქმედებით ევოლუციაცზე. თავისი მეგობრის ამ პორტრეტში ქ. მაღალაშვილი იყენებს ფერების კონტრასტს (იმ ზომით, რის საშუალებასაც პასტელის ტექნიკა იძლევა) მოდელის რთული ბუნების გამოსავლენად. დიაგონალური კომპოზიცია, რომელიც ხაზგასმულია კისერზე მოხვეული შარფით, მისი ჭრელი, ფერადი ზოლები გამოსახულებას მაკორულ ჟღერადობას ანიჭებენ, მაგრამ პორტრეტზე სხვა განწყობილებაც შეიგრძნობა. თვალბში ჩამდგარი კაეშანი, ჭადარა თმები მანდილოსნის სახეს იმ სიღრმესა და აზრობრივ დატვირთვას ანიჭებენ, რაც ჭეშმარიტად მნიშვნელოვანი ხელოვნების ნაწარმოების დამახასიათებელი თვისებაა. პასტელით შესრულებული მეორე ტიპის პორტრეტის მაგალითად გამოგვაადგებოდ კონსერვატორი სტუდენტ ნ. იშხნელის პორტრეტი. ნაცრისფერ-ვერცხლისფერი გამა, კომპაქტური ტუფი ფორმა კარგად გადმოსცემს ახალგაზრდა შემოქმედის სახის პლასტიკას.

ამ პერიოდის კოლორიტულ ძიებებზე მეტყველებს მხატვრის გატაცება ნატურმორტის ჟანრით. ზოგჯერ ნატურმორტს მხატვარი წარმატებით იყენებდა პორტრეტშიც, მაგრამ დამოუკიდებლად ამ ჟანრებშიც ბევრს მუშაობდა როგორც პასტელით ისე ზეთით. პასტელით ნატურმორტები უფრო ხშირად ასახავდა ყვავილებს, რომელთა სინაზესა და სიფაქიზეს კარგად გადმოსცემს ეს მასალა. მხატვარი ესწრაფვის ერთი ფერის დახვეწილ გრადაციებს, გაურბის ლოკალურ მონასმებს. ზეთით ნამუშევრებში უფრო საგნობრივ ნატურმორტებს ვხვდებით. აქ კოლორიტი ფერების კონტრასტზეა აკებული, მხატვარი უფრო მახვილ ფორმებს მიმართავს, რომლებიც რამდენიმე ფერადი აკორდით დეკორატიული კომპოზიციის შექმნის საშუალებას იძლევა.

ამ პერიოდში დიდი ყურადღება ფერისადმი

ვლინდება მხატვრის ლტოლვაში გარკვეული მოდულებისადმი: მხატვარი ხატავდა ახალგაზრდა ქალების პორტრეტებს, რითაც, შესაძლოა, ის შეგნებულად, გააზრებულად იმსუბუქებდა ფსიქოლოგიურ ამოცანას. მხატვარი თავს არ აიძულებდა ამ მოდულების შინაგან სამყაროს ჩაღრმავებოდა, იგი ხაზს უსვამდა მათ მომხიბვლელობას, ქალურობას, პოეტურ მეოცნებეობას, რისთვისაც ადექვატურ ფერწერულ ფორმებს პოულობდა (თ. ღობრიძის, მ. ერისთავის, ნ. ერისთავის, ნ. ჯავახიშვილის, მ. ქიქოძის, ა. ზედაძეშვილის და სხვათა პორტრეტები). ქალთა სახეების ამ გაღრმავში გამოხატულებით დგას პროფესორ ანასტასია ვირსალაძის, მომღერალ ნინა დორლიაკისა და სილვია ნიჟარაძის პორტრეტები.

გადის წლები. ისეთა შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ქ. მალაღვილის ამდენი არასოდეს უხატია. 50-იან წლებში შესრულებული პორტრეტები შეიძლება გაგავართიანოთ იმ კონცეფციის ჩარჩოთი, რომელსაც იმ წლების ხელოვნებაში „მეაქრ სტილს“ ეძახიან. ამ წლებში ის ქმნის კონსტანტინე გამსახურდიას, ჰოლანდიელი დედა კორნელიას, ელისო ვირსალაძის, იური გრიგორიანის, ანა კალანდაძის, დიმიტრი ალექსიძის პორტრეტებს. ამ პორტრეტებში განსაკუთრებით თვალშისაცემია კომპოზიციური მრავალმხრივობა.

მამაკაცთა პორტრეტების ამ გაღრმავში ფსიქოლოგიური გადაწყვეტის სიღრმით შედევრად მიგვაჩნია ქ. გამსახურდიას პორტრეტი. ოც წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ქ. მალაღვილმა მწერლის პირველი პორტრეტი დახატა. მხატვარი არ ცდილობს დრო-გამის მიერ შემოქმედის სახეზე აღბეჭდილი კვალის მიჩქმალვას. მწერალს წარბები მოუღუშავს, სახე ნაოჭებით დაფარვია, აშკარაა, დაბერებულია. მაგრამ კვლავ უწინდებურად წელში გამართულია, ისევ შერჩენია ძველბურთი შემართება, ძველი კეთილშობილური იფრი, სახეზე მეტი სიბრძნე აღბეჭდვია. და ამ დიდ ცხოვრებისეულ გამოცდილებას, აზრის სიღრმეს, თავდაჭერელობას არასწორხაზოვნად, ნაძალადეკად, მაგრამ დაბეჯითებით უსვამს ხაზს ტილოს მთელი რიტუული სტრუქტურა. დიდი სავარძელი და

მასში ღრმად ჩამჯდარი მატურა ურყეობის, მდგრადობის შეგრძნებას ქმნიან. მსხვილი პლანია, „სკულპტურულად“ ნაძერწი სახე, თავდაჭერილი ცივი — რუხი კოლორიტი, რომელიც დეტალების ფერადი აქცენტებით ოდნავა გაცოცხლებული (რუსთაველის რელიეფი კედელზე, ბეჭედი თითზე, კალამი პიჯაკის ჯიბეში) — ყველაფერი ეს ერთად ქმნის სახის ეპიკურ ქვერადობას.

ქ. მალაღვილმა სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე დაამთავრა ა. პუშკინის შთამომავლის — ანდრო სვანიძის პორტრეტი. ამ პორტრეტით გასრულდა დიდი შემოქმედებითი გზა მხატვრისა, რომელმაც თანამედროვეთა სახეების მთელი გაღრმავა შექმნა. ეს ნამუშევარი ასრულებს აგრეთვე, მეორე პარალელურ, მხატვრის მთელი სიცოცხლის თანამდევ ხაზს — ესაა ბავშვის პორტრეტი. ამ ქვეყანის ქ. მალაღვილილს შემოქმედებაში უმნიშვნელო ადგილი უჭირა. მაგრამ მოზარდთა ის რამდენიმე პორტრეტი, რომელიც მან დაგვიტოვა, უდავოდ საყურადღებოა.

ვამთარებთ რა ქ. მალაღვილის შემოქმედებითი გზის მიმოხილვას, გვიჩნდება ყურადღება გაავსახვილოთ მხატვრის მუშაობაზე კიდევ ერთ ქანრში. ქ. მალაღვილმა შედარებით გვიან, 50-იან წლებში, დახატა პირველი პეიზაჟები, მაგრამ ამ ქანრშიც წარმატებას მიაღწია. მას ქალაქური პეიზაჟიც უყვარს და ლანდშაფტურიც. ამ ქანრში მხატვრის მიერ შექმნილ ნაწარმოებთან უნდა გამოვყოთ პასტელით შესრულებული პეიზაჟები. შეიძლება ითქვას, რომ ქ. მალაღვილი — საყოველთაოდ აღიარებული პორტრეტისტი, სხვა ქანრებშიც წარმატებით იღვწოდა და ყველგან თვალსაჩინო კვალს ტოვებდა.

ქ. მალაღვილის შემოქმედება — ქარაული ხელოვნების მნიშვნელოვანი მოვლენაა. იგი მრავალი ასპექტით შესწავლას იმსახურებს. მაგრამ რომელი ასპექტიც არ უნდა ავიღოთ შესწავლის საგნად, ქ. მალაღვილის ხელოვნების ძალა და ბათოსი დარჩება უცვლელ მხატვრულ ღირებულებად, რადგან იგი ამქვეყნად ამკვიდრებს მშვენიერ, ამალბებულ სულისკვეთებას.

სანდრო ჟორჟოლიანი

ვაჟა ძიგუა

ალექსანდრე შორჟოლიანის, როგორც პროფესიონალი მსახიობის დებიუტი საკმაოდ მოვიანებით — ოცდაცამეტი წლის ასაკში შედგა. ამ წლებში ბევრი, ალბათ, ვერც გაბუდაკდა ასეთი თამაში ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ ეს ერთგვარი „შეყოვნება“ ხომ ფორმალურ ხასიათს ატარებდა — პროფესიულ თეატრში მისვლამდე სანდრო ჟორჟოლიანის აქტიურული სტაჟი ოცდაერთი (!) წელს შეადგენდა. პირველი როლი (დანეილი — შილერის „ყაჩაღებში“) სანდრომ თორმეტი წლისამ განასახიერა ოზურგეთში, მამისეული სახლის აივანზე. აქედან მოყოლებული, მას ერთი წუთითაც არ უცხოვრია თეატრალური ხელოვნებისადმი ფანატკური სიყვარულის გარეშე. ერთხელ, პატარა სცენისმოყვარეების ისე ღრმად შეიჭრნენ თურმე „დადგმის ლაბირინთებში“, რომ მართლაც წაუკვიდეს ცეცხლი შალერის დეკორაციას და კინაღამ მთელი სახლი გადაბუფეს. ასე ნატურალისტურად გაუგია „დამდგმელ კოლექტივს“ სასახლის დაწვის სცენა... ბევრი ასეთი ეპიზოდი ახასიათებს ჟორჟოლიანის ბავშვობის წლებსა „თეატრალურ პერიოდს“.

წერილი მოხელის ოჯახში აღზრდილ სანდროს ხშირად უხდებოდა საცხოვრებლად ერთი ადგილიდან მეორეზე გადასვლა. იგი დაიბადა 1888 წელს ქ. ოზურგეთში. პირველდაწყებითი განათლება იქვე მიიღო, შემდეგ სწავლის გასაგრძელებლად ქუთაისში გადავიდა, მაგრამ იქ დიდხანს არ დარჩენილა და მალე მშობლებთან ერთად განაქას გაემგზავრა. ორი წლის შემდეგ განჯიდან ბათუმში გადაინაცვლა. გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოსწავლე იყო, როცა რეჟისორმა

ა. წუწუნავამ ბათუმელ სცენისმოყვარეთაგან დასი ჩამოაყალიბა. ს. ჟორჟოლიანი ამ დასის სული და გული გახდა.

გიმნაზია სანდრომ 1907 წელს დამთავრა და უმაღლესი განათლების მისაღებად ოდესაში გაემგზავრა. აქ იგი წარმატებით აბარებს მისაღებ გამოცდებს ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, სადაც დიდი გულშიდგინებით ეკიდება სწავლას. მეცნიერების დაუფლების პარალელურად სანდრო ერთი წუთითაც არ ღალატობდა თავისი ვატაცების საგანს — თეატრს. ზაფხულის არდადეგების დროს, ორი თვით ყოველთვის ჩამოდიოდა სამშობლოში და მონაწილეობას იღებდა ოზურგეთის სცენისმოყვარეთა სპექტაკლებში.

ოდესის უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე ა. ჟორჟოლიანი მასწავლებლად იწყებს მუშაობას ბაქოს გიმნაზიაში. მაშინ ბაქოში ქართველ სცენისმოყვარეთა თეატრი არსებობდა, რომელიც ბაქოელ ქართველთა თავშესაყარ ადგილად იყო მიჩნეული, მაგრამ ეს იყო არამარტო იქ მცხოვრებ ქართველთა საყვარელი ადგილი, დროდადრო აქ ჩამოდიოდნენ და ხალისით, ენლუზიანებით, უანგაროდ ემსახურებოდნენ სასცენო ხელოვნებას ცნობილი რეჟისორები და მსახიობები ვ. შალიკაშვილი, ვ. გუნია, შ. დადიანი, ა. წუწუნავა, დ. აწყურელი, ნ. გვარამე, შ. გილოვანი და სხვ. ქართული რეალისტური ხელოვნების წარმომადგენელთა ხშირმა მონაწილეობამ, მათმა მაღალმა პროფესიონალიზმმა, შემოქმედებითმა ძალამ, გარკვეული თვალსაზრისით უთუოდ განსაზღვრა ა. ჟორჟოლიანის თეატრალური გზა.

ბაქოს გიმნაზიაში მუშაობის შვიდი წლის მანძილზე სან-



დონ კალბი — ვერაგობა და სიყვარული

დრო თითქმის ყველა ქართულ წარმოდგენაში ღებულობდა მონაწილეობას, მაგრამ ასე ვთქვათ — „არაოცოცხალური ვიზიტი“. მამინდელი საზოგადოებრივი ფორმაციის კრიტიკით უმებიდან გამომდინარე, სანდრო იძულებული იყო ანგარიში გაეწია მასწავლებლის მაღალი პრესტიჟისთვის, ამიტომაც იგი მის მიერ აღრე ნათამაშევი ერთ-ერთი პერსონაჟის გავრით — ქარქაშაძით გამოდიოდა სცენაზე.

1918 წლიდან ა. ჟორჯოლიანი თბილისის ვაჟთა პირველ გიმნაზიაში იწყებს მასწავლებლად მუშაობას. ძველსა და რბილში გამჯდარი სასცენო ხელოვნების სიყვარული მოსვენებას არ აძლევს, აქაც ინტენსიურად მონაწილეობს სცენის-საყვარელთა სპექტაკლებში. სწორედ აქ დადგა გადამწყვეტი მომენტი ჟორჯოლიანის ცხოვრებაში. იმდენად თვალსაჩინო და ნათელი იყო სანდროს აქტიორული მონაცემები, რომ ვიცავ ერთხელ მაინც ენახა იგი სცენაზე. ყველა კატეგორიულად მოითხოვდა მისგან მასწავლებლობისთვის თავი დაენებებინა და მსახიობობა გაეხსნა პროფესიად. შინაგანად სანდრო ყველა მათგანს უყოყმანოდ ეთანხმებოდა, მაგრამ მენშვეიკების პერიოდის თეატრის უწყველ მდგომარეობა, ფელოვნების მუშაკის სრული უუფლებობა აბრკოლებდა სისრულეში მოყვანა თანხის გადაწყვეტილებას.

1921 წელს, როცა ქართველი ხალხის ახალი ცხოვრება დაიწყო და საბჭოთა ხელისუფლებამ ფართო გზა გაუხსნა თეატრალურ ხელოვნებას, ს. ჟორჯოლიანი დატოვებულნი ტოვებს პედაგოგიურ სარბიელს და ცნობილი მსახიობის იუ-

ზა ზარდაღიშვილის მიწვევით რუსთაველის სახელობის თეატრში იწყებს მუშაობას.

ა. ჟორჯოლიანი რუსთაველის თეატრში მივიდა როგორც ჩამოყალიბებული, ინდივიდუალური აქტიორული მანერის, მკვეთრად სახასიათო ამაღლის მსახიობი და მამინვე საკუთარი, გამორჩეული, წამყვანი ადგილი დაიმკვიდრა თეატრის შემოქმედებით ცხოვრებაში. პირველივე ნამუშევრებში — „კოწიკა“ (შ. დადიანის „გუშინდელი“) და ყარამანი (ნ. ნაკაშიძის „ვინ არის დანაშაუნი?“) — მთელი სისასვითა და მრავალფეროვნებით გამოიჩინა ჟორჯოლიანის მასწავლებელი კომედიური ნიჭი, ძალდაუტანებელი, სხარტი იუმორი, როლის ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო დეტალის განსაკუთრებულად გამოკვეთის უნარი.

ა. ჟორჯოლიანის შემოქმედებისთვის ყოველთვის იყო დამახასიათებელი სახიერი დეტალების გონებაშეხვედრით მიგნებით ერთი მთლიანი, უაღრესად კოლორიტული, მხატვრულად დასრულებული პორტრეტის გამოკვეთა, თუნდაც განსახასიათებელი როლი უფერული ყოფილიყო. ა. ჟორჯოლიანისათვის არ არსებობდა დიდი და პატარა როლები. როლის „ფიზიკურ მოცულობას“ მისთვის არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მსახიობისთვის მთავარი და გადამწყვეტი იყო პერსონაჟის ბუნების გაშლა-გაღრმავება, სახის ირველი წარმოქმნილ სიტუაციათა და ქვეტექსტების ცვალებად ვარიანტებზე მუშაობა. როლზე მუშაობის სწორედ ამგვარ პრინციპს ეწიარა სანდრო კოტე მარჯანიშვილთან თანამშრომლობის დროს. იგი გამსჭვალული იყო ღრმრწმინით, რომ როლმა კი არ უნდა გამოაჩინოს მასიბიონი, არამედ მსახიობმა უნდა წამოატეხივოს, გამოკვეთოს როლი, თუნდაც იგი პირველი შეხედვით უმნიშვნელო გემგინებოდა. ეს რწმენა სანდრომ რეალობად აქცია ჯერ კიდევ მარჯანიშვილის რეჟისორობით რუსთაველის თეატრში დაღებულ მეტად საინტერესო სპექტაკლში, ხასინტო ბენავენტეს „ინტერესთა თამაში“, სადაც გერგელავს პაწაწინა როლიდან შექმნა ერთ-ერთი ყველაზე გამოკვეთილი, ცოცხალი სახე.

— არასოდეს დამავიწყდება ის სენსაციური წარმატება, — იგონებს მიხეილ მაკაობლიშვილი, — რომელიც წილად ჰქვდა სანდრო ჟორჯოლიანს „ინტერესთა თამაში“. იგი მდივნი ეპიზოდურ როლს ასრულებდა და მხოლოდ ერთ ფრაზას ამბობდა — „მიხეი მე დაგვი“, მაგრამ ამ ფრაზაში იმდენი რამ იყო თქმული და გადმოცემული, რომ მაყურებელთა აანგრძლივ ტაშს იწვევდა.

რუსთაველის თეატრის სცენაზე ა. ჟორჯოლიანის მიერ შექმნილ სახეთა შორის უქვეველად უნდა დავასახლოთ, აგრეთვე, რამაში (ტ. ერისთავის „გაყარა“), ფრანკუსი (ზ. ანტონოვის „შისი დაბნელება საქართველოში“, მკიხეველი (დ. კლიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვალი“), რომლებშიც მსახიობმა შესძლო ერთმანეთისაგან განსხვავებული ხასიათების გამოკვეთა.

ა. ჟორჯოლიანის ბიოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი და ნათესიერი პერიოდი კოტე მარჯანიშვილთან მკიდრო შემოქმედებით კონტაქტში გატარებული წლები.

კ. მარჯანიშვილი როგორ თავისუფლებას აძლევდა მსახიობს სცენურ სახეზე მუშაობის დროს, არ ზღუდავდა მის ფანტა-

ზიას, წარმოსახვის უნარს, პირიქით, თვითონ უმიძგებდა იმპროვიზაციისაკენ, აქეზებდა, იმპულსს მატებდა. უყვარდა, როდესაც მსახიობი შექაპლებლობათა მაკიმიუმს გამოავლენდა. ასეთ დროს, ხშირ შემთხვევაში, თვალებს ხუჭავდა ცალკეულ ლაფსუსზე, არ უშლიდა მსახიობს გადაჭარბებისაკენ ლტოლვას, თუკი ეს ხასიათის საბოლოო გამოვლენისკენ იყო მიმართული. შემდგომ, მუშაობის არცხესში, თანდათანობით ხვეწდა და აყალიბებდა უკვე მიკვლეულს, ნაპოვნს და საბოლოოდ ტოვებდა ცველავზე ძირითადს, პერსონაჟისა და მსახიობის ბუნებიდან გამომდინარეს.

დიდ რეჟისორთან ურთიერთობა ჭეშმარიტი დაოსტატუბას სკოლა იყო სანდროსთვის, ამიტომ, როცა 1928 წელს კ. შარჯანიშვილმა ქუთაის-ბათუმის თეატრი ჩამოაყალიბა, მსახიობი უყურმანოდ გაჰყავა მას. პირველივე თეატრალურ სეზონში ა. ჟორჟოლიანმა ზედისზე შექმნა მხატვრული სრულქმნილი სახეები, რომლებიც დღეს ქართული აქტიურული ხელოვნების ოქროს ფონდშია შესული: გოჩოლავა (შ. დადაიანი „კაკალ გულში“), ბენ-აკიბა (კ. გუცუციანი „ურთულ აკოსტა“), ყვარფარე (პ. კაკაბაძის „ყვარფარე თუთაბერი“), „კაკალ გულში“ კ. მარჯანიშვილმა გაიანზრა როგორც მისფერი სატირა. სპექტაკლში მოქმედ პირთა უმრავლესობა წყვედ იყო გამათრახებელი და გამარტებული. რეჟისორის სააშკარაოზე გამოჰქონდა თითოეული მათგანის სასაცილო ქმედებანი, საგანგებოდ ამოშლულდა მათ სულიერ და ვინებრივ სიდუხჭირეს.

ა. ჟორჟოლიანს გოჩოლავა გროტესკულ პლანში ჰქონდა დადაწვევითი. მსახიობი ლადად, შუუზლუდავად მოქმედებდა. მისი დახასიათება იყო მამხილებლური, გამჭირდავი და შეუბრალებელი. მსახიობი არაჩვეულებრივი სიმუსტუბით ახერხებდა ორგანულად გარდაქმნილობას, მთელი არსებია, ინტენსიურად ეცხოვრა გოჩოლავას ინტერესებით, ელაპარაკა მისი სიტყვებით, გამომუშავებული ინტონაციით, სცენაზე ემოქმედა განსახსიერებელი გმირის ხასიათიდან გამომდინარე. გოჩოლავას უბრალო გამოჩენა, მისი ტემპერამენტიანი დიალოგი რიკველთან და ყოველი წინადადების ბოლოს ნახ-მარი „იასნო, დაღმე“ დარბაზში მაყურებელთა ერთსულურვან გამოცოცხლებასა და მხიარულებას იწვევდა.


მომდევნო როლი მარჯანიშვილთან ჟორჟოლიანმა შექმნა ლეგენდარულ სპექტაკლში „ურთულ აკოსტა“. არ შევედებით, თუ ვიტყვით, რომ ბენ-აკიბა ჟორჟოლიანის აქტიორული მუშაობის მოქმედების გვირგვინია. საერთოდ, კ. მარჯანიშვილის რეჟისორული ნამუშევარი და ბრწყინვალე აქტიორთა პარმონიული ანსამბლი დღესაც ჭეშმარიტი ალტაცებისა და გაოცების საგნად გვევლინება. წლებმა არამეტო დააკლო რაიმე ხელოვნების ამ მართლაც უჭკნობ ნიმუშს, არამედ იგი პირიქით, დღითი დღე უფრო მეტ მნიშვნელობასა და სიღრმეზ იძენს.


ამ დიდებული სპექტაკლის ერთ-ერთი მშვენიერა ალექსანდრე ჟორჟოლიანის ბენ-აკიბა. მარჯანიშვილს სპექტაკლი გადაწვევითი ჰქონდა სტილიზებული აქტიორული პლასტიკით. მოქმედების რიტმი საოცარი ორგანულობით იყო გადაჭდობილი მუსიკის რიტმთან. პეტრე ოცხელის რუხ-შავ-თეთრი გამა, თეთრი სვეტებისა და კიბეების გრაფიკული

მონუმენტურობა ბუნებრივ და უშუალო კავშირში იყო მოქმედ პირთა სულიერი, შინაგანი სამყაროს გამოვლენასთან.

სპექტაკლის ერთ-ერთი უძლიერესი მონაკვეთი იყო სცენა სინაგოგაში, სადაც ცენტრალურ ფიგურად ჟორჟოლიანის ბენ-აკიბა გვივლინებოდა. აღუვლებული, აბოტირებელი კარგალები უსაზღვრო აღშოთებას გამოხატავდნენ, პლასტიკური ხატვასით გედოსცემდნენ თავიანთ გულსწყრმობს და პროტესტს სარწმუნოების სიწმინდის შეზღვევის ცდისთვის. ოცხელისეული კიბის თავზე იდგა მიხარწული, წელში მოხრილი, ფიზიკურად განადგურებული კარაელთა სარწმუნოების იდეური ხელმძღვანელი, რელიგიური დოგმატიზმისა და კონსერვატიზმის თავგამოდებული მომხრე ბენ-აკიბა, რომელსაც განსაკუთრებული ღვარძლისა და ბოროტებისაგან ათავსავარად უთრთოდა და ბეზარებოდა ხმა, თავი უკანკალედა, მხრები და ხელები უთრთოდა, მაგრამ პროტესტი ყოველგვარი კეთილი საწყისის მიმართ ჭარბი სიძლიერით ჰქონდა განვითარებული. აკიბას საწმინდაო შეზავებული გესლიანი წყველა ნატყორცნი ისარივით იყო მიმართული ურთიანად-ში, მისი ნათელი იდეებს დასათრგუნვავად; მაგრამ ჟორჟოლიანის ბენ-აკიბა სრულეობით არ იყო საშიში და რადის მომგვრელი პიროვნება იგი უფრო სასაცილო, ჭკუანაკლოვ და შეუღეუდელი ადამიანი იყო, და, რაც უფრო მეტად ცდილობდა „გაეცამტყვევებინა“ ურიელ აკოსტას მეცნიერული ბიენე-

პროფესორი ზახაროვი — „შეშა“





ბლოზივი — გრევიზორა

ფილაკი — ძია ბაღდასარი



ბანი და დასაბუთებანი, მით უფრო უმწეო, უსუსურ და გონებჩალუნგ პიროვნებად წარმოგვიდგებოდა.

ა. ჟორჟოლიანი ამ როლში იყენებდა გამომსახველობითი ხერხების არარეგულუბრივად მდიდარ არსენალს. მისი გარდასახვა შინაკანად გამართლებული და მხატვრულად სრულყოფილი იყო.

მსახიობმა რეჟისორთან ერთად მოძებნა ამ სახის გადაწყვეტის უჩვეულო და საესკეზით ახალი ფორმა, რითაც განსაკუთრებული მიმზიდველობა და კოლორიტი შესძინა სპექტაკლს. დანაწევრებული, ხელოვნურად დაქუცმაცებული მეტყველება და შესაბამისად ზუსტად მიგნებული ინტონაციური მახვილები როგორც აზრობრივად, ასევე მეტყველების მუსიკალურობის მხრივ — უკვე გამოკვეთდა გამოთავყენებული დღისმსახურის სასიათის პარტიკულას. უფექტი იზრდებოდა, როდესაც ა. ჟორჟოლიანს მოჩვენებითი აღმავალი კრემზინდისი მიჰკავდა ურჩელთან შეპატრების სცენა. ამ დროს ბენ-აკიბა რაბინოზუსესისთვის შეუფერებლად აცუნტრუკებული იყო. მისი მეტყველება სისწრაფით და ისტერიული შეფერილობით გაიმორჩილდა; ყოველი წინადადების ბოლო სიტყვის უკანასკნელ მარცვალს კი ისეთი სიმკვეთრითა და მაღალი ტონალობით წარმოთქვამდა, თითქოს ამით სურდა მოკვდავთა დარწმუნება თავის „სიმბრძნეს“ და „უძლეველობაში“.

იმვე სეზონში კ. მარჯანიშვილმა მაცურებელს უჩვენა ფრიად საინტერესო ნამუშევარი — კ. კაკაბაძის „ყვარყვარა თუთაბერი“. სპექტაკლი ყურადღებას იპყრობდა კონტრასტული ელემენტების ორგანული შესაბამით. რეალური და ყოფითი სცენები ბუნებრივად, მხატვრული დამაჯერებლობით ერწყმოდა გროტესკულს, ხაზგასმულ სიმძაფრეს. რეჟისორმა კომიკური ხაზი გააძლიერა არა სიუჟეტური ქაჩგიდან გამომდინარე, არამედ ამ ხაზმა განვითარება ჰპოვა ავტორის მიერ პიესაში მოტიანილ ფილოსოფიურ გააზრებათა განსოგადებებში.

ყვარვარეს როლი მარჯანიშვილმა სრულიად სხვადასხვა ინდივიდუალობის მქონე მსახიობებს — უშანგი ჩხეიძესა და სანდრო ჟორჟოლიანს მიანდო. ორივე მსახიობი ერთმანეთისაგან საესკეზით განსხვავებულ ასპექტულ წარმოგვიდგენდა ყვარყვარეს. უშანგი უფრო თავდაჯერებულ გმირად გადაქცევას ცდილობდა, ხაზს უსვამდა ყვარყვარეს „ფილოსოფიურ გასაჯათა“ სიღრმეს წარმოქმნილ სიტუაციაში. ჟორჟოლიანს კი თავის გმირს ნაცარქექიანდ წარმოგვიდგენდა. თავის შესრულებაში იგი განსაკუთრებით გამოყოფდა ყვარყვარეს სიმხდალეს, გამუდმებულ შიშს მოულოდნელად მოვლენილი ბედნიერების დასასრულის გამო. იმ სცენებში, სადაც საჭირო იყო ყვარყვარეს თავისი ძლევაშისილება, რეჟისორი სიმტკიცე ეჩვენებინა, ა. ჟორჟოლიანი მეტად სასაცილოდ წარმოგვიდგებოდა — ფუჟე თავთავივით თავს მალდა აიშვინდა, სიარულის მანერასაც მკვეთრად შეეცვლიდა, ნაბიჯები სიმტკიცესა და დამაჯერებლობას იძენდნენ, ხმის ტემბრიც კი მნიშვნელოვნად შეეცვლებოდა. თუკი რაიმეამ მოეწონებოდა ჟორჟოლიანის ყვარყვარეს, ან ვინმეს თავს მოახვედდა თავის „უფლებამოსილებას“, ისეთ ავადებულ, ცინიკურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა მასთან, თითქოს კეთროვანთან ქეონდა ურთიერთობა.

ასეთ დროს, მსახიობი ყოველმხრივ ცდილობდა თავისი გმირისთვის მოჩვენებითი იმპოზანტურობა მიენიჭებინა, თვალში ნაცარი შეყვარა ხალხსთვის, მაგრამ მეორე პლანი — ყვარყვარეს შინაგანი სიკარგიულე, მისი უსუსურობა ჟორჟოლიანს შესანიშნავად ჰქონდა გამოკვეთილი.

ყვარყვარე ლოგეკურად, მაგრამ შეუსაბამოდ აზროვნებს. ჟორჟოლიანი ხაზგასმული სერიოზულობით წარმოთქვამდა ამ შეუსაბამო ფრაზებს. იგი იყო მეტად უმუალო, ძალდაუტანებელი, მოქმედებდა დაუძაბავად. მსახიობი მიმართავდა შესრულების მაღალფარდოვან ფორმას და ეს ყველაფერი გადაჭდობილი იყო მსუბუქ ბუნებრივ იუმორთან, რაც საოცრად აკეთილშობილებდა ყვარყვარეს სახეს.

1929 წლის აპრილში ქუთაის-ბათუმის თეატრმა გასტროლები მოაწყო თბილისში. წარმატება დიდი და უჩვეულო იყო. პრესა ერთხმად აღნიშნავდა ახლად შექმნილი თეატრის შემოქმედებით მიღწევებს. განსაკუთრებულ ხოტბას ასხამდნენ კ. მარჯანიშვილის რეჟისორულ ხელოვნებას და შესანიშნავ აქტიორულ ანსამბლს. ამ ანსამბლიდან საგანგებოდ გამოყოფდნენ სანდრო ჟორჟოლიანს.

ერთი წლის შემდეგ საქართველოს მეორე სახელმწიფო თეატრი საგასტროლოდ ჯერ ხარკოვს, ხოლო შემდეგ მოსკოვს გაემგზავრა. ეს ქართული თეატრის პირველი გასვლა იყო რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ. სახელოვანი თეატრალური ტრადიციების მქონე ჰალაკეხი ატაკციებით შეივსებინნ მოძვე საქართველოს წარმომადგენლებს. ყოველ მათ დადგმას მაღალი შეფასებით, შეიძლება გადაუჭარბებულად თქვას, ქება-დიდებათ ეხმაურებოდნენ. რეცენზენტები ერთხულთონდა აღნიშნავდნენ, რომ ქუთაისის ახალგაზრდა თეატრის გასტროლები განსაკუთრებული მოვლენა იყო მათ კულტურულ ცხოვრებაში. აჯამებდა რა ქუთაისის თეატრის გასტროლებს მოსკოვში, ა. ლუნაჩარსკი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მარჯანიშვილმა თავისი მშვენიერი ქვეყნის თეატრის ჩვენებით გაამდიდრა თეატრალური სამყარო.

გასტროლები ქართული საბჭოთა თეატრის მიღწევათა დემონსტრაციად იქცა. დიდი იყო წარმატებით გამოწვეული სიხარული. იმავე წლის ახალი თეატრალური სეზონიდან ქუთაისის თეატრის მთელი დასი თბილისს გადმოიყვანეს და ყოველგვარი პირობები შეუქმნეს ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის გასაგრძელებლად.

თბილისში გადმოსვლის შემდეგ კ. მარჯანიშვილმა მსოფლოდ ორი სეზონი იმუშავა და თეატრი ასახელა რეჟისორული ნამუშევრებით. ერთ-ერთ მათგანში — ი. ოლუმას „სამ ბღენძიში“ სანდრო ჟორჟოლიანმა კვლავ გაიბრწყინა ბუმბუტების გამყიდველის მკვეთრად სახასიათო ეპიზოდურ როლი. მსახიობის შესრულება საესტეტიკით ესადაგებოდა რეჟისორული ჩანაფიქრის ბუნებრივ ფორმას.

კ. მარჯანიშვილთან მუშაობის ეს პერიოდი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ს. ჟორჟოლიანისთვის იმით, რომ დიდმა რეჟისორმა მასში დაინახა და გახსნა მისი აქტიორული ბუნების სულ სხვა თვისებები, სახელდობრ, დრამატული, ტრაგიკულ ძღერადობამდე ასული სახეები: „მარჯანიშვილს უყვარდა მსახიობში თითქოს ერთხელ და სამუდამოდ „გამჯდარის“, ჩამოყალიბებულ-დამკვიდრებულის „დამსხვრევა“. იგი დაჯილდოებული იყო სხაიბთა „ღმობჩენის“



ბუნ-აკიბა — „ურეილ აკოსტა“

ილიო — „მე, ბუბია, ილიო და ილარიონი“



არაჩვეულებრივ თვისებით, სხვათათვის უხილავის შემხსევის უნარიო! ¹

სწორედ ასეთი უხილავი შესაძლებლობების გამოვლენის ჩინებული სიმუში იყო კულაკი კვასოვი ე. კორნონის პიესაში „პური“, სადაც ჟორჟოლიანი გულწრფელად აოცდება მაცურებელის შემოქმედებით პალიტრის სიუხვით.

ამ მიმართებით ე. მარჯანიშვილი მსახიობთან ერთად ძიების განაგრძობდა. მომდევნო სეზონში ა. ჟორჟოლიანმა კვლევ გააკეთა განაცხადი, რომ მას მხოლოდ კომიკური როლები განსახიერებდა რადიო ძალუბს, არამედ არანაკლები წარმატებით შეუძლია განახორციელოს განსხვავებული ხასიათის პერსონაჟი. შემოქმედებითი სიხლის მოწოდების ასეთი ცდა იყო პროფესორი ზახაროვი ა. აფინოგენოვის „შიშიში“.

ა. ჟორჟოლიანის გმირი, ამ შემთხვევაშიც, ასაკით მასზე გაცილებით ხანდაზმული იყო, როლის ბუნება — საცემისა განსხვავებული. ეს ორი ფაქტორი თავისთავად უკვე წარმოქმნიდა სირთულეებს, მაგრამ მუშაობის პერიოდში ისეთი მარათალი განცდა იმადებოდა, იმდენი ახალი ნიუანსი მოპოვდა მსახიობს ყოველდღიურად, რომ საბოლოოდ გამოიკვლია უაღრესად მეტყველი და კოლორიტული სცენური სახე.

ა. ჟორჟოლიანი გარეგნული მონახაზიდან იწყებდა თავისი გმირის დახასიათებას. თეთრი, ფაფუკი წვერები, ფართო, მალოტი შუბლი, სწორი, გაბურღილი წარბები, ცხვირზე ჩამოადგებული სათვალავები — პროფესორის შინაგანი სამყაროს ადეკვატური გამოხატულება იყო.

ზახაროვი უარყოფითი პერსონაჟია, მაგრამ ჟორჟოლიანის შესრულება აბინათობს არ იწყებდა მაცურებელში. მსახიობი მხოლოდ მაშინღლებოდა დეტალებს გამოკვებით როდი ეპყოფილდებოდა, არამედ ყურადღებას მახვილებდა ზახაროვის ხასიათში არსებულ სხვა თვისებებზედაც. ე. მარჯანიშვილს და სპექტაკლის მსატკარც. ა. ახვლედიანს სპექტაკლი შედაწვევითლი ჰქონდათ უკადრუჭი პირობითობით. სცენა თითქმის გაშიშვლებული იყო. მთავარი ადგილი აქ მსახიობებს ეთმობოდათ; მათ უშუალო კონტაქტს მაცურებელთან. სიმართლისა და ზომიერების გრძნობას გადაამყვებელი როლი ენიჭებოდა.

ა. ჟორჟოლიანის შემოქმედების შემდგომი პერიოდი უკვე აღარ გამოირჩევა ასეთი კონტრასტულობით. მართალია, მსახიობს ჰქონდა შესანიშნავი სეზონები, არართხელ საგანგებოდ აღინიშნავს მისი ნამდვილი შემოქმედებითი გამარჯვებები, მაგრამ ეს მიღწევები უფრო მრავალმხრივ ასპექტში შეიძლებოდა განეითარებულყო. სანწყარად, ჟორჟოლიანის მემორიული პოტენციური შესაძლებლობანი ბოლომდე არ იქნა გამოვლენილი და გამოყენებული, რაზეც ბრალი, პირველყოფლისა, რეჟისორების ნიუქლივი.

მასთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრება ჯაგვი-ზიარა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა, რეჟისორმა ვახტანგ ტაბიაშვილმა:

— ბოლო პერიოდში შემომავეული აზრი, თითქმის ჟორჟოლიანი დაიმტამა, ერთფეროვანი გახდა, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეფერვდა. ამ მცდარი შეხედულების ჩამო-

ყალიბებას მომდევნო თაობის რეჟისორებმა შევუწყვეთ ხელი — ჩამოვკიდეთ მის განუშეორებელ ნიღბებს და ამით ჩვენ თვითონვე „შევეუარით ხელ-ფეხი“ მსახიობის მრავალწახნაგოვანი ნიჭის გამომწეურებას.

კომედიული პერსონაჟის მსატკარელად ხორცმსხვის კლასიკური ნიმუშია მოსე მწერალი (შ. დადიანის „ნინოელი გურია“, რეჟისორი დ. ანაბე). ამ როლში მთელი სისასხითა და მრავალფეროვნებით იჩინა თავი ჟორჟოლიანის ბუნებრივმა იუმორმა, კომედიურობის მახვილმა გრძნობამ, გმირის შინაგან სამყაროში წვედომის ძალდაუტანებელმა მანერამ. მსახიობი მიმართავდა მწიგავე სატირულ ფორმებს. მისი დახასიათება იყო თამამი, უკომპრომისო — ბოლომდე ამიშვლებდა გაქნილი და გაიძეურა მეფის მოხელის ზნედაცემულობას, სინაბრებს, შელახულ ადამიანურ ღირსებებს, მაგრამ მოსე მწერალი ზიხლს არ იწყებდა მაცურებელში.

ა. ჟორჟოლიანს დიდი ეპიკუნებით ჰქონდა დამუშავებული სახის უწერილობანები დეტალები. მიუხედავად როლის მომგებიანი და მაცურებელი ბუნებისა, მსახიობი მრსად არ აჭარბებდა, იყო საოცრად ზომიერი, რბილი.

მოსე მწერალის სახე ა. ჟორჟოლიანმა შექმნა ცვრანსეცეს. დოლიდის ფილმში „დარიკო“ და კვლავ მორიგ, დიდ წარმატებას მიაღწია. ამ როლმა მსახიობს უსაზღვრო პოპულარობა მოუტანა. ყოველი კადრი მისი მონაწილეობით დარბაზში იწყებდა კომერულ სიცილს და ტაშს. ჟორჟოლიანის მადლი პროფესიონალებში და მამაცსატკარელთა ის, რომ მან სპექტაკლისეული გმირის ასლი როდი გადმოიტანა ფილმში, არამედ გულმოდგინე ძიებით გამოიძერწა თვისობრივად ახალი და აქ გათვალისწინებული იყო ევრანის სპეციფიკური თავისებურებანიც. ამ შემთხვევაში, მსახიობი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა გამომსახველ მიმიკას. დაშვებულ ექსტს, რაც კინოაპარატის წყალობით უფრო გამოიკეთა. მოსე მწერლის ევრანული სახე გარეგნული მონახისი უფაქიქეს ნიუანსებზე იყო ავეებული, რასაც ემატებოდა სცენაზე უკვე ნაპოვნი მართალი განცდა და განწყობილება.

პოფმარშალ ფონ-კალბის კომედიური ფერადოვნებითა და სიმშუბუქით აღსავსე სახე შექმნა ა. ჟორჟოლიანმა ფ. შილერის პიესაში „ეპიკობა და სიყვარული“ (რეჟისორი გ. ქურული). მსახიობი ამჯერადმა გულუხვად იყენებდა მწიგავე სატირულ, გროტესკულ სადგენებს. როგორც ყოველთვის ზუსტი და გამომსახველი იყო მისი გარეგნული დახასიათება.

პლასტიკა — არაჩვეულებრივად მეტყველი და მოქნილი ჟორჟოლიანის ფონ-კალბს თათხის ფინია ძალღივით ხელები მუშად წინ გამოუწული და კვლავად მოხრილი ჰქონდა, თითქმის ამით სურდა ხაზი გაეყავა თავისი „არისტოკრატიზმისთვის“. მისი პატარა, მოციმციმე თვალები საოცარი ძალით გამოხატავდნენ დაუოკებელ ცნობისმოყვარეობას, ლტოლვას ყოველგვარი ახალი ინფორმაციის დაყოფებელი შეხრუტისაკენ, რათა ჭორების გავრცელების პირველადი უფლება სწორედ მას მოეპოვებინა. მსახიობი განსაკუთრებით გამოყოფდა პოფმარშალის ვიწრო, შუხლდულ გონებას. მისი გაქანების პორიზობის სივიწროეფს. ფონ-კალბი ჟორჟო-

1. ა. ვაჟაშვილი, „ოტბე მარჯანიშვილი“, თბილისი, 1972 წ. 391 გვ.

ლიანის შესრულებით იყო მოსულები, თავჯირანი, ცანცარა, ყოველგვარ ღირებებს მივლენული „დიდგვაროვანი“.

ზნედაცემული ვაჭართა წრის ტიპიური წარმომადგენელი დაგვისბატა ა. ჟორჟოლიანმა ვ. ბაზოვის „იკვა რიჩინაშვილიში“ (რევისორი დ. ანთაძე). სპექტაკლის რეჟოლუციური პერსონაჟი გადაწყვეტის ფონზე ხანნიას გაუბნობდა და: დანდობლობა, მისი დრონიჭიერი, მემჩანური შეხედულებანი, ანგარებით, კომერციული სულისკვეთებით გაქვლითილი ბუნება განსაკუთრებული სიხვადით გამოიკვეთა. მსახიობი თავდაც ამუშებდა ფერებს. ამჯერად მან საჭიროდ არ ჩათვალა თუნდაც ონდავი სიზრულულის გრძობა გავლიძეობდა მაყურებელს ხანნიას მიმართ. რამდენადაც მეტი სიმკვეთრით, სიმახვილით გამოქჟონდა ჟორჟოლიანს „დღის სინათლეში“ საყოველთაო განსაქიქებლად ხანნიას შავბუნელი „მოღვაწეობა“, მით უფრო აშკარა იყო მსახიობის დამოკიდებულება თავისი გმირის მიმართ.

თავის დროზე თეატრალურ მივლენად იქნა აღიარებული ღ. არდაზიანის „სოლომონ ისაკი“ მეჯღანუაშვილის“ დადგმა მარჯანიშვილის თეატრში, რომელიც ასალგარდაჭარაგულია რევისორმა ვახტანგ ტაბლიაშვილმა განახორციელა. სპექტაკლი ყურადღებას იპყრობდა იდეური მიზანდასახულობით, რევისორული გამომოგონებლობით და, რაც ყველაზე მეტად აღანიშნავია იყო, ბრწყინვალე აქტიორული ანსამბლით: შალვა დამბაშიძე (მეჯღანუაშვილი), ვერვიკი ახაფაზიძე (გლეჩე), ელისაბედ ჩერქეზიშვილი (მარინა), ნიკო გოციჩიძე (ოპანუა), ცეცილია წუწუნავა (ხორეზანი), სელილია თაყაიშვილი (სოფო), აკაკი კვანტალიანი (ვეტლე ურცხვია), გიორგი შავგულიძე (ლუანსაბი), მერე დაგვი-თამაში (ვეფხია).. უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ერთ სპექტაკლით ამდენი აქტიორული მიღწევა!

ამ დიდებულ ანსამბლში ღირსეული ადგილი ეკავა აღნიშნულსანდრე ჟორჟოლიანის ალექსი კერპაძეს. მსახიობი შესანიშნავად „ყნოსავდა“ არდაზიანის მიერ წარმოდგენილი ეპიქის „სურნელებს“. ჟორჟოლიანის კერპაძე მუდამ ცდილობდა ორგანული და მჭიდრო კავშირი დაემყარებინა ყოველგვარ ახალ მოვლენასთან, თავისი მონაწილეობით ეროვნულად „გაეკეთილშობილებინა“ მდაბითა წრის ფენა. უბრალო ხალხთან უპირატესობის ხსჯავასმელად იგი ხშირად მიმართავდა ფრანგულ გამოთქმებს. მეტად გამოსახველი იყო სცენა ლაგოში. ისეთი გამოკვეთილი ირონიული დამოკიდებულება, ცინიზმი აღიბეჭდებოდა კერპაძის გამომეტყველებში, რომ სახვებით აშკარა იყო მისი პოზიცია ამ სასოგადოების მიმართ.

ასეთივე მამხილებლური ძალით იყო წარმოდგენილი ლიტოს თამაშის სცენა. ა. ჟორჟოლიანს ჩინებულად ჰქონდა დამუშავებული როლის მთელი პლანი — მისი ხსჯავასული წამოხატვლები, საგანგებო მახვილები ცალკეულ სიტყვებზე თამაშის დროს, რაც მიმართული იყო რანდაძისა და მეჯღანუაშვილის ურთიერთობის გამომქადვების ცდისაკენ.

— ალექსი კერპაძის სახე, — გვესაუბრება ვ. ტაბლიაშვილი, — გაგიმეორე ფილმში „ქეთო და კოტე“, როლი ეპიზოდურია, მაგრამ მსახიობმა თავისი განუმეორებელი ნიჭის წყალობით შექმნა დაუვიწყარი ტიპაჟი. პირველი დახურუ-

ლი ჩვენება მოსკოვის ცინო-სახლი, ლაურეატებისთვის მოეწყო. ჟორჟოლიანის გამოჩენისთანავე, თითქმის ტალღამ გადაიარა, დარბაზში ერთიანი სიცილი გაიანა, ხოლო მის ფართო პლანიტ გამოჩენას და შეძახის — „ვაიმე, მიშველეთ, ჭერი ინგრევა!“ — მოჰყვა ხარხარი, ტაში და ასე გაგრძელდა დიდხანს, სანამ ჟორჟოლიანი კადრიდან არ გაქრა.

ვ. ტაბლიაშვილის რევისორობით ა. ჟორჟოლიანმა მარჯანიშვილის თეატრში შექმნა კიდევ ერთი საყურადღებო სცენური სახე — ქერამ-ღა ვ. კანდელაკის პიესაში „მია წყნეთლი“. მეძებარი ძალიდით წაგრძელებული სახე, დაქყეტილი, შურიტა და ღვარძლით სახვე თვალები. ტყვეებით მივაჭრე ღას სული და გონება მხოლოდ ფილებს, ოქროებს დასტრალიზება, სხვა ყველაფერი არაა და მიაჩნდა, სძაგდა ყოველივე — ასეთი სასტიკი იყო მსახიობის დახასიათება.


როდესე მუშაობის დროს ა. ჟორჟოლიანი ხშირად იჩენდა ხოლმე შემოქმედებით ინიციატივას, რითაც გარკვეული წვლილი შეატრნა სახის გამდიდრებაში. ასე მოხდა „მია წყნეთლიში“. მსახიობმა ქერამ-ღას ტექსტში ჩართო თურქული სიტყვები, რაც იმდენად ორგანულად ჩაჯდა სახეში, რომ ყოველი უცხო სიტყვის წარმოთქმის შემდეგ მაყურებელთა დარბაზში გულიანი სიცილი გაიშოდა.

დიდ წარმატებას მიაღწია მარჯანიშვილის თეატრის კოლექტივამ გოგოლის „რევისორის“ დადგმით (რევისორი ა. ახაფაზიძე). სპექტაკლი გამოირჩევა მონოლოგიურობით, მასშტაბურობით, სატირული სიმძაფრით. კიდევ ერთხელ გაიბრწყინა აქტიორულმა შემადგენლობამ თითოეული სახე მახვილ გოტეტსკული პლანში იყო გადაწყვეტილი. მსახიობებს სრული შესაძლებლობა ეძლეოდათ ბოლომდე გამოეყვლინათ კომედიური შესაძლებლობანი.

გროტესკულ პლანში ავითარებდა თავის სახეს ა. ჟორჟოლიანიც (ლუკა ლუკი ხლოპოვი). ეს იყო აღნიშნა, რომელიც ერთხელ და სამუდამოდ შეშინდა. მსახიობს მახვილგონიერულად ჰქონდა მიგნებული გარეგნული პორტრეტი — „ქრიანული“ შიშისაგან მუდამ აზიდაული წარბები, დამწოტბარი, სასოწარკვეთილებით სახვე თვალები, წვლიში მოხრილი სიარული, შემპარავი, ქურდული ნაბიჯები — ზუსტად ახასიათებდა ხლოპოვის მინაგან ბუნებას. ჟორჟოლიანი მთელი სპექტაკლის მანიძლე ეტაპობრივად იძლეოდა შაშის განვითარების საფეხურებს ამა თუ იმ მოვლენასთან ურთიერთდამოკიდებულებაში, რაც კულმინაციურ წერტილს აღწევდა რევისორთან შეხვედრის სცენაში. აქ ჟორჟოლიანის ხლოპოვი გამოიღო ტანით ცაცხაებდა, მუხლები გვეკებოდა; მისი შიშის მთავარსაგანი მასშტაბები ძიბერბოლურ გაზვიადებად იყო აყვანილი.

ჟორჟოლიანის სახის ფეხი შემოქმედებითი გამარჯვება ილიკოს პოეტური სარის შექმნა ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის, მე, ბებია, ილიკო და ილიარიონი.“ ეს სპექტაკლი, რევისორ გ. ლორთქიფანიძის ინტერპრეტაციით, გვიბოლავდა ცხოვრებასეული სიმართლით, ლირიზმით, ხალასი იუმორით, ადამიანებისადმი სათუთი, ფაქიზი დამოკიდებულებით.

ა. ჟორჟოლიანის ილიკო სიკეთისა და ხალხური იუმორ-



ბეჟანი — „ცხოვრების წარსული“

რის განსახიერებაცა, გონიერი და ენაკვიმიტი ქართველი გლეხ-
კაცის ტიპიური წარმომადგენელია. მსახიობმა თავის შესრუ-
ლებაში ერთმანეთს ორგანულად შეუსამაშა მასილი კომედიუ-
რობა და ღრმა ლირიზმი, რითაც სახეს განუმეორებელი მიმ-
ზიდველობა შესძინა.

აი, რას ამბობს ჟორჟოლიანის ილიკოზე მისი პარტნი-
ორი, გასაცარი ბებია — სესილია თაყაიშვილი: „სხვა
ილიკოს, ს. ჟორჟოლიანის გარდა, ვერასოდეს ვერ წარმოვი-
დგენ. ეს იყო არაჩვეულებრივად თბილი ბერიკაცი. რა დამა-
ვიწყებს მის თვალებს. თუმცა, უცაყარავად, მას ცალი თვალი
ქონდა, მაგრამ იმდენ რაბეს იტყვდა და გადმოცემდა ის
ერთი თვალი, რომ ხშირად მიფიქრია, ილიკო რომ ცალთვა-
ლა არ ყოფილიყო, ალბათ ვერც გავუძლებდი მისი გამოხე-
დვის სიძლიერეს. სამუდამოდ ჩამრჩა მესხიერებაში სცენა,
როდესაც ილიკოს ილარიონის შვილის სიკვდილის ცნობა
შემოაქვს. ამ დროს სანდროს ცალი თვალი ყოველთვის ცრე-
მლით ქჭონდა სახეზე. რა ღრმა სევდა ისადგურებდა ილიკოს
არსებაში, როგორი დიდი სიყვარული იგრძნობოდა ჩემს მი-
მართ ფინაურ სცენაში, როდესაც ვკვდებოდი; როგორ ჩუ-
მად, ფეხაყვრით გადაიდა ოთახიდან, რომ არ შეეწეუბ-
ნინე. ასეთ პარტიოთარს ურთიერთობა დიდი ბედნიერება
ყველასათვის“.

ილიკოს ასეთივე თბილი და გულშიჩამწვდომი სახე შექ-
მნა ა. ჟორჟოლიანმა თენგიზ აბულაძის ფილმში „მე, ბებია,
ილიკო და ილარიონი“.

ა. ჟორჟოლიანის შემოქმედების აღიარებაზე, მის განუ-
ზომელ დეაქულზე ქართული თეატრალური ხელოვნების წი-
შე, ნათლად შეტყვევებს ქართული საბჭოთა თეატრის ორი
ბუმბერაზი მსახიობის მეტად საყურადღებო გამოხატვები:

აკაკი ხურაძე — „ჟორჟოლიანის მოღვაწეობა ქარ
ლ თეატრსა და კინოში დიდი მოვლენაა ჩვენი კულტურის ისტ-
ორიაში. დიდმა ნიჭმა მას ხალხის უტკბობი სიყვარული მოუ-
პოვა, რომელიც თაობიდან თაობაში გადავა“.

მერიმონ სანჯარაძე — „სცენაზე გამოსვლის პირველივე
წლებში ჟორჟოლიანი ერთ-ერთ ყველაზე საყვარელ და პო-
პულარულ მსახიობად იქცა. მისი ტრანსტის განსაკვირვებ-
ელი თვითმყოფადობა, სცენური სახეების ცხოვრებისეულაა,
იუმორის დაუმრეტელი წყარო, რომელიც მასში ცოცხლობდა,
კოლორიტული გარეგნობა, მოძრავი, საოცრად გამომსახველი
სახით — მსახიობის წინაშე ფართო შემოქმედებით პერსპე-
ქტივებს შლიდა.

მისი პოპულარობა უსასღვროა. იგი ხალხისაგან განებუ-
ვრებული, საყოველთაო-სახალხო არტისტი იყო. სცენაზე და
მაყურებელთა დარბაზში მსახიობი დღესასწაულს ქმნიდა.
მას ყოველთვის მეტხარე ტაშით და ალტაცებულად შეტყვე-
ვებით გვიგებოდნენ“.

* * *

აღუქსანდრე ჟორჟოლიანის შემოქმედების ორგანული და
განუყოფელი ნაწილია კინო. ძნელია ქართული კინემატოგრაფი-
ის წარმოდგენა ჟორჟოლიანის მიერ ბრწყინვალედ განსახი-
ერებული სახეების გარეშე. მსახიობს უდიდესი ამაგი იი-
უძღვის ქართული კინოხელოვნების ფორმირების, ჩამოყალი-
ბებისა და წინსვლის საქმეში. მისი მონაწილეობა განსაკუთრე-
ბულ ემსხა და ღვაწათს მატებდა ფილმს.

ა. ჟორჟოლიანის, როგორც კინომსახიობის, დებიუტი
1926 წელს შედგა რეჟისორ ა. ბუგ-ნარსოვის ფილმში „ნა-
თელა“. მას შემდეგ მსახიობი თითქმის ყველა ქართულ ფი-
ლმში მონაწილეობდა, სადაც არაერთი დაუვიწყარი გერანული
სახე გამოძიქნა: მინისტრის მდივანი და მღვდელი (მ. ტია-
ურელის „უკანასკნელი მასკარადი“ და „არსენა“), კოსტია
(ნ. შენგელაის „ნარიჩის ველი“), მანია კორია (დ. ბონდ-
ლის „კოლხეთის ჩირაღდები“), ამირანი (მ. მანაგაიის
„ჭირვეული მუხომლები“), გიონაზის მასწავლებელი (კ. პუ-
პინაშვილის „პოეტის აკვანი“), სერაფონი, ანტონი და პუ-
რიგმახერი (ნ. სანიშვილის „ბედნიერი შეხვედრა“), „გაზაფხ-
ელი საყვანი“ და „ბუმბერაზი“, ბაბუა (ზ. გუდავაძისა და მა-
რტაშვილის „მანანა“) და სხვ.

თითოეული ეს სახე აღმგებელი იყო მკვეთრი ინდივიდუ-
ალურობით, მასილი კომედიურობით, დახვეწილი პლასტი-
კითა და მეტყველი მიმიკით.

ფილმებში მონაწილეობამ ა. ჟორჟოლიანს უდიდესი პო-
პულარობა მოუპოვა. გერანის წყალობით მისი ხალხის-
იუმორი შეიყვარა არა მარტო ქართველმა, არამედ საბჭოთა
კავშირისა და სასწავლოგარეთის მრავალრიცხოვანმა მაყურებ-
ელმა. მსახიობის პოპულარობაზე შეტყვევებს საინტერესო-

2 ტელეფონორამა. ინახება ა. ჟორჟოლიანის პირად არქივში.
3 ვახ. ზარია ვოსტოკო, 28 VI. 1969 წ.

ეპიზოდი, რომელსაც სიმომენტებით იხსენებს კინორეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი:

— ეს ამბავი მოხდა მაშინ, როცა ფილმ „ბედნიერ შეხვედრას“ ვიღებდით. ცალკეული ეპიზოდების გადასაღებად აუცილებელი იყო სასაზღვრო ზონაში შეესაღებინათ. საშვები ავიღეთ და მანქანით გავემგზავრეთ გადასაღები ადგილები-საკენ. გზაზე საერთო მითარულები სუფევდა. განსაკუთრებულ ღალატით იხურჯობდნენ ახალგაზრდა მსახიობები ვიორგი შაველუიძე და ვახტანგ ნინუა. მათ გადაწყვიტეს სანდრო გაუბარაზებისათ, ამიტომ განზრახ ხოტბას ასხამდნენ იქ მყოფ ერთ მართლაც კარგ და შესანიშნავ მსახიობს. მას თავიანთი მამასა და მასწავლებელს უწოდებდნენ, ხოლო ჟორჟოლიანის ხსენებისას ტურს იზსუებდნენ და, სხვათაშორის, ჩაილაპარაკებდნენ — „ჟორჟოლიანსაც არა უშავს, მასთან რას მივთა.“ ცხადია, ეს უბოროტო ხუმრობა იყო და სანდროვ დიდ ყურადღებას არ აქცევდა. ამასთანავე მანქანა საგუშაგო პუნქტს მიუახლოვდა. ახალგაზრდა რუსმა ლეიტენანტმა შეგვაჩერა და საშვები მოვითხოვა. პირველად მე მიმავლოდი ჩემი საბუთები, შემდეგ იმ „მამისა და მასწავლებლის“ საშვები გადასთავლიერა გულმოდგინედ; ჯერი ჟორჟოლიანზე მიდგა. სანდრომ გულის აზიზიდა ამოიღო პასპორტი და მორიგეს გაუწოდა. ლეიტენანტმა მასთან შესხლა, წამით შეყოვნდა, უკან დაიხია, შემდეგ ისევ მიუახლოვდა, კარგად დააკვირდა სანდროს, სიამოვნებისაგან სახე გაუბადრა და მესაზღვრეებს გადასახა. ჯარისკაცები მყისვე იქ ჩაჩნდნენ.

— ბიჭებო, შეხედეთ, კინოსმსახიობი ჟორჟოლიანი. „უკანასკნელი მასკარადი“ ხომ გახსოვთ? „დარიკო“, „ადაგარული სამთხა“, „ნარიჩხის ველი“. შესხედეთ თუ არა, მაშინვე ვიცანია.

რუსი ჯარისკაცები ცნობისმოყვარეობით შესცქეროდნენ სანდროს და იღიმებოდნენ.

— პასპორტების შემოწმებით დროს არ დაგაყარვინებთ, შეგიძლიათ მისრძანდეთ! — წამოიძახა საყვარელი მსახიობის ნახვით გაბრუნდომი ლეიტენანტმა.

სანდრო იქვე მიუბრუნდა შაველუიძეს და ნინუას და ნიშნისმოგებით მიახალა — „გვეცე თქვენი მამა — მასწავლებელი“.

ა. ჟორჟოლიანის შემოქმედების კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია ესტრადი. თეატრსა და კინოში ინტენსიური მოღვაწეობის პარალელურად მსახიობი, მთელი არსებით, გატაცებით იღვწოდა ამ ჟანრში.

არ დაჩრჩილა კუთხე საქართველოში, რომ ჟორჟოლიანი თავის განუყოფელ პარტნიორთან სესილია თაყაიშვილთან ერთად არ გამოსულიყო მრავალფეროვანი საესტრადო ნომრებით. ხალხი აღტაცებით ეგებებოდა საყვარელ მსახიობებს.

„ყოველი ჩვენი გამოსვლა ესტრადაზე — იგონებს ს. თაყაიშვილი — ჩხუბით იწყებოდა და ჩხუბითვე მთავრდებოდა. სანდროს ეჩვენებოდა, რომ მე უფრო სასაცილო სიტყვები მჭო-

ნდა ტექსტის მიხედვით, ვიდრე მას და ამაზე ამიხრდებოდა. მეც არაფერს ვუთმობდი. თქვენ წარმოიდგინეთ, ასეთ „ნერვეზაული მდგომარეობაში“ მაინც ვახერხებდით, რომ დღეში ზოგჯერ ხუთი კონცერტი ჩაგვეტარებინა. მე არ შეხვედრია ისეთი პოპულარული მსახიობი, როგორც სანდრო იყო — მისი გამორჩევა და გაჯინარება ყოველთვის ტანის გრილი მიმდინარეობდა. რაც არ უნდა „დაგვეკვამა“ ერთმანეთი, სანდრო ჟორჟოლიანის გვერდით ყოფნა, სცენაზე იქნებოდა ეს, ფილმში თუ ესტრადაზე — შინაგან ძალასა და რწმენას მმატებდა, იმიტომ, რომ ის იყო დიდი რეალისტი მსახიობი.“

ალექსანდრე ჟორჟოლიანი მხოლოდ მაყურებელთა სიყვარულით როდი იყო გარემოცული — ვინც ახლოს იცნობდა ან უპირატესო, მოკვამლებულ, სათიო ადამიანს, შეუძლებელია მისდამი პატივისცემით არ გამაჰკავალუყო.

ა. ჟორჟოლიანი დიდი სიყვარულით სარგებლობდა თეატრში, კინოსტუდიაში, კოლეგებს შორის.

— ბატონი სანდრო, — გვესაუბრება რესპუბლიკის სახალხო არტიტი მარინე თბილელი, — ანუ, როგორც ჩვენ მას ყველანი ხუმრობით მივმართავდით, „მაქსიმოჩი“, დასაშინ ყველაზე უფროსი გახლდათ. იგი ძალზე საყვარელი მოხუცი იყო, თუმცა მოხუც ვერ უწოდებდით, ის ხომ ყოველთვის ეტრფოდა ახალგაზრდაობას, გულგრილად არასოდეს არ ჩაველიდა ღამეს ქალს. დილიდანვე კოპონად ჩაცმული, გაპარსული გამოდიოდა სასტანდ. დღე არ გავიდიდა, რომ თეატრში არ შემოველო, თუნდაც საქმე არ ჰქონოდა. თეატრის ინტერესებით ცოცხლობდა და სულდგმულობდა.

როგორც ფრანგული ენის ჩინებულ მცოდნეს, სახლში გამოწერილი ჰქონდა გაზეთი „ლიუმინტი“, თუკი რაიმე საინტერესო წერილს აღმოაჩენდა, მაშინვე მოჰქონდა ჩვენთან და ყველას გვიცხიხავდა.

კომედიური პლანის მსახიობებისგან განსხვავებით, სანდრო ცხოვრებაში ზედმეტად სევდიანი, ჩაფიქრებული იყო; ერთი შეხედვით მოგვიჩვენებოდა, თითქოს რაღაც აწუხებოდა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, არასოდეს არავის საქმეში არ ჩაერეოდა.

როგორ გავანიბერებდა ქალებს ყოველ რვა მარტს! მოგვიტანდა სასმელს, ტბილეულობას. ფოიემი მაგიდას გავმოდდით, შუაში „მაქსიმოჩს“ ჩავისვამდით და მოველუნდით!.. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. წავიდა ჩვენგან ბატონი სანდრო და რვა მარტმა იცვალა სახე. მართალია, თეატრის მამაკაცები ტრადიციულად აღნიშნავენ ხოლმე ქალთა დღეს, მაგრამ „ჟორჟოლიანისეული წვეულებები“ წარუშლელია ჩვენს მესხიერებაში.

ფარნაოზ ლაპიაშვილი

სვეტლანა კენერ-მითაიშვილი

ძაროსში თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის, საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის, სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ფარნაოზ ლაპიაშვილის შემოქმედება დღეს ფართოდაა ცნობილი. სცენოგრაფიული ხელოვნების ამ შესანიშნავი ოსტატის სახელთანაა დაკავშირებული 118 დრამატული, ოთხი საოპერო, სამი საბალეტო, ექვსი მუსიკალური სპექტაკლი და სამი კინოფილმი.

წინამდებარე წერილი მიზნად არ ისახავს ღვაწლმოსილი მხატვრის შემოქმედებითი გზის სრულ და ამომწურავ ანალიზს.

საუბარი გვეყენება ფ. ლაპიაშვილის ძირითად შემოქმედებით პრინციპებზე, იმ სცენოგრაფიულ კონცეფციებზე, რომლებსაც მხატვარი თავის საეტიკაო სპექტაკლებში ამაშავებდა.

ფ. ლაპიაშვილი თეატრში მამინ მოვიდა, როდესაც სცენას შემოქმედებითი ძალების ახალი ნაკადი, სპექტაკლის მხატვრული გაფორმების ასლებური გადაწყვეტა ესაჭიროებოდა.

40-იან წლებში ფ. ლაპიაშვილმა ი. სუმბათაშვილთან ერთად შექმნა თავისი პირველი დეკორაციები სპექტაკლებისათვის „ფამთაბურის ასული“ (1944) და „დავით აღმაშენებელი“ (1946), რომლებმაც მოამზადეს ნიადაგი მხატვრის დამოუკიდებელი მოღვაწეობისათვის.

ფ. ლაპიაშვილის პირველი დამოუკიდებელი სპექტაკლი იყო ლ. ჭუბაბრიას „ჩენი ფრთები“ (1947). ამ სპექტაკლიდან მოყოლებული მხატვრის მოღვაწეობა მჭიდროდ უკავშირდება რუსთაველის თეატრს. ამ პერიოდთან იწყება ფ. ლა-

პიაშვილის შემოქმედებითი თანამშრომლობა რეჟისორ დ. ალექსიძესთან.

ფ. ლაპიაშვილის ადრეულ ნამუშევრებშივე იჩენს თავს მისი შემოქმედების სტილისტური თავისებურებები. სპექტაკლებში „პრინცესა ტურანდოტი“, „ციცია“, „ამირანი“, რომლებიც კონსტრუქციულ-ფერწერული სტილითაა გადაწყვეტილი, იგი გვევლინება დიდებული, მასშტაბური ექსტერიერების შესანიშნავ ოსტატად.

1951 წელს, ფ. ლაპიაშვილმა შექმნა საპავილიონო ინტერიერი და ექსტერიერი სპექტაკლისათვის „მტრები“ (გორკის პიესის მიხედვით), სადაც მხატვრული გადაწყვეტა მთლიანად ისტორიულ-რეველუციურ თემას დაუმორჩილა.

ფ. ლაპიაშვილის შემოქმედებაში შესვდებით ფერწერული და კონსტრუქციული გაფორმების პრინციპებს („გორდა“, „ფირსმანი“, „პირველი ნაბიჯი“ და სხვ.), ერთიანი სურათის ტიპის დეკორაციებს („ოდიშის მეფე“, „ანტიგონე“, „ტრამეი“, „სურელი“ და ა. შ.), თხრობით-ადწერით დეკორაციებს („პარათაშვილი“, „ოთარანთ ქერი“, „ადამიანებო, იცავით ფიზულა!“), სიმბოლური ხატოვანების შემქმნელ სურათებს („ოტელი“, „დონ კარლოსი“, „დონ სეზარ დე ბაზანი“), პორიზონტალურ სცენური სივრცე გაყოფის პრინციპს („ფილოსოფიის დოქტორი“, „ჩემი მშვენიერი ლედი“, „ურელი აკოსტა“).

როგორც აღვნიშნეთ, ფ. ლაპიაშვილის შემოქმედებითი ცხოვრების 20 წელი რუსთაველის თეატრთანაა დაკავშირებული. ამ თეატრის აყენაზე გაფორმებული სპექტაკლებიდან საეტაპოა „ოდი-

პოს მეფე“, რომელმაც მხატვარს აღიარება მოუპოვა. სპექტაკლის ყველა კომპონენტთან ორგანულად შერწყმული სცენოგრაფიული გაფორმება შესანიშნავად გადმოსცემდა ეპოქის სულს, ქმნიდა სპექტაკლის სტილისტურად ერთიან ვიზუალურ სახეს.

დეკორაციებს მხატვარი ავებს არა სცენის სიბრტყეზე, არამედ მაყურებელთა დარბაზისაკენ გადახრილ დანადგარზე. კიბეების, სათამაშო მოედნების, გადასასვლელების, მოცულობითი ელემენტებისაგან შემდგარი დანადგარი ან კუთხითაა მოთავსებული სცენის სარკის მიმართ, ან კიდევ რამის პარალელურად. კონსტრუქციები არ იმიტირებენ ერთმანეთს.


„ამლეტივი“ რენესანსის ეპოქის სტილში გადაწყვეტილი შავი კონსტრუქციები მრავალრიცხოვანი გადასასვლელებითა და სათამაშო მოედნებით, ხაზს უსვამენ სპექტაკლის რიტმსა და დინამიკას, გადმოსცემენ გმირების აღზევებასა და დაცემას.

შილერის „დონ კარლოსის“ გაფორმებისას, რომელსაც საფუძვლად დაედო გაწონასწორებული ფორმების სიმწყობრე და დახვეწილი, მახვილგონიერული კომპოზიციური გადაწყვეტა, თავი იჩინა ფ. ლაპიაშვილის ხელოვნების კიდევ ერთმა საინტერესო თავისებურებამ.

გარდა იმისა, რომ მხატვარი წარმატებით უთანხმებს ერთმანეთს პიესის ეროვნულ შინაარსსა და თეატრალური ხელოვნების თანამედროვე ხერხებს, აღწევს კონსტრუქციული და ფერწერული საწყისების სინთეზს, ფ. ლაპიაშვილი ქმნის კიდევ ერთ პირობითობას, რომელიც ხაზს უსვამს სპექტაკლის იდეას. კერძოდ, მხატვარმა ორი გვერდითი მუდმივი პილონით შეამკო რამბა, რითიც მნიშვნელოვნად შემცირდა სცენის სარკე. ამ ხერხით ფ. ლაპიაშვილმა შექმნა იმ შთაბეჭდილების წარმება, რომელიც ფილიპე II-ის დროს სუფევდა ესპანეთში.

სცენის სარკის შემცირება დრამატულ თეატრში იყო სრულიად ახალი ხერხი, რომლის საშუალებითაც მხატვარმა გადაწყვიტა მოქმედებაზე მაყურებლის ყურადღების ფიქსაციის პრობლემა.

ფ. ლაპიაშვილის შემოქმედებაში თავს იჩენს მისი სტილის კიდევ ერთი ააყურადღებო თავისებურება. მის მიერ გაფორმებულ თითქმის ყველა სპექტაკლში არის ერთგვარი ფარდა-ფარი, რომელიც დინამიკას ანიჭებს სპექტაკლს, ამათანავებ ყოფს სცენას, ამსხვილებს მსახიობის პლანს, აახლოება მას მაყურებელთან. პირველად ასეთი ფარდა გამოყენებულ იქნა ვ. დარასილის „ეკვიპიში“, შემდეგ შ. მილორაგას მუსიკალურ კომედიაში „სიმღერა თბილისზე“, შემდეგ კი „დონ სე-





სპექტაკლ „ბატრიონის“ დეკორაციის ესკიზი




„გორდა“. კოსტიუმების ესკიზი

პალიტ „გორდას“ დეკორაციის ესკიზი






სპექტაკლ „ხოვაის მინდიას“ დეკორაციის ესკიზი



სპექტაკლ „სამგროშინი ოპერის“ დეკორაციის ესკიზი

სპექტაკლ „ტრაგედია „სურვილის“ დეკორაციის ესკიზი



ზარ დე ბაზანში“, „ანტიგონეში“ „დონ კარლოსში“, მიუზიკლში „ჩემი მშვენიერი ღამე“ „ანტიგონეში“ (კიევის ი. ფრანკოს სახ. დრამატული თეატრი) „ფარდა-ფარი“ წარმოდგენილია უზარმაზარი, მონოლითური ფილის სახით, რომელიც სპექტაკლის მსგელობისას ხან ვერტიკალურ, ხან კი პორიზონტალურ მდგომარეობას იღებს (მსგავსი პრინციპია „ოტელოს“ ფინალურ სცენაში).

„ანტიგონეში“ „ფოლა“ რამდენიმე მნიშვნელობის მატარებელია: ვერტიკალურ მდგომარეობაში იგი ურყევია, როგორც თებეს კანონთა კრებული, იგი ფარავს ყოველივეს, რაც მის მიღმა, ქმნის ინტიმურობას მსახიობისათვის და ა. შ.

პორიზონტალურად დაშვებულ ფილაზე მიმდინარეობს მოქმედება, იქმნება სათამაშო წერტილები მსახიობათვის.

„ურთელ აკოსტაში“ ასეთ „ფარდას“ არა აქვს რაიმე საგნობრივი მნიშვნელობა (ისევე, როგორც „კიკიძეში“, „დონ კარლოსში“, „დონ სენსარ დე ბაზანში“), მაგრამ მისი ტაბიური ებრაული ორნამენტება ხაზს უსვამს გაფორმების სტილს, შეყავს მასურებელი მოქმედებაში.

ფ. ლაპიაშვილის დეკორაციები მუდამ ხიბლავდა მასურებელს გამომგონებლობით, საოცარი ფანტაზიითა და გემოვნებით.

სპექტაკლში „დონ კარლოსი“ სინათლის ეფექტით მსატვარი დიდ ემოციურ ზემოქმედებას ახდენდა მასურებელზე. სამრიგად განლაგებულ მოღვივისფრო სანათურებით წარმოდგენილი შორი პლანი აღიქმებოდა როგორც „ათასი სანთელი“ საკურთხევის სიდიადეს რომ გადმოსცემს, ამავე დროს ასოციაციას იწვევდა ორდანის აზიდულ მიღებთან. უკან ფარის მოციფსფრო-მოიისფრო ფონი, მოწითალო შუქი, შორი პლანის კაშკაშა სანათურები, ერთ მილანობაში შერწყმულნი, ქმნიდნენ უჩვეულო კოლორისტულ სიმფონიზმს, სპექტაკლის რიტმსა და დინამიკას რომ განსაზღვრავდა.

1954 წელს ფ. ლაპიაშვილმა გააფორმა დ. თორაძის ბალეტი „გორდა“. მსატვრის ეს ნამუშევარი სახელმწიფო პრემიით აღინიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლი სურათების მიხედვით იყო გაფორმებული და თითოეულს ჰქონდა გარკვეული, წინა სურათისაგან განსხვავებული და მუსიკის შესაფერისი ტონალობა, კოლორისტული პარმონია იქმნებოდა მხოლოდ ცოცხალ საცეკვაო მოქმედებაში. შუქის ეფექტებთან და კოსტიუმებთან ერთად დეკორაციები მხოლოდ მაშინ იწყებდნენ ჰუმარიტ არსებობას. ამიტომაც მთლიანობაში ფ. ლაპიაშვილის დეკორაციები კოლორისტულად მდიდარი და მრავალფეროვანი იყო.

მიუხედავად დეკორაციების თხრობით-აღწერილობითი ხასიათისა, თითოეული სურათი ნატი-



ფი ლირიზმითა და პოეტურობით იყო აღსაყვანი პლანზე წამოწეული იყო არა ყოფითი სინამდვილე, არამედ რომანტიკული ლეგენდა.

მუსიკალური თეატრის სცენაზე, დრამატული თეატრის მსგავსად, მხატვარი ცდილობდა შექმნა რეალური გარემოს ილუზია.

სპექტაკლის ფერწერული გადაწყვეტის თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ იგი იქმნებოდა გამოქორცილ ტიხრის (ტყუის რომ განასახიერებდა) დაფენით სამ-ოთხ პლანად განლაგებულ გარკვეული ტონალობის ჭონზე. მათი ვიზუალური შეწყვეთი იქმნებოდა რეალური გარემოს სურათი.

ერთთა ჭეშმარიტი სიმფონიზმით გამოირჩეოდა სურათი „მანის სასახლეში“ (II მოქმედების I აქტით). ამ სურათის გადაწყვეტას დეკორირების ფერწერული პრინციპი ედო საფუძვლად. აქ ფ. ლაპიაშვილმა გამოიყენა აღმოსავლური სტილის თაღოვანი სისტემა, რომელიც შორ პლანზე ერთიან თაღნარს ქმნიდა. მის ღიობში კი ფირუზისფერი ფონი ჩანდა. ამ სურათშიც მხატვარმა მიმართა უკანა ტიხართან თაღედის შეწყვეტის ხერხს, რითაც ერთიანი სურათის შთაბეჭდილება შექმნა.

ფ. ლაპიაშვილის შემოქმედების კიდევ ერთ თავისებურებას წარმოადგენს სცენური სივრცის გაყოფა პორიზონტალზე და დეკორაციათა პერსპექტიული პარონია მთელი სცენის შევსებისა.

კიევის ფრანკოს სახელობის დრამატული თეატრის სცენაზე „ურთელ აკოსტას“ დეკორაციებს, რომლებიც რომანული სტილითაა გადაწყვეტილი, ფ. ლაპიაშვილმა საფუძვლად დაუდო სცენის სარკის ორ თანაბარ ნაწილად გაყოფის პრინციპი: ფერწერული ფარდა-ფარით, რომელსაც არავითარი საგნობრივი მნიშვნელობა არ ჰქონდა, სცენის

ნას კეტავდა ხან ქვედა, ხან კი ზედა ნაწილებში რაც გარკვეულ რიტმს ანიჭებდა სპექტაკლს.

ფ. ლაპიაშვილის მხატვრულმა ტენდენციებმა სცენური სივრცის ორგანიზაციის მხრივ, პირველად „ფილოსოფიის დოქტორის“ გაფორმების რომ იჩინეს თავი, შემდგომში განვითარება „ურთელ აკოსტაში“ კპოვეს და დაპრუბებული სახე მუკომედის თეატრის სცენაზე „ჩემი მშვენიერი ლედის“ გაფორმებისას მიიღეს.

სცენური სივრცის პორიზონტალური გაყოფის ხერხით სცენოგრაფი ქმნიდა გარკვეულ პირობითობას, რომელიც სპექტაკლის იდეის გახსნას უწყობდა ხელს.

საგანგებო ფარდა-ფარით, ისევე როგორც „ურთელ აკოსტაში“, მხატვარი კეტავდა სცენის ნაწილებს. ზოგჯერ მხატვარი მთლიანად ათავისუფლებდა სცენის სარკეს ამ ფარდისაგან და სრულად წარმოაჩენდა სცენაზე აგებულ კონსტრუქციას.

სურათების სწრაფი მონაცვლეობით ფ. ლაპიაშვილი აღწევდა მუსიკასთან სრულ თანხმობას, გადმოსცემდა სპექტაკლის დინამიკას.



სპექტაკლის გაფორმებას, რომელიც მაყურებელს საოცარი ფერმეტყველებით ხიბლავდა, საფუძვლად ედო არა ფერწერული, არამედ სიბრტყობრივ-კონსტრუქციული პრინციპი (ბრტყელი პილონები და კიბის კონსტრუქცია). პილონები (სულ რვა) მოქმედების მსვლელობისას ქმნიდნენ გარკვეულ გარემოს: მთლიანად ან ნაწილობრივ აღიოდნენ „ზევით, ათავისუფლებდნენ სცენის სივრცეს.

„ჩემი მშვენიერი ლედის“ დეკორაციათა პირობითობა სავსებით შეემაბამებოდა მიუზიკლის სინთეტურ ბუნებას.

ზემოთ აღნიშნული სამი სპექტაკლის სცენოგრაფიული კონცეფცია საინტერესო მიგნება იყო

სპექტაკლ „ოტელოს“ დეკორაციის ესკიზი

სპექტაკლ „ანტიგონეს“ დეკორაციის ესკიზი



ქართულ თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნებაში.

ცალკე საუბრის ღირსია ფერი ფ. ლაპიაშვილის მიერ გაფორმებულ სპექტაკლებში. კოლორიტითა და შუქის პარტიკულთა გადმოსცემს მხატვარი მოქმედების დრამატიზმს, ცდლობს გახსნას ნაწარმოების იდეა. ფერი ფ. ლაპიაშვილის სპექტაკლებში, გამომდინარეობს რა დადგმის იდეური კონცეფციიდან, იძენს ემიციურ აზრს.

ფ. ლაპიაშვილის ნამუშევრებში ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ მხატვარი ძირითადად სამ აქრომატულ ფერს მიმართავს — შავს, რუხსა და თეთრს („გორდა“, „ოთახანთ ქერივი“, „ჰამლეტი“, „ქეთევან დედოფალი“ და სხვ.). ზოგჯერ ერთ-ერთი ამ ფერთაგან დამომინერებულ მნიშვნელობას იძენს, სხვა შემთხვევაში კი სამივე თანაბარი ძალისა და ინტენსივობისაა.

ბალეტში „გორდა“ შავი ფერი, მხატვრის ფერწერული ოსტატობის წყალობით ათასგვარ ელერადობას იძენს: დახშული, ყურთა იგი ფონში, გაჯერებული და მსუყუა ხეთა კონტურებში, სადაფის ფერი ქლერადობისა — სურათში „ჯადოქართან“. აქრომატული და მონოქრომული ფერები, ორკესტრის ბანების მსგავსად, მძლავრ აკორდებდ ერწყმებიან ფერთა საერთო სიმფონიას, ხაზს უსვამენ მის რიტმსა და მონოლოტობას — ამოხსნის მხატვარი. მაგრამ აქრომატიულობის მიუხედავად ფ. ლაპიაშვილის დეკორაციითა კოლორიტი არახტროს არ არის მშრალი და მონოტონური.

აქრომატული ფერების გარდა ფ. ლაპიაშვილის ნამუშევრებში შეინიშნება მისწრაფება გარკვეულ ფერადოვან ჯგუფთა შეხამებისაკენ, რაც განსაზღვრავს სპექტაკლების კოლორიტულ და ემოციურ გამომსახველობას („ჰამლეტი“ და „გორდაში“ — შავი, ყვითელი, თეთრი, მუქი მწვანე, ყავისფერი და ცისფერი). მაღალი ფერწერული ოსტატობის წყალობით მხატვარი აღწევს იმ ფერთა კოლორიტულ გამომსახველობას, რომლებიც ძნელად უქვემდებარებიან ამ ამოცანას.

დიდი როლს სპექტაკლის სახეობის სტრუქტურის ფერადოვან და რიტმულ ორგანიზებებში ასრულებენ კოსტიუმები, რომლებიც ფ. ლაპიაშვილთან ფერწერულ-კოლორიტულ მნიშვნელობას იძენს. „ნუ ხატავთ უბრალო კოსტიუმს, არამედ გამოსახეთ იგი მიქმედი გმირის ხასიათზე თქვენი წარმოდგენებიდან გამომდინარე. უნდა გასსოვდეთ, რომ მხატვრის ყოველ უწერილეს, მაგრამ სწორად მიგნებულ შტრიხს შეუძლია დიდი დახმარება გაუწიოს მსახიობს, სწორი გზით წარმართოს იგი“ — წერდა ნემროვიჩი-დანჩენკო („ტეატრი“ № 4, 1977, გვ. 115).

ფ. ლაპიაშვილის ყველა კოსტიუმი გამოშასქვლია, ყოველ მათგანს აქვს თავისი ხასიათი და კოლორიტი, რომლის ფერთა გამა აგრძელებს, განავითარებს დეკორაციის ფერწერულ გადაწყვე-

ტას. თითოეული მათგანი ეძიებს სტილითაა აღბეჭდილი. ეს კოსტიუმები შორსაა ყოფილიობისაგან და პერსონაჟის ხასიათის სპექტაკლის მხატვრული გადაწყვეტის საერთო სისტემიდან გამომდინარე უკავშირდებიან.

დიდი ოსტატობით, სტილისა და ეპოქის ღრმა ცოდნითაა შესრულებული „დიონ კარლოსის“, „ჰამლეტის“, „ოტელოს“, „დიონ სეზარ დე ბაზანის“ კოსტიუმები. მაგრამ მხატვარი ეთნოგრაფიულ სიზუსტეს როდი ესწრაფოდა. მოქმედ გმირთა კოსტიუმები ფ. ლაპიაშვილთან განსზოვადებულია. მხატვარი აგებს მათ გარკვეული ფერადოვანი მასებით წვრილი დეტალების მინიშნების გარეშე.

ფ. ლაპიაშვილი ჭეშმარიტად ეროვნული მხატვარია. ქართული კულტურის ნიშნები თავს იჩენს მის ნამუშევართა კოლორიტში, კომპოზიციოში, ნაწარმოებას მთელ მხატვრულ სტრუქტურაში. მისი შემოქმედება ქმნის გარკვეულ ეტაპს საბჭოთა თეატრალურ-დეკორატიულ ხელოვნებაში. მხატვრის ნამუშევრებმა დაიკვიდრა საპატიო ადგილი საბჭოთა თეატრის ისტორიაში, ბევრი მათგანი დღეს სცენოგრაფიული ხელოვნების კლასიკაა.

ფ. ლაპიაშვილი ყოველწლიურად მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო და სასოფრეარეთის გამოფენებზე. მისი ნამუშევრები მრავალი ჯილდოთი აღინიშნა, რომელთა ჩამთვლა შორს წაგვიყვანდა. მხატვარი ბევრს მუშაობს, შეაქვს თავისი წვლილი ქართული სცენოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში.

1960 წლიდან ფ. ლაპიაშვილი ხელმძღვანელობს თბილისის სამხატვრო აკადემიის ფერწერის კათედრასთან არსებულ თეატრალურ-დეკორატიულ სახელოსნოს, აადაც და კაკაბაძისა და ს. ქობულაძის ტრადიციებს აგრძელებს.

ფ. ლაპიაშვილი ავტორია მრავალი საინტერესო წერილისა თანამედროვე ქართული ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე. მაგრამ ძირითადი, რა თქმა უნდა, მისი თეატრალური შემოქმედებაა.

დღეს ღვაწლმოსილი მხატვარი კვლავ აღსავსეა შემოქმედებითი ძალითა და ენერგიით. მის ნამუშევართა მონუმენტურობასთან და ნატივ კოლორიტულ მუსიკალობასთან ერთად ფ. ლაპიაშვილის შემოქმედებას კიდევ ერთი რამ გამოარჩევს, რასაც თავის დროზე რეჟისორმა დ. ალექსი ძემ „მოუცნებობას“ უწოდა. იგი მუდამ სწყდება მოსაწყენ ყოველდღიურობას და თავისი ხელოვნებით მომავლისაკენ მისწრაფვის.

ხალხურ საფყისებზე აგებული სახილველი

„აპრიკონის“ ლაგვის ბაჟი

დიმიტრი ჯანელიძე

რს დღიდანაჲ ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის მშენებლობას სათავეში კოტე მარჯანიშვილი ჩაუდგა, ერთდღერთი მთავარი საფიქრებელი ის იყო, რომ თეატრის რევოლუციასთან თანახმიერების შესაბამისად, სახიობის ერთენული ფორმით გამოხსახველობაზე უზრუნათ. მარჯანიშვილი აცხადებდა, რომ ყველაზე დიდმნიშვნელოვანია თეატრის ორიგინალობისათვის ძიება იმ გზებისა, რომლითაც მიდიოდა თეატრი მისი ევროპეოზაციის დრომდე, ამ ძიებას ის საკაცობრიო მნიშვნელობას აკუთვნებდა, რამდენადაც, მარჯანიშვილის რწმენითაც, რაც უფრო მეტია ორიგინალური გზები კულტურაში, მით უფრო ღირებულია კაცობრიობის მონაპოვნარი.

მარჯანიშვილი დღეობებსა და გამაირებაში, ფერხულსა და გუნდის გაყოფაში ორ მოკამათე ჯგუფად, მაყობასა, ბერიკაობასა და ყენიზბაში ხედავდა უაღრესად თეატრალურსა და ორიგინალურ-ერთენულს. მისი აზრით, ეს იყო ნამდვილი თეატრი. ამიტომაც მარჯანიშვილი მოითხოვდა ხალხური თეატრის წარმოშობის, მისი გზების, მისი ბუნების გამოკვლევას, რამაც, „შესაძლოა, მიგვიყვანოს ისეთ მოულოდნელ დასკვნამდე, რომელიც არა თუ დაუღებს ახალ საფუძველს, არამედ განაგრძობს სიცოცხლის ძაფს, რაც მოდიან დღეს დაკარგული, მაგრამ ოდესღაც არსებული ნამდვილი თეატრისაგან“ (კ. მარჯანიშვილი, ქართული თეატრის საკითხები, ჟურნ. „აპკასიონი“, 1924, გვ. 198-199).

კ. მარჯანიშვილის აფიქრება და აწუხებდა, რომ თეატრალური კრიტიკა ჩამორჩეობდა მხატვრულ შემოქმედებას, რომ თიბილისში, ოციან წლებში, არ არსებობდა თეატრმცოდნეობითი სამეცნიერო კლავითი ცენტრი (კ. მარჯანიშვილი, შემოქმედებითი მემკვიდრეობა, რუსული გამოც. ტ. 1, თბ., 1958, გვ. 198) და ხალხური თეატრის წარმოშობის, მისი გზებისა და ბუნების გამოკვლევაში მას ვერ დახმარებოდნენ. მარჯანიშვილი, ერთხანად, თვით აგროვებდა ისტორიულ მასალას, ადგენდა ბიბლიოგრაფიას, რომ ეს საკითხი თვით


დაემუშავებინა, — ამის დამადასტურებელი მარჯანიშვილის ხელით ნაწერი ფურცლები თეატრალურ მუზეუმშია დაცული, მაგრამ, ცხადია, რომ სასცენო შემოქმედებითი მუშაობით დატვირთულობის გამო, მას დრო აღარ რჩებოდა ისტორიულ-მეცნიერული ძიება ჩატარებინა და მით მხატვრული შემართებისათვის ნიადაგი შეემზადებინა.

მარჯანიშვილი იძულებული იყო საკუთარ ნაწახ-ნაფიქრზე დაყრდნობით და იმ ცოტაოდენის გათვალისწინებით, რაც ამ დროისათვის ხალხური თეატრის ძნელდებობისაგან ცნობილი იყო, გაბედულად შედგომოდა ევროპული თეატრისაგან შეთვისებულის გარდაქმნის ცდას ქართული ხალხური სახიობი ნიშან-თვისებათა საფუძველზე საკმარისი იქნება გავისხნოთ ზურაბ ანტონოვის „შვის დაბნელებაში“ (1923 წ. მუდმივი ქართული თეატრის არსებობის 73 წლისთავისადმი მიძღვნილ წარმოდგენაში) მეცხრამეტე საუკუნის 40-50-იანი წლების სახელგანთქმული ბერიკას აბულ რევაზიშვილის ნიღაბის გაყოცხლება და სანდრო შანშიაშვილის „მათარხის პანაშვიდი“ („პეუეთის გმირები“ 1924), სანდრო ახმეტელთან თანაშემოქმედებით დადგმულ წარმოდგენაში, აკაკი ვასაძის მიერ მესტიერე ციხის სახის შექმნა, რაც რეცენზენტის შეფასებით ამ მსახიობის „ბუნებასა და ნიჭზე გამოჭრილი როლია. მოძრაი, საღი, მზიარული და თანაც ვაჟაკური, რომლის ძვალ-რბილში გამჯდარია ხალხური სული“ (გაზ. „კომუნისტი“, 1924, № 247). აქვე უნდა მოვიხსენიოთ მარჯანიშვილის კინოფილმი „ქარიშხლის წინ“ (1925, შალვა დადიანის სცენარით), სადაც ჩართული იყო ქორწინების წეს-აღაბ-სახიობა და ყენიბობის მსვლელობა, და რაც განსაკუთრებით მანიშნებელია, „კამლეტის“ მარჯანიშვილისეულ დადგმაში (1925) ხუმარა-მესაფლავეებად იმერელი და კახელი გლეხის ნიღაბების (შ. დამაბაშიძე, ვ. გოდიაშვილი) შექმნა.

„სანდრო ახმეტელმა, შემდგომ, ეროვნული თეატრის მშენებლობაში ხალხურ საწყისებზე დაყრდნობის საკუთარი



იანო — ს. კიაურელი



ლალე, თავბეროკა — გ. ბერიკაშვილი

ქუ ყაიდაზე: „ქუსლთან ბეჭედსა დასდებენ, წამწამითა ზღუს აღებსაა“. მარჯანიშვილს ეს არ აკმაყოფილებდა, ხე-ღუნქში ხალხურის იმიტაციას ვერ იტანდა, ხალხურით დაღწერას ის დახვეწილი არტისტიზმისაკენ უბიძგებდა. მაქანიშვილმა მის გვერდში მჯდომ ლაღო გუდაიშვილს მიჰგოვა შვეველიძისათვის კინტოურას თამაშ ეჩვევებინა. გუდაიშვილმა ხელის მეტყველებით თავისი ნახატების გაყოფა-ღება მიანიშნა: კინტო, ხევსურ მესულთანესავით, ჯერ თავის ზღს ამოწვდიდა და მერმე ხევისას, — ცინცხალ ახალ ზღს ჩაიდგამდა. ეს მინიშნება გ. შვეველიძისათვის საკმა-ხში აღმოჩნდა, რომ ცეკვა-კინტოური, გუდაიშვილისეული ზიგონებით, სრულიად გარდაეგმნა, რათა სრულიად ახალი ზღამაზე აეშენებინა და პლასტიკური გამომსახველობის საყრდენება შეექმნა. ამ გაუცხოების ხერხით, მიღებული საყრდენების შემდეგ, ვეღარც კი წარმოუდგენიათ კინტო-ურის სხვაგვარად შესრულება, თუმცა კი, ახლა, ცოტას თუ ახ-ღებს ამ სვევის არტისტულ გარდაქმნა-სრულყოფაში „არსენას ლექსი“ მარჯანიშვილი-გუდაიშვილი-ბალანჩივაძე-შვევე-ლიძის ვეშინებნაში. აი, რა უცუარი შედეგის მომტანია ხალხური უშუალობისა და პროფესიული არტისტიზმის, — აი, გინდათ ის უწოდეთ, — სინთეზი თუ ინტეგრაცია.

„არსენას ლექსი“ მარჯანიშვილს სარეპერტურო წარმო-დგენდა შეუფასებ და მარცხად ჩაუთვალეს. მარჯანიშვილი კი ეჭვად ამ ძიებათა ქარცეცხლში გამოვლით მივიდა ასეთ დას-ღებამდე: „შესაძლო იქნებოდა ზოგიერთი რამის აღდგენა ძველი სახითიდან (ბერიკაშო და სხვ.), მაგრამ საჭირო არის თუ არა ეს ჩვენთვის დღეს. — გამოვა საშუალებით ნივით. სხვა საშუა დრამატურგია, უთუოდ შენამეული პროლეტა-რიკტის ენოქსათან (გ. მარჯანიშვილი, შემოქმედებითი მემ-კიდობა, ტ. 1, თბ., 1972, გვ. 217). რა არის ეს წაქე-ქევატება? — არა, ეს არის ძიებათაგან მიღებული დასკვნა-დედებულება: ხალხური შემოქმედებითი მონაპოვარის თეატრის მიერ თვისება ხორციელდება არა აღდგენა-მიბაძვა-იმიტაცა-

ით, გაყალბებით და სტილიზაციით, არამედ ხალხის ცხოვ-რების სიმართლით ამხანველ თანამედროვე დრამატურგიაზე დაყრდნობით.

მარჯანიშვილმა ხალხური შემოქმედების მცოდნეს და მოა-მაგეს, პოეტ იოსებ მჭედლიშვილს მოუხმო და აღანთო იმი-სათვის, რომ მას ძველ ბერიკაშო ცხოვრება-სახითიდან თან-მედროვე პიესა დაეწერა. დაიწერა „იონა-ბუიანა“. მარჯანი-შვილის გარდაცვალების შემდეგ ამ პიესის დადგმაზე მუშა-ბდნენ რეჟისორი დოდო ანთაძე, მხატვარი ლაღო გუდაიშვი-ლი და კომპოზიტორი აკაკი ანდრიაშვილი.

როლები ასე განაწილდა: იონა — ბუიანა — ვასო გოძიაშ-ვილი, სანთო — ვერიკო ანჯაფრამიძე, ბეგო — სანთოს საქმრო შალვა ლამბაშიძე, რევაზ ანდრიაშვილი — შაქრო გომე-ლაური, ტიბორია — გრიგოლ კოსტავა, ფემანგი — მიხეილ ლორთქიფანიძე, გიორგი ბატონიშვილი — ნიკო გოცირიძე, ბატონიშვილის მდივანი ქილიფთარი — სანდრო ფორთოლიანი, ბერიკეიბი ხიხო, კიკო, რიკო, დოყო, ბოყო, როყოყო — აკ კვან-ტალიანი, გ. შვეველიძე, ალექსანდრე გომელაური, ნიკო ილიურიძე, ალ. რამიშვილი. ქალბერაკები: თამარ ჭავჭავაძე, ლიზიკო ვაჩანაძე, თინა ჩარკვიანი: საგულდაგულო სამზა-დისი განაღდა. ნიაღვი ხომ მარჯანიშვილის წარმოდგენებით იყო მოსინჯული და შემზადებულიც.

მარჯანიშვილისეული მიღწევებიდან საამისოდ მთავარი ეს იყო: ქართველი მსახიობის ბუნება სინთეზურობის სრულ-ყოფაში შევიდა, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობანი ფარ-თოდ გიშალა, გამოშახველი საშუალებანი გამიდრდა და დაიხვეწა; მსახიობი აღარ ემაყოფილებოდა მხატვრული მე-ტყველების ოსტატობით, პანტომიმებით და, განა მარტო პან-ტომიმებით, — მსახიობის სხეული ისევე დაყენებული, გავწ-რითული აღმოჩნდა წარმოსახვისათვის, როგორც მისი ხმა. ქა-რთული სცენის ოსტატისათვის ნორმად იქცა ვოკალურ-მუსი-კალურის და ქორეოგრაფიულის სინთეზი პოეტურ სიტყვა-

თან ამიტომაც არის, რომ ქართველ მსახიობს საყოველთაოდ უკებენ პლასტიკური გამომსახველობის ძალას და რიტმის უზადო გრძნობას. ამის გამოც იყო, რომ დღესასწაულებრივის, სიმინევის აღმძვრელ წარმოდგენებში სინერგეტიზმით აღბეჭდილ ხალხური შემოქმედების ნაკვადღევც გასვლას კარგი პირი და დარი არ უჩანდა.



ჯამთა, მღვდლებრიკა — გ. გელოვანი
მაჭქოსა, ცვახერი — ლ. ანთაძე
ჯავახა, კრობერიკა — თ. შალვაშვილი
ხოსრო, ვირბერიკა — კ. თოლორაია,
ბექა, რუსობერი — ლ. ცხავარიანი

ეს ხალხურ საწყისებზე აგებული სახილველისათვის გაცილებით მოსაზარელი იყო, თუკი ორიენტირებული დრამაზე გვეყენებოდა, მაგრამ ბერეკულ-საყვინთო სანახაობის შესრულებებისათვის მაინც იგრძნობოდა. ამიტომაც იყო, რომ „იოანა-ბუიანას“ დადგმისთან დაკავშირებით, ბერეკაობის ცოცხალი ტრადიციის გასაცნობად და შთამავრთნელი მასალის მოპოვებად კახეთში გაიგზავნა ექსპედიცია: დრამატურ იმპრესარიოების, მსახიობ ნიკო გოციანიძის, რეჟისორ დიმიტრი ანათაძის, მხატვარ ლადო გუდიაშვილის და ამ სტრიქონზე ავტორის შემადგენლობით. ეს იყო 1935 წელს.

მიუხედავად ხანგრძლივი სამზადისისა, ძვირფასი მასალის შეიარაღებისა, ლ. გუდიაშვილის სასცენო ფერმწერებისა და ანდრიაშვილის მუსიკისა „იოანა-ბუიანას“ დადგმისათვის განხორციელება არ ეწერა. დარჩა პიესა, ბრწყინვალე კიზები, რამაც სათავე დაუდო გუდიაშვილისეულ ბერეკაობის კვლევის ამხანაგული ნახატების ციკლს და საწყისი მიეცა ხალხურ სანახაობათა მასალების ფონდის შეგება-გამდიდრებას. რამაც საშუალება მოგვცა, 1938 წელს, თეატრალურ მუშაობაში ქართული ხალხური თეატრის გამოყენება მოვეწყო, ხოლო 1943-1948 წლებში მონორაფიული შრომა „ქართული თეატრის ხალხური საწყისები“ გამოვექვეყნებინა.

ამ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე გზაზე აღსანიშნავია მარჯანიშვილის თეატრში განხორციელებული ლევან გუგუშვილის პიესები „ერეკლე მეორე“ (1942) და „დავით აღმაშენებელი“ (1946), სადაც ძველი ქართული სახიობიდან გიორგი შაველიძემ განოცანების თეატრი და საიათნოვას სახე გაეცოცხლა, ხოლო ვასო გოძიაშვილმა უშრეტო ტემპერამენტით და მკვეთრი სანაირებით XI-XII საუკუნის მემდრე წარმოდგენებზე ბერეკაობის აქლემკაობის თანხლებით. რასაკვირვებელია, უნდა შეგებდეთ ამავე ავტორის პიესაზე „სამსახიობო რაინდისა“, რაც 1958 წელს მარჯანიშვილის თეატრმა თბილისის 1500 წლისთავისადმი მიძღვნილ წარმოდგენად განხორციელა.

ლ. გოთუა ქართული თეატრის ისტორიის გამოკვლევების დაწყებამ და პიესაში, ხალხის გმირული ბრძოლის ფონზე ძველი საქართველოს თეატრალურ-სანახაობრივი კულტურის მთელი კომპლექსის სხვადასხვა სახის, ვეარობის და ჟანრის წარმოსახვა სცადა. მისტრიალური ქმედობიდან „ნიშნა-ნიშნა“, საფერხული დრამიდან „პიიდა, ქალებო“. სახიობიდან ნიღბისან-მეგობრისათა გამოსვლები მათი სამგონის დამსახურებით სიათებელი პოეტური სიტყვის, სიმღერის და ცეცვის შერწყმით, გაშიერებითა და განბასკრით, ბერეკაობა-ყვინთოს მსვლელობა-ქმედითობით.

ხალხური სანახაობრივი სამყაროს ასე ფართოდ წვდომის მიზანდასახული აღმოჩნდა, მაგრამ ესეც უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხური მასალის დრამატურული ათვისების მართალი იძლეოდა ლ. გოთუას პიესის მთელი რიგი სცენები და მაინც მთლიანობაში, დრამატული კომპოზიციის მოზაიკური და ფრაგმენტული იყო. პიესა „სამსახიობო რაინდის“ ძირითადი იდეის გამომხატველად უნდა ჩაითვალოს ლომბერიკა ბადრის გაფორმებები: არ გვენოთ, ჩვენი ბერეკაობა უბრალოდ მასწრობა-გარბობა იყოსო. არა, იგი ჩვენი სოფლის და ქალაქის ენსაბურება. ბერეკაობა ხალხის

მძლეთა-მძლე ძალას ავლენსო“. ავტორი ამ დედაპარს ყოველთვის როდი მიჰყვება, ზოგჯერ საამისო ქმედობის დავით წყდება, სანახარობივად მომგებანი სცენების შეკონსტრუქციით (ფერხლებული, ცვეტიანი, გამაირება-შეჯიბრებანი) სიუჟეტის გამლა-განვითარებას ნირი ეცვლებოდა და სალალოზო გამართობი ხდებოდა.

ამ პიესის რეჟისორულ და სამსახიბო წარმოსახვას დიდად აძნელებდა იაიგი, რომ სცენაზე არ ჩანდა, არ მოქმედებდა მონაწილეები და კონფლიქტის გამწვავებას ვერაფერი შეელოდა მტრის ციხე-სიმაგრიდან დროდადრო ქოფაე-დარაჯის პირობსეული წამოყვირება. პიესა, ლეგან გოთუასათვის დამასხასიათებელი ქართულით, სახიერად და ნატიფად იყო ნაშენი, რაც გარკვეულ გასაქანს უქმნიდა მსახიობთა სასცენო მერსობას, ვაფაღ წარმოსახვის წიწმულობას. თუმც, ესეც კია, რომ დრამატურის თავზე ხელაღებული გატაცება სიტყვა-მისწველობით, ხალხური კომედიის იმპროვიზაციული სტიქიისათვის ზოგჯერ შემაფერხებელიც უნდა ყოფილიყო. მთავარი მიანიც ის იყო, რომ თეატრმა დრამატურგიულად საინტერესო სათქმელი იპოვა.

სპექტაკლი დაიდგა ვერეკო ანჯაფარიძის მხატვრული ხელმძღვანელობით, ვ.რ. ლაღიძის რეჟისორობით. თეატრალურ-დვიორაციული მხატვრობით ის შემოსა ისევე სუბიანაწილმა, მუსიკალური კეთილზმრავანებისათვის ეცადა კომპოზიტორი ა. ჩორგოლაშვილი. ხოლო წარმოდგენის პლასტიკურ გამომსახველობას და რიტმს ბევრი რამ შეუძინა რელი გეგარამიძის ისტეტიკამ და გ. დარახველიძის გარკვეულ, რაც არც ვი ილა იყო, მსახიობებს ხომ უნდაო გზის გააფაფა უხდებოდათ.

„სამსახიბო რაინდისა“ განხორციელდა, როგორც სიმღერა-ზღაპარი, როგორც საფერხული დღეობა — ვაფერხია და ქალბერკია მწყობრთა სადღესასწაულო გამართვებით. სპექტაკლი არ იყო მოკლებული პაერონებასა და ერთგარი პარმონი-ულობასაც კი, ხასხასა ხალისიანობას, თითქოს აღტაცების გადამდებლობით დარბაზის ხელში აყვანის ძალაც შესწევდა... მაგრამ (და აქაც ეს საწოთიორად უკან დახვიის, სიტყვის უკან წაღების გამომსახველი „მაგრამ“ გვეხარჯება). სპექტაკლი არ იყო დასრულებული, არ იყო შემომტკიცებელი, შემდგომი ზრდა-შემატებისათვის გამართული და ამიტომაც ერთიანი შემოქმედებითი ზრობით მოაოგებულს დღეი დღე არ ეწერა. ამ წარმოდგენაში ვაფერხიათა მწყობრს რაინდის სამსახიობით ედიშერ მაღალაშვილი (ბადრი), ხოლო ქალბერკიათა მწყობრს დლორ ტიჭინაძე (მთავარისა) უძღოდა. ამ დღესასწაულებრივ სახიბობაში თენგიზ მასისურაძემ (გინჯა ბრეცია) დალეო ანთაძემ (პოკო) ბერეკული განსახიერების ფხა აიწყვეს.

ისე როგორც ნიღბების ყოველი საიმპროვიზაციო თეატრი, ეს წარმოდგენაც მოკლებული იყო ადამიანთა ვნების ღრმწაწული მით დასასათებას, სამაგიეროდ, აფრანკაშვიებით იყო შეწული მხიარულებასა და სიცილის აზვირთებაში. ამდენად, ამ სახიობას, რაღაც ხასხასად ახალი, სათუთად ნორჩი, ხალხური, საგაზაფხულო დღეობათაგან მონაბერი აღტკინება და თეატრალურობით თირობ-მეღმერე-მოკიცხართა ქმედობით გაწიწმუტება და ყოველივე ამის თანამედროვე სასცენო ხელოვნების მიღწევებზე მწყობის იმედი შემოქმონდა (დ. ჯანელიძე,

სპექტაკლი დღესასწაული, გაზ. „ზარია ვოსტოკა“, 1958 წ., 5. XI № 258.)

„სამსახიბო რაინდის“ შემდეგ, არცთუ ისე ბევრმა წარმოდგენამ ჩაიარა და უბან-უბან მოხეტიალე ბერიკების ხალხურმა მადლმა, რეჟისორ გიგა ლორთქიფანიძის მეოხებით ისევე თავი შეგვასხუნა, — პოლიკარპე კაკაბაძის ერთ-ერთი სწორუპოვარი კომედიის მსხნელად და მისი სასცენო ბედის გამოძვირად მოვეგვინა. ამ კომედიის ვაი-უშველებელი ოცდაათ წელზე მეტ ხანს გრძელდებოდა, მსახიობთა გარდასახვით სახისმეტყველება მას არა და არ ეწერა. თუმცადა, კომედიას უფრო და უფრო სრულყოფილი გრძნობდა, რომ ეს კომედია, თუ მეტი არა, ისეთივე დიდსახიერო, ცხოვრების არსსი ღრმად და ფართოდ მწვდომი მხატვრული ქმნილება იყო, როგორც მარჯანიშვილის და უშანგი ჩხეიძის მაღალნიჭიერებით ხორცილსმული, საყოველთაოდ აღიარებული „ვერცხვარე თუთაბერი“, მაგრამ რეჟისორთაგან, ვინც კი ხელი შეუხი და ოლაჯი გაიწყვიტა, ყველა ხელმოცარული დარჩა. პოლიკარპე კაკაბაძე კი იხიტიბარს ამ დღესადა, კომედიას უფრო და უფრო სრულყოფდა, სახელწოდებას სახელწოდებაზე უცვლიდა: „ბახტარიონი“, „დავით მერვე“, „კახაბერის ხმლი“, მაგრამ რა? — კომედია ისევე გამოუვლდა კომიკურ მდგომარეობაში იყო მოქცეული, ავტორის პიესათა კრებულში გამოქვეყნდა და სცენის კარს უკან მივადებული თავის ტრაგედიას განიცდიდა, და აი, — სასწაული! არადა, ბრძანეთ, რა სიტყვა გამოთქვამს ამ საოცრებას და საკვირველებას, თუ არა, „სასწაული“? ხალხურმა, ბერიკულმა ტყალისონა-ნიღბისონამ, გიგა ლორთქიფანიძის რეჟისორობით, ბეჭვის ხილვე გაატარა, სცენაზე წარმატებით აიყვანა თვით მისი, უდღებულებობა“ ლიტერატურული დრამა, რომლისაგანაც არაერთგზის ყოფილა გაქირდული და შეჩვენებული.

თითქოს „კახაბერის ხმლის“ ბერიკული ნიღბების ჩარჩომი ჩასმით გაუცხოება და კეირობა და კიდევ ერთი საოცარ-საკვირველება. — საკვირველობა ქნა ხომ ხელწვენების უშველესი კანონია. თუ რა ემოციურ ზეგავლენის ძალას აძლევს სასახიობო შემოქმედების საოცრება და საკვირველება, ეს ხომ რუსთაველს აქვს აღნიშნული: „აჯაბი (საკვირველებათა) მქმნელი მჭერტყლია გულსა. მუნ დაბრძინდიან“. — რეჟისორმა გიგა ლორთქიფანიძემ და მხატვარმა მამია მაღალაშვილმა წარმოდგენას გასაფორმებლად ერთი დიდი ურემი აკმარეს და ისიც მეტაფორიზაციის ორომტრალში გახვიდა. — ეს ურემი ხომ საზიადარ ურემად აღიქმობა, მაგრამ იგი, ამასთანავე, მსახიობთა სცენა-სამღერლად წარმოადგინეს, გულქან-გოსტაშაძის სახლ-კარადაც აქციეს, მხატვანგანის საუკუნო ტახტადაც, ხან აღამაღლეს და ხან დაამსეს, თანაც, კიდევ ეს გამეტაფორებელი ურემი ასიწის და დასწიეს, ხან გუდა-ნიღბად აკრულ ბერიკათა სამგზავროდ ააგორეს და ხან საგონსოდ დააყენეს. ყოველივე ამის გარდა, ხალხურის, ქართული ყოფა-ცხოვრებისეულის გამომსახველადაც დატკვეს. ეს ურემი, — ხან ისე და ხან ასე, — ხან თვლებზე შემდგარი მიჭრიალებდა, ხან თავდაყირა იდგა და ხან არბენინდ იყო წამოქცეული. დვიორაციულმა გაფორმებამ სული ჩაიდგა, თვით ურემი ნიღბისონადა და გარ-

ნიორებისათვის — სცენაზე ქმედობისათვის) არის მოტანილი, ხოლო მეორე შემთხვევაში — მხოლოდ და მხოლოდ მაყურებელთა დარბაზისაკენ მიმართული. ამ ორი პლანის ურთიერთშერწყმაც და ურთიერთგამორიცხვაც იყო გათავისუფლებული; მაგრამ თვით რეჟისორის აღიარებით ამის თეატრალური გადაწყვეტა არ მოხერხდა „მიწეზისა გამო სხვისა და სხვისა“.

ჯაბა იოსელიანის „ეთერისას“ საბჭოთა და თანამედროვე საზღვარგარეთული დრამატურგიისა და თეატრის ძიებითა ციხე-ტყელების კვალი დასტოვობა, მასში ისმის ფსიქოლოგიურის, ასურდულ-ინტელექტუალურის, ბურლესკურის და კიდევ სხვა მავანის და მავანის გამოძახილი.

ამის გამოკვეთა, თვით რეჟისორის აღიარებით, სპექტაკლში ვერ მოხერხდა. „წინასწორბა თითოეული მათგანის უდრემწიფებით სიძველეთის მემკვირვებით უნდა დამყარებულიყო, ჩვენ კი ამის მაგივრად კვლავ სუბიექტური თუ ობიექტურის მიწეზის გამო, დავუშვით ამ ხუთების აღრევა“. რასაკვირვებელია, თანამედროვე პიესა არ უნდა იყოს ჩაკეტილი ვიწრო ეროვნული ტრადიციების ჩარჩოებში მაშინაც კი, როდესაც გარკვეული ხალხის ეპოსის სცენურ გადამუშავებას გულისხმობს; ჩვენ უნდა ვხელმძღვანელობდით იმის ვაგებთა, რომ სოციალისტური რეალიზმის ხელშეწყობა ეროვნულიც არის და ინტერნაციონალურიც და იგი არა მარტო მრავალეროვნული საბჭოთა მხატვრული კულტურის, არამედ მეტიც მსოფლიოს განვითარებადი ხელოვნების პროცესის კურსში უნდა იყოს და ყოველთვის იყენებდეს, რაც კი მის იდეურ-ესთეტიკური მრწამსის გამოსატანს გააღონიერებს და გაამდიდრებს, მაგრამ სიმორბოვლე ვეგანობებს, რომ იდეო-ხეობების და გამოსახველ საშუალებათა გამოყენება, თვითმიზნად კი არ იქცეს, არამედ ადამიანის, როგორც ქმედითი ძალის, შემოქმედების სიძარბოებით განობტაცს ემსახურებოდეს. ჯაბა იოსელიანის ცდის აზრიც იმაშია, რომ „ეთერისაში“ მან სახედი-სწორ შემთხვევითობა უარყო და მას ადამიანის სულიერი და ზნეობრივი სრულყოფისაკენ მისწრაფება დაუპირისპირა.

როგორც ჩანს ავტორსაც, რეჟისორსაც, მსახიობებსაც და მაყურებელსაც და სპექტაკლიდან უგმარისების გრძნობა უაჭყვავთ. სინთურბი სპექტაკლისათვის თითქმის სანტრესო მასალა იყო მოტანილი, მაგრამ მისი განსახორციელებლად თეატრმა საკამო ძალა ვერ მოიკრიფა და მიუხედავად ამისა, ხალხური შემოქმედების სცენური გადამუშავების გზაზე, თანამედროვე თეატრისა და დრამატურგიის ძიებებთან დაკავშირებით, მან მაინც გარკვეული გამოცდილება და ანგარიშ-გასაწევი კვალი დატოვა.

თეატრმა ხალხური შემოქმედების შთაგონების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წყაროდ მიჩნევის, მისი ათვისებისა და გადამუშავების ასეთი ოკრო-ბოკრო, ზეპირისა და ქვედანარცხების, წინაუკუთოდ სვლის გზა გამოთარა და მაინც ამ მიმართულებით, ასალი ცდისა და ძიების მისწრაფება არ დაშრეტლია. ხალხური და მითშემოქმედებით გადმოცემული ამირანის და შრუბაბუის, შვექალისა და პირმოთარისას, კვირისა და აფხასის, არაფასა და ოხოპინტრეს, მელაინ-ტელეფიას და ზადენის, ბრეკანისა და მექალთანეს, ნაცარქექიას და მუსუსელას, მუხაგლეკიას და ქოსატყეილას, ბელტეგლაპაპასა და

ცრუბენტელას, მინდიასა და თავფარანგელის, მზეთუნასავე-ბისა და ცეროდენათა მთელი მოდგმის, ვერმიცანის, „ამისთანის და ამის უარესის“ სახეები წარსულშიაც, სადღისოდაც და სამეომისოდაც მუდამ იყვნენ, არანა და იქნებოან კეთილად მასაზრდოვებელი მხატვრული შემოქმედებისა. ხალხური საწყისები ის ერთ-ერთი შთამაგონებელი ძალაა, რაც თანამედროვე მხატვრულ კულტურას შორეულ წარსულთან სიამაყის გრძნობით და მშობლიურის განცდით აკავშირებს, აწმყოსა და მერმისშიაც მუდამ იქნება ინტერნაციონალურის, მსოფლიო არტისტული კულტურის გამამდიდრებელი, ერთ-ერთი თავისებურებების მკაფიო გამოკვეთით და სრულყოფით.

მერაბ ელიოზიშვილი პიესა „ბერიკონის“ დასაწერად თეატრმა შეაგულანა, — მის წინადადებით მიმართეს იოსებ მჭედლიშვილის პიესა, თეატრისაგან ნაცად და განუხორციელებლად დარჩენილი — „იოანა-ბუიანა“ გადაკეთებინა, ან, როგორც ესლა იტყვიან, მისი დაპატერება ეცისრა. დრამატურგმა არჩია საკუთარი წარმოსახვა და ოსტატობა გაეკარჯა და ხალხურ საწყისებზე აკებული სადღესასწაულო სახილველისათვის პიესა დაეწერა.

მერაბ ელიოზიშვილის პიესა „ბერიკონი“, მარკანიშვილის თეატრის სცენაზე, ლეან მირცხულავას დადგმით, თავისი გადამდები ემოციურობით არა მარტო სასიამოდ მასახილსებელია, არამედ ჩამაფიქრებელი და მრავალმომქმელებელიცაა. ასე რომ, თეატრიდან ცარიელ-ტარიელი არ გამოიხიზარ, დრო ამაოდ არ დაგვიტარავს, მესსიერებში შთამბეჭდავად შემოიჩინილი წარმოსახვანი (ბერიკათა საშუალებას, ჩურბან-ბურხანისა და ჯამბარურსკის მიტყვება ბერიკაზე, ქაი-ვაგიანი, ოქროს ქისით, სურით ცემა, ცოლქორბანა, შვილობანა, ყვერბა და სხვ.) წარსულიდანაც არის მოზიდული, მომადრისკენაც მიმართული და დღისა დღევანდლობითაც განათუბული და გააზრებული.

სანტრესოსა და სავლისხმია, რომ ამ წარმოდგენაში დრამატურგი რეჟისორის იწილო-ბიწილო მოდურ გამოშვანებაობას კი არ ეწიებება, არამედ სცენა სივცა და ისევ მწერლის ტრიბუნად რჩება. მისი სიტყვა ხმამაღლად ისმის, მხატვრული თქმის ქმედითი ძალა გულში ჩამწვდობად განიცდება, ქართული სიამაყის გრძნობით და უზალო ოსტატობით წარმოითქმება.

მაყურებელი სცენიდან ისმენს პოეტურად ამაღლებულს, ხალხურობის მაღლით აღსავსეს. უკეთურობის განმნასარფლს, ირონიულად მოჭირა სიტყვას, ზოგს რომ შიგ გულში მოხვდება, ზოგს რომ ზნეობრივად შეძრავს და დამოძვრავს, ზოგსაც სიძარბოთის თქმით გაახარებს და განამტკიცებს.

ერთი სიტყვით, ეს წარმოდგენა ბერიკობაც არის, არტისტული სილაღაც, პირმობული უნანასიღაც. ლუნა-თამაშიც და სხვა კიდევ ბევრი რამ, რითაც დღესასწაულებრივი სახილობა გვასარებს.

მკითხეს, რატომ „ბერიკონი“ და არა „ბერიკაობა“-ო? მწერლისა და სიტყვის მოქმედი და თეატრი რისი სახილველია, თუ ცნებას იმასზე მეტს ვერ ათქმევინებს, რაც ვერუნულად აქვს ჩათქმული?! და აი, დრამატურგმა მერაბ ელიოზიშვილმა, რეჟისორმა ლეან ბირცხულავამ, მხატვრებმა



ოლეგ ქოჩიაძემ, ალექსანდრე სლოფინსკიმ, იური ჩიკაიძემ, კომპოზიტორმა ვაჟა ანასაშვილმა, მხახიობებმა სოფიო ჭიაურელმა (იანო), გივი ბერიკაშვილმა (ლალე, თავბერიკა), თენგიზ მასისურაძემ (ჯავარა, ვაჟა ვეტიბერიკა), კოტე თოლორაიამ (ხოსრო, ვირბერიკა), გუგა კვიციანიშვილმა (წიქა, თხაბერიკა), ლეო ანათემ (მაქაქია, კვასბერი), გივი გელოვანმა (ჯამათა, მღვდელბერიკა), ვაჟა ფირცხალაიშვილმა (დოლაბა, ტახბერიკა), ლადო ცხვარიანიშვილმა (შეკა, რუსობერიკა) — ტანისამ ამ სახიონმა ერთობლივი შემოქმედების ქურაში გამოადინა, გამოაწროთ, გამოკვრა, ახლად ასახისმეტყველა ის ძველთა-ძველი ძეგლი, რაც ხალხმა დღემდე შეინახა და შეგვიწარჩუნა. „ბერიკონი“ ალბთ ისევეა ნაწარმოები „ბერიკა“-საგან, როგორც „დროშონი“ დროშასაგან, „მაყრონი“ მაყრისაგან.

მერაბ ელიოზიშვილის „ბერიკონი“ ხელნაწერში ჟანრგაურკვევლად ორმოქმედებთან პიესად იყო თეატრისათვის შეთავაზებული. ეს თანხრულად მომზადებული „ვერნიკონი“, ეტყობა, თეატრს არ აწყობდა. რეჟისორი ეცადა ჟანრის გარკვევა-დაზუსტების, პროგრამასა და აფიშაში „ბერიკონი“ ორმოქმედებთან სახიობად გამოცხადდა. ძლივს, კომედიასა, ტრაგედიასა და დრამას გვერდით ქართული „სახიობა“ ამოუდგა. ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. ეს იმის აღიარებაა, რომ ქართულ დრამატულ შემოქმედების საკუთარი ძირები და თვისთავადი საწყისები გაჩნდა და ქართული სახიობის უფლებეულოყოფა, დიასაც რომ აღარ გვეჩვენებს, თანაც თეატრი ჟანრის კატეგორიულობას მოითხოვს და იცავს, ძველი ქართული სახილველისათვის დამახასიათებელ ჟანრს სახიობას იყენებს ხალხურ საწყისებზე აგებული წარმოდგენისათვის. სხვა საკითხია, შეიძლება სადავო, რამდენად შედეგანია ასეთი მცნობა-შეჯარება. რამდენად სწორად არის ამოკითხული და გაგებული ძველი ქართული ჟანრის ნიშან-თვისებანი.

„ბერიკონის“, როგორც პიესის და როგორც წარმოდგენის ღირსება ის არის, რომ დღეს დღევანდლობით არის განათებული და გაზრებული. ამიტომაც ბერიკაონის იმიტაცია-სტილიზაციასთან კი არა ვუკვებს საქმე, არამედ თანამედროვე დრამატურგიული აზროვნებით და მხატვრული სახიერებით წარმოსახულ ცხოვრებასთან.

ნეკატორი მოვლენების აღმოსაფხვრელად შეუნებლებელი ზრძოლის ვითარებაში მამხილებელი ძალით ეღრეს მერაბ ელიოზიშვილის ორსახიობაში ოქროსმომხვეჭილობის თემა, ქართული ექვთიმოება, ოქროთი მოსყიდვა, ოქროს ქისით ცეკვა ის უკანასკნელი, მხატვრული ასახვის, გაუცხოების თვალს-ზრისით, ტრადიციულიც არის და სახიერად თანადროულიც. აგრ კიდევ გიორგი ერისთავის კომედიაში „დავა“ ვხვდებით ამირინდოს მიერ ფულით ცემის დახასიათებას: „ერთხელ მაროლო, ქრთამი მითხოვა საქმეზე ერთმა სულიერმა, სახელს ვერ ვიტყვი, ჩავყარე გრძელ პარკში ათი თუმანი, შემეშყვდიე თოხაში, იმდენი ვცემე, ვცემე, რომ წაიტვა გულ-შემოყრილი, ბოლოს ადგა კენხით, ის ფული ჰქობიდა ჩაუწყვე. მე მეგონა მიირივლებ მეთქი, მამათყვენი არ წამიწყედეს, დიდი დაძალობა მითხრა. საქმეც გამიკეთა და მეგობარი

შეიქმნა, ნეტავი არ გამოეცვალათ“ (გ. ერისთავი, თხზ., თბილისი, 1936, გვ. 129).

ოქროს ქისით ცემა, — ქრთამის ამ ვაი-შეგვლებლით აღება, — საინტერესოდ არის „ბერიკონში“ ასახული. ჯამბა-კურკია თავბერიკა ლალეს ოქროს ქრთამად შეადგენს, რომ მიხვან მოსყიდულ იყოს, ქრთამი რომ ძალით მიადებინოს, ოქროს ქისით სცემს. ეს მხატვრულად სახიერია, რამდენადაც ქრთამის აღებით ილახება სინდისი, — ქრთამი შექმნა კი არა, სინდისის დაკარგვა, ქრთამის ამღები კაცია ნაცემი და გაცალხულია, პატყაყრილია და ასეთი სახიობა მეჭრთამობაზე წარსულსაც გვისურათხატებს და აწყობიაც ვეხმარება ზნეობრივი ჯაგების ამოძირკვამი.

„ბერიკონი“ ამით არ კმაყოფილდება. ოქროს ქისით ცემას სურთ ცემა მოკვება — ცემა-ტყება ხომ ხალხური ნიღბების სახილველისათვის ამირემებული ოინია! ლალეს (გ. ბერიკაშვილს) მისი თავბერიკობის ინსტიგნად (წარჩინების ნიშნად) სურა ამს სატყველზე დაეიდებუი. და აი, გამარ-ზებულმა ანომ (ს. ჭიაურელმა) ლალეს, სინდისს რად უდა-ლატა და ქრთამი რად აიღო, სურა ჩამოგლიჯა და თავში დაუშინა. რაკი თავბერიკამ ბერიკაობის ღირსება ქრთამის აღებით შეღახა, ის ბერიკა ვეღარ იქნება. სურთ ცემის სახიერება იმის მთქმელია და მანიშნებელი, რომ ქრთამის ამ-ღები არა მარტო კაცურ კაცობას კარგავს, არამედ კარგავს უფლებას თავის პროფესიაზე, უფლებას საზოგადოებრივ საქმიანობასა და შემოქმედებაზე. — ნიჭიერად და სახიერად სტენიდან ასეთი მჭადგებლობა უთუოდ დიდად მოსაწონი და დასაფასებელია.

მეტად საინტერესოდ, უეცარი პირობითობით, ხასხასა ტემერატონტონტონ არის შესრულებული გონებაზმავილობით აღ-სასვე შეილობანას სცენა, რომელიც სახალისოდ საჭირობო-ტო საკითხის მწყავედ დაყენების ნიშნულია და ამდენად იმის მარწყველებიც, თუ როგორ ნიშნაუდუნელად ეხმანება მწერ-ალი, რეჟისორი და მსახიობი ხალხის საზურუნად და საფიქ-რალს.

ამ სცენამ გამახსენა ქართული პროფესიული თეატრის აღდგენის 125 წლისთავი, შესხეთის ახლად აგებულ სასახლე — თეატრში რომ ვდღვასაწაულობდიო, ახალციხის თეატრის ხელმძღვანელმა ნანა დემეტრაშვილმა თავისი დასის მაცურებელს წარმოუდგინა მრავალშეიკონანობით — აკანაშენი მწერარე და ადამიანობა ბავშვულიც კი. ცრფლობრული ხალხი ფეხზე დაეფიქნა, დაუსრულებელი ტანისცემით შეეცე-ბა ამ ბედნიერად მოფიქრებულ დედა-მსახიობების გამოსე-ლას. აი, როგორ შეიძლება შემდამ მაცურების გულისმარ-ღვი ნიშნაუდუნელი უეცარი მხატვრული მიგნებით. ჩემი მისალმებაში, ამ შემეცდარვარ, როდესაც აღენიშნე, რომ ყოველივე იმისაგან, რაც იმ დღეს სცენაზე ვნახეთ, ეს ერთ-ერთი ყველაზე გულთამილია და მთანამგვადვი იყო მეთქი იქვე დიდი აკაკის სიტყვაც გავისხენე, რაჟამი მომბანდებულ აკაკის სახალხო მანწავლებელი მალაქია ჯაფარიძე (მხატვ-ურა ჯაფარიძის მამა) მიხალამა და მოახსენა: თქვენ, ერის მე-სვეურ მოღვაწეებმა, რამემ იღონეთ, რომ რატყველებს საზრ-დის მომწონელად გადასაკარგავში დღეუკავი არ უნდებოდეთ ამაზე აკაკი შეეკითხა:

- თქვენ რამდენი შვილი გყავთო?
- ექვსიო. — იყო პასუხი.
- პო და აი სწორედ, ექვსის ნაკლებზე არ ჩამოხვიდეთ და გემწვევლებათო.

როდესაც „ბერიკონის“ წარმოდგენაში სოფიკო ჭიაურელის და გივი ბერიკაშვილის ლალე კარასავით დატრიალდებიან და მრავალწელიანობით, ძვირის გაბმული დღესასწაულით მაცურებელთა დარბაზს ასარებენ — ეს სცენა თავისი უეცარი მოულოდნელობით, შთამაგონებელი ძალით, მაიმედებელი სიხალისით ავტორის, რეჟისორისა და მსახიობების, მთელი თეატრის ნამდვილი ჭამარჯვება, — დღესასწაულებრივი წარმოდგენის შექმნიასკენ წინწადმული ნაბიჯია.

მერაბ ელიოზიშვილსა და ლევან მიტცხულავას უნდა ვუმადლოდეთ, რომ მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე მოქალაქეობრიობის მაღალი შეგნებით ქღერს თავბერიკას ტრავიკომიკური ბედუკუმართობა, ეროვნული, ხალხური და ზოგადაც კობრიული აქ ურთიერთზეა გადაწნული. უმაღური ბერიკებე დალატობენ თავის ხელოვან-ხელმძღვანელს და, მტრების გულისმოსაგებად, მას ჩაქოლავენ და მოაკვდინებენ. მიუხედავად მოქმედების ასეთი წარმართვისა, წარმოდგენა მაინც მხნე განწყობილებით, მომავლის რწმენითა და სასიკეთოს იმედით არის განათებული, რადგანაც ახალი თავბერიკა დაიბადა; თავბერიკა არც მომკვდარა, მისი სიკვდილი წარმოდგინეს, როგორც მინიშნება, რომ გავუფრთხილდეთ ნიჭსა და კაცურ-კაცობას; მარად უკვდავი სიხიობა ისევ ცოცხლობს, ისევ სასიკეთოს სთებს და ისევ ზნეობრივად მოძღვრავს ხალხს და ჯამათს.

ისიც ნათლად თქმულია ამ სპექტაკლში, რომ ხელოვნება თავდადებით, თავგანწირვით სამსახურს მოითხოვს, მომხვეჭელობა, მესაკუთრული ფინანსობა, და ყოვლოწინობა „უქე-


მოღ ვინ იძღერებთო“, წრფელ შემოქმედებით შემართებასთან შეუთავსებელია. ხელოვნება სპექტაკ და უანგარო შრომას გულისხმობს და ამის მქადაგებლობა ჩვენი სცენიდან სრულიად შესაბამისია საბჭოთა თეატრის მოწოდებისა, რათა იგი ზრდიდეს და აყალიბედეს ახალი სამყაროს მშენებელ პიროვნებას.

„ბერიკონის“ წარმოდგენაში ოლეკ ქორაიკის, ალექსანდრე სლოვინსკის და იური ჩიკვაიძის სასახიობო მხატვრობაში, პირობითობის ხალხურთან შერწყმის გზით, მეტაფორული სახიერებით ცოცხლდება დეკორაციაც და ტანსაცმელთავსაბურავიც. სცენაზე გამოტანილი ყოველი საგანი მხატვრულად სახიერია და, თანაც, სიმბოლური, რაც თავისი მრავალნიშნაობით საკვირველებათაა უცნაურებით აზიდერებს სასცენო წარმოსახვას. ზვინები, თივისა თუ ძნების ზვინიც არის, თანაც კარავიც — სამღერელის სათავსოც (კულისები?) და იმის მანიშნებელიც, რასაც ტახტი (ჩაგვრის ეს ნიშანტახტია) ზედ დასწოლია; ანდა ურემი, მეტაფორული ტრანსფორმაციით, ხან დილეგია და ხან სასახლე, ხან კუბოა და ხან ავეანი, ხან სახილარი და ხან ბერიკათ სამღერელი.

ვაჟა აზარაშვილის მუსიკა ამ სპექტაკლში ცალკე თემაც არის და თანამოგანებაც, ხალხურიც არის და უაღრესად თანადროულ-არტისტულიც. არაფერი ზედმეტე, არაფერი ნაკლები, ყოველივე თავის დროზე და თავის ადგილზეა. წარმოდგენის საერთო განწყობილების გამძლიერებელი მუსიკა პოეტურ სიტყვასა, ფერწერასა და პლასტიკურ გამომსახველობასთან მთლიანობაში აღიქმება და მნიშვნელოვანდ შეუღლის რეჟისორსა და მსახიობს ცალკეული სცენების წინ წამოწევასა და ხაზგასმაში, ძირითადი იდეის გამოვლენასა და ერთი მთლიანი რიტმის შექმნასა და განმტკიცებაში.

ქორეოგრაფ გივი ოდიკაძის წვლილი წარმოდგენის

სცენა სპექტაკლიდან



სრულყოფაში აღსანიშნავი და დასაფასებელია, რამდენადაც პლასტიკურ გამომსახველობაში ხალხურობის შერწყმა თანამედროვე პროფესიულ ოსტატობასთან უძნელეს ამოცანას წარმოადგენს, რაც შეულობანას სცენაში ჩინებულად არის გადაწყვეტილი. ქართული საბჭოთა სამსახიობო სკოლის დამა-სახიობებელია სადა და მეტყველი, წრფელი და შინაარსიანი პლასტიკი, მხატვრულად გამომსახველი, გასულიერებული, შინაგანად განცდილი მოძრაობა და ამ ნიშან-თვისებას უნდა გავუფრთხილდეთ, სწორედ ამიტომაც არიან მოწოდებულნი დრამატულ თეატრში ქორეოგრაფები რეჟისორის თანადამდგამლად.

რეჟისორი ლევან მირცხულავა უკვე დიდი ხანია უჭრადა ღებებს იქცემს ქართული მწერლობისა და დრამატურგიისადმი არამეტყულებრივი გულწინმიყრებითა და მხარდაჭერით. ეს, ასეა განსაკუთრებით ძვირფასი და დასაფასებელია, რამდენადაც მრავლობენ რეჟისორები, რომლებსაც სასცენო ხელოვნების ერთპიროვნულ, შეუსრულებელ და განუკითხავ ოსტატებად მოაქვთ თავი იმ ზომამდე, რომ მეოცე საუკუნეს რეჟისორის საუკუნედ აცხადებენ. რეჟისორ ლევან მირცხულავასა და მსახიობთა დასის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იშვიათია ასეთი ერთობლივი, კოლექტიური შემოქმედების ხალხური სულით გამსჭვალავი, თამაშას ნამდვილად სასციმო-დღესასწაულეზბრვი განწყობით წარმართვა, ოპტიმისტური ძვინადობით ქართული ხალხური თეატრის ეროვნული ტრადიციების წვდომისაკენ ჯანსაღი მსწრაფება, როგორც ეს „ბერიკონის“ დადგმით გამოიხატა.

ყველა მსახიობი თავის ადგილზეა და თუ სრულიად არ არის მიღწეული, ყოველშემთხვევაში იგრძნობს კოლექტიურ ერთობლობაში პოლიფონიისადმი მიზანსწრაფა, რაც სრულიად არ აფერმკრთალებს ცალკეულ მსახიობთა ბრწყინვალეებას. გივი ბერიკონის თითქმის ბუნებით აქვს მიცემული ის, რასაც შეიძლება ხალასი ხალხურობა ეუწოდოთ და რისი მიღწევისთვისაც ბევრს მრავალი ღამე უშედეგოდაც უთენებია. გივი ბერიკონის განსახიობებით ლაღე სრული სავკარტოთ არის წარმოდგენილი, არაფერი არ არის შეღამაზე-ბული და მით უფრო სტილიზებული. თავით ფესვამდე ბუნებაა, თავისთავადია, ფსევდოდრამაშეებით მიწერილია, რაც არის — ის არის, არც მეტია და არც ნაკლები, და ამ ზომიერება-წონასწორობაში არის მისი ლაღეს წარმატებაც. იგრძნობს ნაცადის სიღარბისლევ, მამა-პაპისეული სიბრძენე და ცხოვრების დარჯაკში გამოტარებით შეთვისებული ვიქტივობაც. დღესდღეობით მეორე ასეთი მსახიობი, რომლის შემოქმედება ასე ნამდვილად იყოს აღბეჭდილი ხალხურობის გამომსახველი მაღლით, მე არ მეგულება.

სოფიკო ჭიაურელმა, რომელმაც თენგივ აბულაძის ფილმში ფუფალას სახით გაგვაცოცა და გაგვხარა, წარმოდგენაში

„ბერიკონი“, ხალხურის თანამედროვე არტისტიზმთან შერწყმის თვალსაზრისით, მეტად საინტერესო და უჩვეულო სინთეზი განხორციელდა. ვინც ერთხელ ნახა, მას არასოდეს დასაწყევდება ქალ-ვაჟიანის სცენაში იანოს წამონთება და მსახიობის ზეატაცება შელოხნობის თამაშაში, — აქ ნამდვილად საკვირვებების და საოცრების ხელოვნებას უჩიარება მასურებელი, სოფიკო ჭიაურელის იანოს შემტევი ნებისყოფა, დაუდგრომელი ვინიანობა. სიცოცხლის დამამკვიდრებელი ვენებათაღლვა თავბრუდამხვევი ქმედითობით და ვლვარე რიტმით არის წარმოსახული.

სცენის ხუმარა — მახალისებელ ბერიკონად გარდაისახვნ და ხალხური სახიობის გაცოცხლება იდგეს თავს თენგივ მანუსრატემ (ჯავახა, კურობერია, თავადი ჯამბაყური), გოგი გელოვანმა (ჯამათა, მღვდელბერიკა), ლო ანთაქემ (მაქაქოსა, კვახაბერი, ბერიკონის დალაქი), კოტე თოლორაიამ (ხოსრო, ვირბერიკა, აზნო), ვაჟა კვიციანიშვილმა (წაპე, თხაბერიკა), ლადო ცხვარიაშვილმა (ბექა, რუსთობერი), ვაჟა ფირცხალაიშვილმა (დილობა, ტახბერიკა). თითოეულ ამთავანს ორი და სამსახიერება მართებს და, ვინაიდან დრამატურგიულადც და სცენაზედაც ერთი მსახიობის ერთსახიობაში ორჯერ და სამჯერ სხვადასხვა გარდასახვა საკმარის არ არის მიტკვირებულნი, ყოველთვის როდი ხერხდება ბუნდოვანებისა და გაბრუნვებისაკენ თავის დაღწევა.

წარმოდგენა, თუ მეტი არა, ორფენოვანია. ერთი ფენაა ბერიკონი გარემო-ცხოვრებისეული სინამდვილის ასახვა, დროისა და ადგილის ფელსაჩინოებით, მეორეა — თვით ბერიკონის სახიობა, აი, ამ ორი ფენის ურთიერთისაკენ გამიჯვნა მეტი სიხებად და იყოს გამოკვეთილი და განხორციელებული.

და კიდევ ერთი უნიშვნაც. ბერიკონაა დღეობაა, დღესასწაულია, თამაშაა და სასურველია, რომ ხალხური შემოქმედების მაღალი კულტურა დღესასწაულეზობრივად შედრდეს, ხშირად, როგორც ჩაცმა-დახურვაში, ასევე ყოფა-ცხოვრებითი გარემოს პირობითობით დასახიობებაში. სცენა ამ წარმოდგენაში იმის ცხადმყოფელი უნდა იყოს, რომ რასაც შემოქმედი გლესკაცი ხელს შეახებს, ყოველი ნივით და საგანი, თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა, ხალხურ შინისა და ლაზის უნდა გამოსატყავდეს ხალხური მშენიერების გაცეხით. ამ წარმოდგენას, სამწუხაროდ ეს აკლია, რამდენადაც ზომიზე მეტად არის თავდაჭერილი, აქოდა შეღამაზებულად არ გამოეხდებოდა.

ყოველივე ამის მიუხედავად, „ბერიკონი“ კიდევ ერთი ფაქტია ხალხის მიერ დღემდე მოტანილი მეკვიდრეობის ათვისებისა და მით თანამედროვე სახიობის გამომსახველ საშუალებათა გამდრებინა. და სწორედ ამით არის იგი ღირსეულად დასაფასებელი.

XI-XIII საუკუნეების ქართული მინიატურული და ლაზბური ფერწერა

საწყისები და განვითარების გზები

გაიანე ალიბეგაშვილი

(ნოზილი), რომ ქრისტიანული ქვეყნების შუა-საუკუნეთა ხელოვნების ერთიან ხასიათს ქრისტიანული რელიგია განსაზღვრავს. ამასთან დაკავშირებული მსოფლმხედველობა სახვით ხელოვნებაში გამოისახა ისეთ კონკრეტულ ნიშნებში, როგორცაა, პირველ რიგში, გამოსახულებათა დაყოფა სინამდვილისაგან. მოცულობისა და სივრცის გადმოცემამ ადგილი დაუთმო არამატერიალურ სიბრტყობრიობას, აბსტრაქტულ ფონს. მართალია, ეს ახალი შესაძლებლობანი არ იყო მხოლოდ ქრისტიანული ხელოვნების „აღმოჩენა“. სიბრტყობრიობა, გრაფიკულობა განსაზღვრავს აგრეთვე ბარბაროსული და აღმოსავლეთის (ამ სიტყვის ფართო გაგებით) ხელოვნების მხატვრული ხერხების სპეციფიკას. მაგრამ აქვე თვალში გვხვდება ის განსხვავება, რომელსაც განაპირობებს არა მარტო შინაარსი, არამედ მხატვრული ხერხების გამოყენების თავისებური მანე-

რაჟ. ეს განსხვავება თავს იჩენს ცალკეული ქრისტიანული ქვეყნების ხელოვნებაშიც და ვლინდება თვით ნახატის ხასიათში, ნახატისა და სიბრტყის ურთიერთდამოკიდებულების ვარიაციებში, საერთო რიტმში, რომელსაც ემორჩილება კომპოზიციის ელემენტების განლაგება. ამიტომ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რომანული და ბიზანტიური ხელოვნების ნიმუშები, შინაარსისა და სიბრტყობრივ-აბსტრაქტული მხატვრული კონცეფციის საერთო ხასიათის მიუხედავად. რომანულ ხელოვნებაში ამ სტილის ტენდენციები ვლინდება ექსპრესიულ, საზოგადო-ორნამენტულ ფორმებში, მაშინ როდესაც ბიზანტიურ ხელოვნებაში იგივე ტენდენცია ისახება რეალურ ფორმებთან უფრო მჭიდრო კავშირით, რომელიც მოწოდებს ახალი ხედვით ტრანსფორმირებული ანტიკური ტრადიციების თავისებურ შენარჩუნებას.

ამგვარად, შინაარსისა და მხატვრული მიდგომის მსგავსების ფარგლებში ისახება აზროვნების თავისებური ტენდენციები და მხატვრული ტრადიციები, რომლებიც სხვადასხვაგვარად ვითარდებიან გარკვეულ ისტორიულ პირობებში.

ეს ტრადიციები განსხვავებული სიძლიერით ვლინდება ერთი და იმავე ქვეყნის ხელოვნების სხვადასხვა დარგში.

საქართველოში დაცული ქართულ ხელნაწერთა მინიატურები და ფერწერული ხატები ის მდიდარი მასალაა, რომელიც მონუმენტური ფერწერის ძეგლებთან ერთად, შესაძლებლობას იძლევა უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ ქართული შუასაუკუნეების ფერწერის საწყისები და მისი შემდგომი განვითარების გზები, საქართველოს ქრისტიანულ სამყაროსა (ბიზანტია, ახლო აღმოსავლეთი) და ისლამურ ქვეყნებს შორის მდებარეობის პირობებში.

ადგილობრივი მხატვრული ტრადიციების გამოვლენის მხრივ, ტრადიციებისა, რომლებიც ვითარდებოდა სხვადასხვა გავლენათა მიუხედავად, საინტერესოა ქართული კულტურის ისტორიის ბრწყინვალე პერიოდის — XI-XIII საუკუნეების რაღაცენიმე დამახასიათებელი მინიატურა და ხატი.

ცნობილია, რომ ქართული ხელნაწერი წიგნის დეკორმა ადგილობრივი მხატვრული ტრადიციები ვერ ასახა ისეთი სრულყოფილებით, როგორც არქიტექტურამ, ქანდაკებამ და მონუმენტურმა ფერწერამ; მისი ფორმირება (განსაკუთრებით სიუვეტურ კომპოზიციებში) მიმდინარეობდა სიუვეტურ შემოსულ ნიმუშებთან უფრო მჭიდრო დამოკიდებულებაში. შემოქმედებითი თავისებურება მეტი სიძლიერით გამოიხატუნდა აქ წმინდა დეკორაციული ელემენტების



მოთვარანგელოზის ხატი. ზემო სენეთა, წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტას ეკლესია, ლავრა.

წმ. გიორგი. მონატიური ხატი XI-XII სს.



განვითარებაში — ინიციალებში, თავსართებში და ა. შ. რთული ორნამენტული სლართი, მცენარეებისა და ცხოველთა დეტალების ურვეულო მონტაჟი, ლოკალურ ფერთა ლაქების ექსპრესიული დაპირისპირება, მეტყველი ხაზის, მის დეკორატიულ შესაძლებლობათა ზეზამსას ემსახურება.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ქართულ მინიატურულ ფერწერას აქვს წმინდა ეროვნული ნიშნები.

მინიატურებით უხვად შემკულ ქართულ ხელნაწერთა შორის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს ზაქარია ვალაშკერტელის სვინაქსარი (A-648). ერთ-ერთი მინაწერის თანახმად, ეს ქართული ხელნაწერი შესრულებული იყო კონსტანტინოპოლში. სტილიტური ნიშნები მოწმობს, რომ ხელნაწერის მინიატურების უმრავლესობა ბერძენ ოსტატთა ხელს მიეკუთვნება.

ფორმათა „ცხოველხატული“ დამუშავება, „რეფლექსების“ აღნიშვნა, „წონადი“ პროპორციებისა და დახვეწილი ფორმის ფიგურების თანაარსებობა, ასკეტური სახეების გვერდით საესე ოვალის, მრგვალი სახეების გამოსახვა, ამ სახეების გამომეტყველება, რომელშიც ჩანს მთურიდებელი ექსპრესიულობის დაპირისპირება მშვიდ, კეთილშობილურ გამომსახველობასთან — ეს ის ნიშნებია, რომლებიც X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის პირველი ნახევრის ბერძნული მინიატურისათვისაა დამახასიათებელი. (ბასილი II მენოლოგიუმი, ვატიკანი, 1613; ფსალმუნი, მარჩიანა, გრ. 17; სინას წმ. კვატერინეს მონასტრის სახარება, ლავრენციანა, plut. V, cod. 9; ვატიკანის ხელნაწერი, გრ. 755).

ზაქარია ვალაშკერტელის ხელნაწერში შემორჩენილი ძველი, ადრექრისტიანული ხელოვნებისათვის დამახასიათებელი კომპოზიციური ეერსიები წარმოდგენილია დოგმატიკური მომწიფებული სტილის მიერ გადამუშავებული სახით, რომელიც XI საუკუნისათვის ჩამოყალიბდა.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ხელნაწერის შემკულობა უდავოდ ბერძენ ოსტატებს მიეკუთვნება, მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული მინიატურული ფერწერის ისტორისათვის. სვინაქსარის მინიატურები ცხადყოფს იმ გემონებას და, რაც მოთვარია, იმ შოთხოვნილებას, რომელიც ჩამოყალიბდა იმ დროისათვის ქართული ფერწერის ამ დარგში.

ქართული წიგნის ისტორიაში ეს ერთადერთი მაგალითი როდია, სპეციალური შეკვეთით მინიატურების შესრულებისა მიზანტის დედაქალაქში. აღსანიშნავია, რომ იმ შემთხვევაშიც, როცა თვით ქართველი ოსტატები უცხოეთში ასრულებდნენ მინიატურებს (განსაკუთრებით სინას მთისა, ათონისა და უცხოეთში დაარსებულ სხვა

ქართულ მონასტრებში), ისინი ამჟღავნებდნენ ბერძნული მინიატურული ფერწერის ბრწყინვალე ტექნიკის ფლობას. ამის მაგალითია მხარებელთა გამოსახულება ალავერდის ოთხთავში (1054 წ. A—484).

ერთდროულად ქართული ხელნაწერების მინიატურებში ყალიბდება ბერძნული მინიატურების „ცხოველხატული“ ტრადიციებისაგან განსხვავებული ნიშნები: მესტიის ოთხთავის (1030 წ.) მხარებელთა გამოსახულებაში, მიუხედავად რთული, მრავალფენიანი წერის მანერისა დემონსტრირებულია ის რთული პროცესი, რომლის შედეგადაც ფორმათა „ძერწვის“ ამოცანა ფერადოვანი ლაქების საშუალებით განდევნილია ფერათა ლაქების დაპირისპირებით წარმოქმნილი ხაზის მნიშვნელობით. იმავე ალავერდისა და მესტიის ოთხთავები შეიცავს ჯერის გამოსახულებას, რომლის ორნამენტულ შემკულობაში „სუფთა“ სახით წარმოგვიდგება აღნიშნული ხაზოვანი ტენდენცია.

განსაკუთრებით დამახასიათებელ მაგალითს ამ თვალსაზრისით წარმოადგენს შატაკის მინიატურები (XII საუკუნის პირველი ნახევარი, A—634 და სხვანეთში ნაპოვნი ხელნაწერის ფრაგმენტი (XII საუკუნის დასაწყისი).

ორივე ხელნაწერის მინიატურები შესრულების მანერით, აქ გამოსახული წმინდანების მეტყვევლი, დახვეწილი სახეებით თამამად უტლდებიან კონსტანტინოპოლის ფერწერის საუკეთესო ნიმუშებს. ამ მინიატურებში ნათლად ჩანს თუ როგორ გადაიზარდა უცხო ისტატიკის ხელოვნების ათვისება თვითმყოფადი შემოქმედების პროცესში. „ჩრდილებისა“ და გალიადღერების სისტემა, რომელიც განსაზღვრავს ბერძნული მინიატურის „ცხოველხატულობას“, შატაკის მინიატურებში იმდენად ფაქიზა და სვანეთის ხელნაწერის ფრაგმენტის მინიატურებში კი ისეთი თხელი და გამჭვირვალეა ფერადოვანი ფენა, რომ ორივე შემთხვევაში ხაზგასხულია თვით ხაზის ღირებულება.

შატაკის მინიატურების ნახატი დახვეწილი კალიგრაფიულობა მით უფრო შთამბეჭდავია, რომ მას უპირისპირდება კომპოზიციის გარკვეული მონუმენტურობა, განპირობებული მისი ტექტონიკურობით, არქიტექტურული ფორმების ლაკონიურობით, წმინდანთა ჟესტების თავშეკავებული ხასიათით. (ამგვარად, ეს წმინდა მინიატურული ფერწერის სანიმუშო მაგალითი ამჟღავნებს მონუმენტური ფერწერის გავლენას).

XI—XII საუკუნეების ბერძნულ მინიატურაშიც შეიმჩნევა ხაზოვანი ტენდენციის გაძლიერება, მაგრამ დედაქალაქის ძეგლებში, როგორც სამართლიანად აღნიშნავენ, სახით საბოლოოდ არასოდეს არ იყო განდევნილი ფერადოვანი „ძერწვის“ მანერა.

აღსანიშნავია, რომ შატაკისა და სვანური ფრაგმენტის მინიატურების ხაზოვანი მეტყველების

უახლოესი პარალელი ისევ ქართულ „სხვადასხვა დროისა და წარმოშობის ძეგლებში“ მხოლოდვე გამჭვირვალე ფერადოვანი ფენა უფრო „ნაჭრულ“ ხდის ხაზთა თანამს. რუკის I ოთხთავის მინიატურებში (940 წ., H—1666). მსუბუქი, ოდნავ შესამჩნევი ჩრდილები, რომელიც გამოსახულებათა კონტურს გასდევს, ხაზს უსვამს მოძრავი ნახატის მხატვრულ ეფექტს. მსგავს მიდგომას ვხვდებით საერთო ხელნაწერის მინიატურებში — ასტრონომიულ ტრაქტატში (1188 წ., A—65), ამ მინიატურათა შთამაგონებელი წყაროა ისლამური ძეგლები.

შატაკის მინიატურები, ხაზოვან მეტყველება-სთან ერთად, ბერძნული ფერწერის კლასიკური ნიმუშების რთულ წრასთან სახელოვნო სხვადახვეწებენ, ხოლო ასტრონომიული ტრაქტატის მინიატურებში ჩანს, თუ აღმოსავლური ხელოვნების მონათესავე მხატვრულმა საწყისებმა რა თავისებური მიზეზის მიხედვით ადგილობრივი ტენდენციების აქტიურ გამოვლენას. ეს ტენდენციები განსაკუთრებული სიძლიერით გამოვლენიან ორნამენტულ ზოლებს, რომლებიც ამ ხელნაწერში ყოველ მინიატურას ახლავს. მოწინავე „S“-ის მსგავსი ხაზის მოძრაობაში შეზრდილია იხვის თავები ან მცენარეული მოტივები. აქ რომ ცალკეული ელემენტები მკაფიოდ არ იყოს გამოყოფილი (რაც ერთგვარად „ანულიებს“ ხაზის საერთო მოძრაობის შთაბეჭდილებას), შეიძლება რომანული ხელოვნების ზუსტ ანალოგიაზე მივფიქროთ.

ასტრონომიული ტრაქტატის ორნამენტული ზოლის ზუსტ გამეორებას ვხვდებით მონუმენტური ფერწერის ქართულ ძეგლში — დავით-გარეჯის უღანბნის ერთ-ერთი გამოქვაბულის თაძის მოხატულობაში (აღსანიშნავია, რომ უღანბნის გამოქვაბულთა მოხატულობაში ვხვდებით მინიატურული ფერწერის მონუმენტურ მხატვრობაზე გავლენის არაერთ მაგალითს. მათ შორისაა ხარების ეკლესიის მოხატულობა საუფლო დღესასწაულთა სცენებით, XIII საუკუნის მთელი ნახევარი). ყურადღებას იპყრობის ეს ფაქტი, რომ ხაზობრიობის ტენდენცია XI—XIII საუკუნეებში (უფრო გვიანაც) მეტი სიძლიერით ქართულ საერო მხატვრობაში გამოვლინდა — შემკვეთთა მრავალრიცხოვან პორტრეტებში, სამეფო გარეულობისა და ფეოდალების გამოსახულებებში. სწორედ ეს სტილისტური თავისებურება, ისეთ მყარ ნიშნებთან ერთად, როგორიცაა პორტრეტებისათვის ადგილის შერჩევა, განათება და სხვა, განასხვავებს საერო პირთა და რელიგიურ პერსონაჟთა გამოსახულებებს.

ქართული მინიატურული ფერწერის ისტორიაში თვითმყოფადი ნიშნების გამოვლენის მხრივ საინტერესო და მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურები (XII საუკუნის ბოლო, H—1667). ეს ძეგლი უნიკალურია მთელი რიგი ნიშნებით. როგორც სხვა

მინიატურებში, მასში ყურადღებას იპყრობს სა-
ზოგადი დინამიკა, რომელიც ამ შემთხვევაში შეე-
სატყვისება ძლიერი ემოციების გამოსახვას, ჟეს-
ტიკა და მოქმედების ხასიათს. მაგრამ მთავარია
ის, რომ ამ კოდექსის მინიატურებში ნათლად
ვლინდება „მოცულობის“ და „სივრცობრივი“
პრობლემები.

სივრცობრიობის შთაბეჭდილების შექმნის თა-
ვისებური „ცდა“ აქ გამოვლენილია პლანების
თანმიმდევრული მონაცვლეობით, ფიგურებისა
და აბრიტუტების უთიერგადაკვეთით („გვიპტ-
ტედ ლტოლვის“ სცენაში სახადერი გამოდის კო-
მების უკან მხრიდან და თავისი სხეულით ჰკვეთს
მეორე ნაგებობას; „შობის“ კომპოზიციაში სილ-
რმიდან წინა პლანისაკენ მიმართული ფარდა ეხ-
ვევა სვეტს). მართალია, გამოსახულებათა „ფუ-
ჟების“ ერთ ხაზზე მოთავსება სპობს სივრცის
შთაბეჭდილებას — პრობლემის გადაწყვეტა რჩე-
ბა სიმბოლური-დეკორაციული სტილის ფარგ-
ლებში. ეს მით უფრო შესამჩნევია, რომ აბსტრა-
ქტული ოქროსფერი ფონი არ კარგავს მხატვრულ
მნიშვნელობას, თუმცა „აშენებელი“ დეკორაციის
ელემენტების განლაგებამი ვლინდება ფიგურე-
ბის გარკვეულ სივრცურ მოთავსების შთაბეჭდი-
ლების შექმნის ტენდენცია.

ფიგურების მორარობა ისევ სიმბოლურ ემო-
ციება, მაგრამ ცალკეული დეტალი, გაღია-
დებურების ლაქების და ელასტიკი ნახატის სა-
შუალებით, ჭედური გამოსახულების მსგავსად,
რელიეფურად გამოიყოფა. თუ გავითვალისწინებთ
საქართველოში XI საუკუნეში ჩამოყალიბებულ
სწრაფებს პლასტიკურობისადმი, ამგვარი „ჭე-
დური“ რელიეფურობა უნდა დავუკავშიროთ ად-
გილობრივ მხატვრულ ტრადიციებს, რამდენადაც
აღნიშნული პლასტიკურობა წარმოიშვა ვა ნი-
მუშების ბაძვის საფუძველზე, არამედ მან შეცვა-
ლა წინა ხანის სიმბოლური, ორნამენტულ-დე-
კორატიული მიდგომა. მოვლენათა ასეთი თანმიმ-
დევრობით მტკიცდება დამოუკიდებელი, შემოქ-
მედებითი მიღწევები ახალი, პლასტიკური პრო-
ბლემის გადაწყვეტისას.

ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურათა კოლორი-
ტი, ხან ფაქიზი, თავშეკავებული, ხანაც ექსპრესი-
ული, შთაბეჭდავი ფერთა ლაქების მოულოდნე-
ლი დაპირისპირებით, მოწმობს მის შექმნაში
მრავალი ოსტატის მონაწილეობას.

ექსპრესიულობით გამოირჩევა კომპოზიციური
გადაწყვეტა: გამოსახულებანი თამამად კვეთენ
ჩარჩოს და გვერდის მიმდარეზე გადადიან.

სცენების დრამატული ექსპრესიულობაც არ
არის შემთხვევითი მომენტი ქართული ხელოვნე-
ბის ისტორიაში. ამის საფუძველი უნდა ვეძიოთ
აღრეული ხანის ძეგლების თავისებურებაში, რო-
დესაც ანტიკური მემკვიდრეობის გადამუშავების
პროცესში ნახატი გამოირჩევადა მოცულობის
გამომსახველობის ფუნქციას და წმინდა ორნამენ-
ტულ-დეკორაციულ ხასიათს ღებულობდა. ქარ-

თულ ხელოვნებაში აღმოსავლური ტენდენციების
თანდათანობით დამკვიდრების პროცესი ნათლად
იკითხება ჯრის ტარის რელიეფებიდან დაწყე-
ბული — VI საუკუნე, „ფერისცვალების“ ჭედ-
ური ნახატის — IX ს. და აშოტ კუროპლატის
რელიეფით — IX ს. აღარულებული; მონუმენ-
ტურ ფერწერაში მსგავს პროცესს თანმიმდევრუ-
ლად წარმოვიდგენს ბიჭვინთის მოზაიკა —
IV-V სს., წმინდის მოზაიკა — VII ს., არაზის
კანკელის მოხატულობა — IX ს., ნესეუნის ეკ-
ლესიის პირველი ფენის მხატვრობა — X ს.
შინაარსობრივი ექსპრესია ამ ადრინდელ ძეგლებ-
ში გამოიხატება საზოგადო რიტმის დაძაბულობა-
ში, „მსხვილი კლანთი“ გამოყოფის საშუალებით
სათანალო აქცენტების დასმაში.

ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურების შესრუ-
ლების დროისათვის ქართულ ხელოვნებას დიდი
ხანია გავლილი ჰქონდა პლასტიკური გამოშახ-
ველობის ძიების პროცესი, რის შედეგადაც ფიგურ-
თა თანდათან თავისუფლდება სიმბოლური
სტილით განპირობებული შეზოჭილობისგან; ჟე-
სტიკის ექსპრესიულობა ახლა ფიგურათა სწორი
პროპორციების ფარგლებში იხსება.

ქართულ ჯანდაცვაში პლასტიკური ამოცანე-
ბი ჩამოყალიბდა XI საუკუნისათვის, ფერწერაში
ამ მოვლენამ თავისებური ანაგეილი ჰპოვა —
კუთხოვანი დაძაბული ნახატი რბილი, დუნადი
ნახატი შეიცვალა, (მონუმენტურ ფერწერაში
ეს პროცესი ნათლად იკითხება XI—XIII საუ-
კუნეების ძეგლებში: ატენი — XI ს.; ბეთანია,
ყინწყისი, ბერთუბანი — XIII საუკუნის დასაწყ-
ისი). დამახასიათებელია, რომ ხაზის პლასტი-
კური ძალის გამომსახველობის თვალსწრისით
ვევლაზე მეტკველია თვედროვ მხატვრობა ზემო
სვანეთში, არაც განსაკუთრებით იყო განვითა-
რებული ჭედური, ე. ი., პლასტიკის ერთ-ერთი
დარგის ხელოვნება.

ამგვარად, მიუხედავად უნიკალური ხასიათისა,
ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურების თავისებუ-
რება წარმოგვიდგება ადგილობრივი მხატვრული
ტრადიციების განვითარებასთან ორგანულ კავში-
რში.

ყურადღებას იპყრობს ისეთი დეტალებიც, რო-
გორიცაა ეროვნული არქიტექტურის ფორმათა გა-
მოსახვა. ძეგლის განსაკუთრებულ მნიშვნელო-
ვან განსაზღვრავს აგრეთვე კომპოზიციების გარ-
კვეული ვერტიკების გამოყენება, სცენების შერჩე-
ვა. მაგრამ ეს უკვე სპეციალური გამოკვლევის
საგანია.

ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურათა თავისე-
ბურებას შეიძლება დავუპირისპიროთ ე. წ. გე-
ლათის ოთხთავის მინიატურები.

გელათის ხელნაწერის (Q—908) თარიღს
მკვლევარნი განსაზღვრავენ XI—XII საუკუნე-
ებით, მაგრამ განსხვავებას გელათისა და ჯრუჭის
II ოთხთავის მინიატურებს შორის ინდენად
დრო კი არ განაპირობებს, რამდენადაც სხვა

ტრადიციებთან გაეშორი: გელათის კოდექსის მინიატურები ბერძნული მინიატურებისათვის და მასსიათებელი ანტიკური ტრადიციის „ცხოველ-ბატულობაზე“ ორიენტაციის ბრწყინვალე ნიმუშს წარმოადგენს; ჯრუჭის II ოთხთავის მინიატურების თავისებურებას განაპირობებს არა იმდენად ფერწერულ, ილუზორული შთაბეჭდილების შემქმნელ ხერხებთან სიახლოვე, რამდენადაც ადგილობრივი ტრადიციებისათვის დამახასიათებელი ხაზოვანი გამომსახველობის საშუალებანი.

XIII საუკუნის დასაწყისს მიეკუთვნება გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვათა კრებული (A — 109). ამ ხელნაწერის მინიატურათა კომპოზიციებში თავს იჩენს მინდორზე თავისუფლად გაფანტული მცირე ზომის კომპოზიციების გამოყენება და მათი თავისებური გადამსხვევება მონუმენტური სტილით.

მინიატურების მონუმენტურ ხასიათს, რომელიც შეესატყვისება ფრონტისპიანს გვერდის შინაარსობრივ და კომპოზიციურ მნიშვნელობას, განაპირობებს გამოსახული სცენების ლაკონიურობა, ფიგურათა პოზების თავშეგავეული, მკაცრი ხასიათი და, აგრეთვე, თვით წერის მანერა (თავისუფალი, ფართო, თითქმის ფუნჯის ერთი მონასმით აღნიშნული ნახტი, დაწვრილმანებას მოკლებული ფერადოვანი ლაქები).

აქაც, როგორც სხვა ქართულ მინიატურებში, მკაფიო ნახატმა განდევნა ფორმათა „ცხოველ-ბატული“ დამუშავების ეფექტი.

ამ მინიატურების უახლოეს პარალელს, განსაკუთრებით ფიგურების თავისებური სილუეტისათვის, წარმოადგენს ბერძნულის ტაძრის აფსიდის მხატვლობა (XIII საუკუნის დასაწყისი).

ძნელია დარწმუნებით ითქვას — ეს მინიატურები მონუმენტური ფერწერის ოსტატის მიერ არის შესრულებული თუ აქ თავი იჩინა მონუმენტური მხატვრობით განპირობებულმა გარკვეულმა შთაგონებამ. ყოველ შემთხვევაში ამ ხელნაწერის მინიატურები საშუალებას გვაძლევენ წამოგვრათ მინიატურული და მონუმენტური ფერწერის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

XI ს. — XIII ს. დასაწყისის ქართულმა მინიატურამ, როგორც მოწმობს ძეგლები, გაიარა განვითარების იგივე მთავარი ეტაპები, რაც მონუმენტურმა მხატვრობამ. ქართული მინიატურის (მისი კლასიკური, პროფესიული ოსტატობით შესრულებული ნიმუშების მიხედვით) უფრო მეტი დამოკიდებულება ბიზანტიურ ძეგლებთან არ გამოირიცხავდა თვითმყოფად თავისებურებათა განვითარებას.

თუ ქართულ მინიატურას არავითი სპეციალური გამოკვლევა მიმდევნა (მართალია, ჯერ კიდევ არა ისეთი მასშტაბით, როგორც მონუმენტურ ფერწერას), ხატწერის ქართული ძეგლები დღემდე შეუსწავლელი იყო, მაშინ, როცა საქართველოში მრავლად შემორჩენილი სხვადასხვა დროისა და წარმოშობის ფერწერული ხატები.



მოთავარნელოზის ხატი. ზემო სვანეთი, სოფ. იფრარი, მოთავარნელოზის ეკლესია. XIII ს.

გრიგოლ ნოსელის ეპისკოპოსად კურთხევა გრიგოლ ნაზიანზელის მიერ. გრიგოლ ღვთისმეტყველის სიტყვათა კრების მინიატურა. XIII ს-ის დასაწყისი.



ამ ხატთა ნაწილი საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმშია დაცული, ასზე მეტი ფერწერული ხატი ფიქიარებულია ზემო სვანეთის ველესიებში (მათი გარკვეული ნაწილი თავმოყრილია მესტიის მუზეუმში). აქ თავი მოუყრია განსაკუთრებით ძვირფასსა და უნიკალურ ნივთებს. ფერწერულ ხატებს შორის ვხვდებით ისეთ ნიმუშებს, რომლებიც გვიხილავენ შესრულების საოცრად დახვეწილი მანერით. ეს ხატები საქართველოს ცენტრალური რაიონის მხატვრული სკოლის ტრადიციებთან უნდა იყოს დაკავშირებული; რაც ნიმუშებში აშკარად ვლინდება ადგილობრივი, სვანური ფერწერული სკოლის ნიშნები; მოიპოვება ბერძნული ხატუწერის ბრწყინვალე ნიმუშებიც.

ამგვარად, საქართველოში შემორჩენილი ფერწერული ხატები მნიშვნელოვანია არა მარტო ქართული, არამედ ბერძნული ხელოვნების ისტორიისათვის.

სვანეთში დაცულ ძველთა შორის ერთ-ერთი შესანიშნავია მოზაიკური პორტატიული ხატი წმ. გიორგის გამოსახულებით (25,5X17 სმ; დღეს იგი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში).

ამგვარი, ცალკეული ხატების წარმოებას უკავშირებენ კონსტანტინოპოლის სახელისწილებს და მიაკუთვნებენ, უმთავრესად, XIV საუკუნეს. მაგრამ სვანეთის ხატში არ ვხვდებით აღნიშნულ დროის ძეგლებისათვის დამახასიათებელ მანერულ ტექნიკურამენტულობას, რომელიც ხშირად გახვადებულ კუნთებში ან ზედმეტად დახვეწილ ფორმებში იხატება, მას არ გააჩნია მოსახამის თავისებური, ექსპრესიულიად წარტყლებული, წაწვეტილებული ბოლო; გამოირჩევა ფორმათა „ცხოველხატული“ ძირწვა ან ოქროს ხაზებით დამახასიათებელი დამკრისხვა.

ამასთანავე, ნახატის სახითა და ფიგურის პოზა უახლოეს პარალელს პპოვებს XI-XII საუკუნეების ძეგლებში (წმ. მეომართა გამოსახულება ჩეფალუს მოზაიკაზე; ხელნაწერი 9, მოსკოვის ისტორიულ მუზეუმში; წმ. დიმიტრის სოლუნელი, კიევის მთავარანგელოზის მიქაელის მონასტრის მოზაიკა), რაც შეეხება ისეთ დეტალებს, როგორცაა ფარის ფორმა, იატაკის ფილებით დამუშავება — ისინი გვხვდება XI-XIV საუკუნეების მანძილზე (ხელნაწერი 9 — მოსკოვის ისტორიული მუზეუმი, 1063 წ; დიმიტრის სოლუნელი, კიევის მთავარანგელოზის მიქაელის მონასტრის მოზაიკა, 1108 წ; კასრიე-ჯამის მოზაიკა, XIV საუკუნის დასაწყისი. XIV საუკუნის წმ. დიმიტრის მოზაიკური ხატი.).

ხაზის გამსაკურთხებელი მნიშვნელობა, რომელიც შეიმჩნევა სვანეთის ხატზე, ემთხვევა ამ დროის ბერძნული ძეგლების მხატვრულ ტენდენციას, მაგრამ ნახატის, შვიდობა ითქვას, უბეზო გარკვეულობა შესაძლებელი ხდის დავუკავშიროთ ამ ხაზის წარმოშობა კონსტანტინოპოლისა-

გან მოშორებულ ადგილს. თუ გავითვალისწინებთ საქართველოში სხვადასხვა დროს შექმნილ ხელოვნების ამ დარგის ისეთ ბრწყინვალე ნიმუშებს, როგორცაა ბიჭვინთის მოზაიკა — IV-V საუკუნეები (სადაც, გარდა ბერძენისა, უთუოდ ქართველმა ისტატებმაც მიიღეს მონაწილეობა), წმ. გიორგის მოზაიკა (VII საუკუნე), გელათის მოზაიკა (XII საუკუნე), გამოირჩეული არ არის, რომ ხატი შეიქმნა საქართველოს ცენტრალური რაიონის მაღალი დონის სახელოსნოში.

უდავოდ ბერძნული წარმოშობისაა ფერწერული, ტილოზე შესრულებული ხატი ცნენთი — „არადამოხსნას“ და „დატირებს“ (45,4X49 სმ, ლავრა—წმ. კვირიკესა და წმ. ივლიტის ეკლესია). ხატის კოლორიტს განსაზღვრავს ფონისათვის გამოყენებული ოქრო, რომელიც აერთიანებს ინტენსიურ მოყვითალო-მწვანეს, თბილ ოქრას, ყავისფრსა და მუქ შინდისფერს. ქრისტეს მწვანე ფერის მოსახამის ქვეშ გამოსტყვივის სხეულის მოოქროსფერო ტონი (კურტ ვიციმანის განსაზღვრით — XI საუკუნისთვის დამახასიათებელი „სხეულის გარნობის“ თავისებური შენარჩუნება). ამ ხატში იგრძნობა მინიატურულ ფერწერასთან გარკვეული სიახლოვე, რაც მდგინდება თვით წერის მანერაში და ხატის საერთო კომპოზიციის აგებულებაში, რომელიც XI საუკუნისთვის ჩამოყალიბებული მენოლოგიუმების ილუსტრირების სისტემის ანალოგიურია.

ლავერაკსა და მესტიის მუზეუმში დაცულია დიდი ოსტატობით შესრულებული ორი შესანიშნავი ხატი, მთავარანგელოზების — მიქაელისა და გაბრიელის გამოსახულებით. ორივე ხატი ერთი ნახატის ხელს ამძლავებს და მიეკუთვნება, ალბათ, „ვედრების“ განვითარებულ კომპოზიციას. ეს ხატები შეიძლება გაუთანაზრდეს XI-XII საუკუნეების ბერძნული ხატუწერის საუკეთესო ნიმუშებს. ამავე დროს, ამ ორ ძეგლში სწორედ ბერძნულ ხატუწერასთან, — კერძოდ, ზემოთმოყვანილ „არადამოხსნას“ და „დატირებს“ ხატთან, — შედარებით უფრო ნათლად ვლინდება ადგილობრივი მხატვრული ტენდენციები: თვალმარინთა სახეების განსაკუთრებული ემოციურობა და დახვეწილი ნახატის მკაფიო კალიგრაფიულობა, მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა.

გამოსახულებათა საერთოდ მონუმენტური ხასიათი, ისეთ ნიშნებთან ერთად, როგორცაა, მაგალითად, დაბალი შუბლი, ნახატის გეომეტრიული სიმკაცრე — უახლოეს პარალელს პპოვებს XI საუკუნის ქართული მონუმენტური ფერწერის ძეგლში — ატენის ტაძრის მოხატულობაში. მაგრამ მთავარანგელოზების ფიგურები მოკლებულია იმ „წონადობას“, რომელიც ატენის მხატვრობის ფიგურებს ახასიათებს. მთავარანგელოზების გამოსახულებათა დეტალებს ნახატის პარმონიული შეთანხმება საგრძნობლად ასმუბუქებს ფიგურებს და ამით ისინი გელათის მთავარი ტა-



ძრის ნართუქის მისატულობა (XII საუკუნის შუა წლები) და ზატის მინიატურებს (XII საუკუნის პირველი ნახევარი) უახლოვდებიან. მსგავსა სამივე შემთხვევაში ღია ფერებზე აგებული კოლორიტი, მეტყველი, დახვეწილი სახეები; მსგავსა აგრეთვე „ჩრდილების“ და გალიადფერების ლაქების ფაქიზი დაპირისპირება. ყველაფერი ეს აღნიშნულ ხატებს წარმოგვიდგენს რაოგურ საქართველოს ცენტრალური რაიონის სახელისწოდან წარმომიბილ ძველებს; მათი შესრულების თარიღს კი განსაზღვრავს XI საუკუნის ბოლოსა და XII საუკუნის დასაწყისით.

ამ ორი ქართული ხატისაგან მეკეთრად განსხვავდება აშკარად სხანური წარმომიბის ხატები. უკანასკნელი ამჟღავნებენ ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელია სხანური მონუმენტური მხატვრობისათვის (განსაკუთრებულად ემოციურობა, მკაფიო, თითქოს ლითონის ფირფიტის ზედაპირზე გამოკვეთილი ნახატი, კოლორიტი, რომლის ქვრადლობას განსაზღვრავს, უმთავრესად, მოწითალო-ყავისფერის ელფერი და ნაცრისფერის შეთანხმება). უმეტეს შემთხვევაში ამ ჯგუფის ხატები მეტ-ნაკლები პრიმიტიულობით ხასიათდება, მაგრამ ეს როდი აკლებს მათ გამომსახველობას (განსაკუთრებით მეტყველია ამ ხატებს შორის XI—XIII საუკუნეების ძეგლები).

იოანე ნათლისმცემლის ხატი (მესტიის მუზეუმში) გვაოცებს ემოციურობით, რაც განპირობებულია გადიდებული და ამით აქცენტრებული თავით, თვალებით. ტანსაცმლის ნაკეცების მოუსვენარ ნახატში იგრძნობა ქედური ნიშნების გაცემა, რომელთა წარმოება ასე განვითარებული იყო სხანეთში. ქვივილის ნაოჭების აღმნიშვნელი მოკლე ხაზების განლაგების სისტემა მოგვაოცებს XI საუკუნის — ლუკა ფოკიდლის მოსაიაკში გამოსახულ წმ. ნიკოლოზის ტანსაცმლის დამუშავებას, მაგრამ დენია ნახატი, რომელიც ერთიანად შემოხაზავს იოანე ნათლისმცემლის გამოსახულების თავს, კისრებს და მხრებს, უფრო გვიანი ხანის — XII-XIII საუკუნის ქართული ძეგლების დამახასიათებელ ნიშნებს ამჟღავნებს.

ორი მეომრის ხატი (დაცულია ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში) ყურადღებას იპყრობს სახეთა წერის დახვეწილი მანერით, ხაზგასმული ხაზობრიობით, რაც მიუთითებს ნიჭიერი ოსტატის ხელზე. მაგრამ ამ ოსტატის პიროვნებობას ამჟღავნებს ფიგურათა პროპორციების რღვევა (მეომრებს სხეულთან შედარებით მოკლე ფეხები აქვთ). ნახატის ზომიერი დენადობა, ნაკეთების მკაფიო გამოხატვა რბილად დამუშავებულ სახეზე XII საუკუნეზე უნდა მიუთითებდეს. ძლიერად გამოხატული ფორმების მოქნილი ნახატით შემოხაზვაში იგრძნობა პლასტიკური ამოცანის გადაწყვეტის ანარკული.

ადგილობრივი, სხანური წარმომიბის ხატებს შორის უდავოდ ნიჭიერი მხატვრის მიერაა შეს-

რულებული მთავარანგელოზის ხატი (სოფ. ხელოვნების მთავარანგელოზთა ეკლესიიდან (თარხან-ზელ). მომხიბლავია ხატის რბილი, ონდავ მიმქრალი კოლორიტი, რომელიც, დეკორატიულ დეტალებთან ერთად, მას სადღესასწაულო იერს ანიჭებს. დამახასიათებელია მთავარანგელოზის სახის თვალის, ონდავ შესივლილი, სიღრმეში მიმართული ლოყით. სახეზე აქცენტრებულია თვალები — ფართოდ გახედილი, მეტყველი. პატარა ტუჩები, მოკლე ხელები პატარა მტევნებითა, როგორცეული ოსტატის ხელს ავლენს; მაგრამ ნახატი მაინც ზედმიწევნით მეტყველია და ოსტატურად მოქნილი. გალიადფერება მსუბუქად აღნიშნული ონდავ შესამჩნევი შტრიხებით, რომელნიც ნაპირებში თითქოს დენიბა, წარმოადგენს რბილი მოდელირების გამარტივებულ ვარიანტს, რომელიც XIII საუკუნის ქართულ ძეგლებში გვხვდება.

ტახტზე მჯდომარე მაცხოვრის ხატი, რომელიც დღესაც წმ. ბარბაღს ეკლესიაში (სოფ. ხელოვნების აფხიზის მონასტრის კომპოზიციისა. ზუსტი დამთხვევა ნახატში, კოლორიტში, წერის მანერაშიც კი, ბადებს მოსაზრებას, რომ ხატი და ტანის მისატულობა ერთი და იმავე მხატვრის მხნელობა უნდა იყოს. როგორც კედლის მხატვრობა, ასევე ხატი ამჟღავნებს კლასიკურ განსწავლულობას მოკლებულ ხელს, მაგრამ ორივე შემთხვევაში გამოსახულებანი მომხიბლავია მეტყველი უშუალობით.

ხატი, ისევე როგორც კედლის მხატვრობა, XIII საუკუნის ბოლოთი და XIV საუკუნის დასაწყისით უნდა თარიღდებოდეს.

ზემო სხანეთში თავმოყრილი სხვადასხვა დარგის უამრავი ძველი შესაძლებლობას იძლევა ვიმსჯელოთ ან დაგვთა ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

XI—XIII საუკუნეების ხატურობისა და მინიატურული ფერწერის განხილული მაგალითები ამ ძველთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია. მთელი ეს მდიდარი მასალა შუასაუკუნეების ქართული მხატვრობის თავისებურებათა ფორმირების რთულ პროცესს გვიჩვენებს, ბერძნულსა და აღმოსავლური ტრადიციების თავისებური სინთეზის პირობებში ადგილობრივი, მხატვრული ტენდენციებით გადაამუშავებულს.

ყველა განხილული მაგალითი მივყუთვება იმ პერიოდს, როდესაც საქართველო წელგამართული იყო როგორც ერთიანი, ცენტრალიზებული სახელმწიფო. მონუმენტურ ფერწერასთან ერთად სამინიატურო ხელოვნებას და ხატურობას ეს ნიშნები მოწოდებენ იმ ბრწყინვალე მიღწევებს, რომლებითაც აღინიშნება ამ დროის მხატვრობის ყველა დარგი.

გზები

ღე

პერსპექტივები*

თანამედროვე ქართული

მუსიკის განვითარების

გოგიერიძის საკითხი

გივი ორჯონიკიძე

შს წირილი მიზნად არ ისახავს ქართული თანამედროვე მუსიკის მთლიანი პანორამის შექმნას. აქ, როგორც ეს სათაურიდან სჩანს, მხოლოდ ზოგიერთი საკითხია განიხილული, რომელთაც თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა.

მაგალითად, ერთი მათგანი სოციალურ პრობლემათა რიგს მიეკუთვნება და არსებითად ჩვენი მუსიკის რადიკალიზაციის ზრდიდან გამომდინარე ლაშობა პირობების შესწავლას. მართლაც, ართიმეტკული გამოთვლად საკმარისია, რომ დავადგინოთ თუ რაოდენ ინტენსიურად იზრდება ქართული მუსიკა: ახალი სახელები, ნაწარმოებები, ჟანრები — ეს ჩვენი

ყოველდღიურობის დამახასიათებელ ნიშნად იქცა. როგორც სჩანს, ეს პროცესი მომავალშიც არ შენედება და ქართული მუსიკა კიდევ უფრო მოიმატებს. აქვე უნდა დავძინოთ, რომ განსაკუთრებულ აქტივობას ახალგაზრდობა იჩენს, რომელიც უწყვეტ ნაკადად უერთდება კომპოზიტორთა და შემარლებელთა რიგებს. ჩვენში მუსიკის დათვალიერებათა სხვადასხვა რანგის ღონისძიებები მატულობს, საშემსრულებლო პოტენციალიც ფართოვდება. სხვადასხვა სახის კონკურსების რაოდენობაც იზრდება, კულტურის სამინისტროს დაკვეთებიც კარგი სტიმულატორის როლს თამაშობს. ყოველივე ეს „მუსიკისქმნადობის“ პროცესს აძლიერებს, მეტ პროდუქტიულობას განაპირობებს.

ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ პროდუქციის ზრდასთან ერთად მუსიკამ ხარისხის თვალსაზრისითაც მოიმატა. აქ მე მომიხდება შესაძლო თავდასხმისაგან თავის დასაცავად განვმარტო, რომ „ხარისხის მომატებაში“ არ ვგულისხმობ ისეთ ვითარებას, თითქოს ნებისმიერ ჟანრში ამჯერად უფრო საინტერესო ნაწარმოები იქმნებოდეს, ვიდრე წარსულში. საზოგადოდ შედარების მეთოდი ზელოვნების ნაწარმოების ავგარციანობის დასადგენად საზიფაათო და მე ვიტყვი მესწინურულად უნაყოფოც. იმიტომ, რომ ჭეშმარიტად მხატვრული ნაწარმოები განუყოფელია, რადგანაც ისეთ რაღაცას შეიცავს, რისი დაპირისპირება სხვაგვარ არ ხერხდება. ჩვენ უბრალოდ იმას ვიტყვი, რომ დღესაც ქართული მუსიკის უმნიშვნელოვანეს მიღწევათა რიგს მიეკუთვნება ქმნილებები, რომლებიც 30-50 წლებში წარმოიშვა (მათ შორის ა. ბალანჩივაძის პირველი სიმფონია, შ. მშველიძის „ზეცადაური“, ა. მაჭავარიანის სავიოლინო კონცერტი, ო. თაქაიშვილის პირველი საფორტეპიანო კონცერტი, ს. ცინცაძის მეორე კვარტეტი და საკვარტეტო მინიატურები და მრ. სხვ.). ამ მცირე ჩამოთვლასთან დაკავშირებით მსურს მკითხველი წინასწარ გავაფრთხილო, რომ მომავალშიც არ ვიზრუნებ ყველა შესაბამისი მოვლენის დასახელებაზე და ინვენტარიზაციისათვის დამახასიათებელი სისუსტით უკლებლივ ყველა ფაქტის აღნიშვნაზე. მე მსურს მხოლოდ რამოდენიმე ტიპური ნიმუშის დასახელება, რომელთაც წარმომადგენლობის უფლება გააჩნიათ. დიას, წარსულის ჭეშმარიტად მხატვრულმა მოვლენებმა სადღესობადაც შეინარჩუნეს თავისი ღირებულება, მაგრამ დღეს „კარგი“ უფრო დიდია რაოდენობით იქმნება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ იმ დათვალიერებებმა, რომლებიც კომპოზიტორთა კავშირმა უკანასკნელი 4 წლის მანძილზე ჩაატარა, ისეთი ნაწარმოებები გამოავლინა, რომლებმაც უკვე მიიპყრეს ფართო საზოგადოების ყურადღება და მრავალი სპეციალისტის მიერ აღიარებულ იქნენ საჭიროთა მუსიკის ელემენტარულწინა მოვლენად იმედია, რომ დრო ამ აზრს გაამართლებს, ეჭვი არაა, რომ ახალი საოპერო და აბაბლეტო ნაწარმოებები, სიმფონიური და კანტატა-ორატორიული მუსიკა, კამერული პიესები, კინო და თეატრალური მუსიკა, შექმნილი ამ უკანასკნელი 5-10 წლის მანძილზე, შეინარჩუნებს მომავალშიც თავისი ზემოქმედების ძალას და გარკვეულ ზეგავლენას მოახდენს ეროვნული მუსიკის შემდგომ განვითარებაზე.

ამის წინაპირობა სხვა მიზეზთა შორის ისიც გახლავთ, რომ ახალი მუსიკის თვალსაწიერი გაფართოვდა, მისი გან-

* იბეჭდება განხილვის წესით.

ვითარება აღინიშნა იდეურ-თემატიკური განახლებით, სახეთა განზოგადების ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი საშუალებების დაშვებით. იმატა პროფესიულმა ოსტატობამ, რაც თავისთავად მეორესხარისხიან ფაქტორთა რიგს არ მიეკუთვნება მე, მაგალითად, მწამს, რომ ტექნოლოგიური კომპლექსების გადახალისებაზე ზრუნვა არა მარტო ასალგაზრდა შემოქმედითაა დამახასიათებელი, არამედ ბევრი ცნობილი მუსიკალისათვის, რომლებიც უკვე დიდი ხანია შემოქმედებით მოწიფულობას მიაღწია და რაც მთავარია „ძველ ტექნოლოგიაში“ ბევრი საინტერესო ნაწარმოები შექმნა.

ჩვენთვის, მაგალითად, ა. ბალანჩივაძე სტილისტური სისუფთავის, თვითმყოფადობის და მთლიანობის სიმბოლოა. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ თითქოს მისი სტილი კომპოზიტორის მთელი შემოქმედებითი გზის მანძილზე სტატიკური მდგომარეობით დარჩენილიყო. IV საფორტეპიანო კონცერტი მუსიკალური აზროვნების ყველა მხარეების გამაძაფრებას მოწოდებს ამავე კანონის სხვა ნაწარმოებებთან შედარებით, რომლებიც კომპოზიტორმა ადრე შექმნა.

ბალეტ „მწირობა“ ბევრი ისეთი სიახლე შემოვიდა, რომლებიც „მთების გულის“ ავტორისათვის თითქოს წარმოუდგენელი იყო. ს. ნასიძის პირველი საფორტეპიანო კონცერტი დღესაც მიმოიღველია თავისი სისახლით, გულწრფელი ლირიკითა და განრული ფერადობებით: იგი სტილისტურ ძიებათა იმ ატმოსფეროში იქმნებოდა, რომელსაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა თ. თაყაიშვილის, ა. ბალანჩივას და ა. მაჭავარიანის ძიებები 50-იან წლებში უკანასკნელ სიმფონიებში კი, რომლებიც 70-იან წლებში შეიქმნა. ს. ნასიძე ახალ სტილისტურ ინტერესებს ამჟღავნებს. რაც მთავარია მისი ხელწერა უფრო თვითმყოფად გახდა, მასში მუსიკალური შემოქმედების ახალი წყაროები გათვალისწინებულია. კომპოზიტორი შემოქმედითად უფრო რთული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად და ამის შესაბამისად მისი საკომპოზიტორ პალიტრა უფრო მრავალფეროვანი გახდა, მეტი მთლიანობით ხასიათდება. ცნობილია ის სტილისტური ფორდატეხა, რომლითაც აღინიშნა, ს. ცინცაძის და რ. გაბრიანიის შემოქმედებითი განვითარება, გარდატეხა, რომელმაც მათ მუსიკაში მრავალი სიახლე დაწვინა, ახალი სახეები და ახალი ფსიქოლოგიური შინაარსი შემოიტანა. მე, მაგალითად მწამს, რომ ის ნაწარმოებები, რომლებიც დ. თორაძემ 60-70-იან წლებში შექმნა (მეორე სიმფონია, საგუნდო სიმფონია გულაკტიონის მიხედვით, ბალეტი „მწირობა“) შეიძლება მხატვრობისთვის თვალსაზრისით სხვადასხვანაირად შეფასდეს, მაგრამ ტექნოლოგიური დონით და ბარისებით ბევრად აღმატებულ ყველაფერ იმას, რაც კომპოზიტორს შეუთხზავს ადრინდელ პერიოდში, ეს რასაკვირველია წინსვლა და მხარდაჭერასაც იმსახურებს.

ტექნოლოგიური გადახალისება — ეს ერთ-ერთი საკვანძო მომენტია, ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიწინაშეული იმ პროცესისა, რომელიც დღეს ქართულ მუსიკაში ხდება. მე თითქმის ვერცერთ საინტერესო მუსიკალს ვერ დავსახლებე, რომელსაც იგი მეტნაკლებად არ შეეხო.

თანამედროვე ქართული მუსიკის გზებისა და მიმართულებების შესახებ მსჯელობისას ბოლო ხანის დამახასიათებელი მომენტია იმის აღიარება, რომ დღეს ჩვენი კომპოზიტორ-

ების შემოქმედება სხვადასხვა ტენდენციებს ამჟღავნებს, რომ სტილისტურად ჩვენი მუსიკა უფრო მრავალფეროვანი გახდა, რომ ადრეულ ეპოქებთან შედარებით პოლიარხულია აქ უფრო შეამჩნევია. თვით ტერმინი „ტიქნოლოგიური განახლება“ კი რომ გავმიფრთ დავინახავთ, რომ მასში ბევრი, ხშირად ურთიერთსაპირისპირო თვისება იგულისხმება. მართლაც, ისიც ხომ გასათვალისწინებელია, თუ ეს განახლება რა მიმართულებით და რა ტენდენციებზე დაყრდნობით ხორციელდება. „ინტერნაციონალური კავშირების გაღრმავება და გაფართოება“ ეს ტერმინიც ბევრ მომენტს გულისხმობს და ხშირად ურთიერთგანსხვავებულსაც. ჩვენი თავია გამოძახილი პოეზიის მსტაკოვიჩმაც და პროკოფიევამც, ბარტოკმაც და სვირიდოვმაც, ახალმა ფრანგულმა საკლამაც და პოლონურმა მიმდინარეობამაც. ეს ნაირფეროვანება თავის გამანაყოფიერებელი ზეგავლენას ახდენს ქართულ მუსიკაზე დღეს—ესეც კი ვთქვათ — ასეთი ურთიერთკავშირების გარეშე შედგებია ლაპარაკიც კი ეროვნული საკომპოზიტორთა სკოლის პროგრესზე.

როდესაც თანამედროვე ქართული მუსიკის ბაზრამას ითვალისწინებენ აუცილებლად აღინიშნავენ მის ინდივიდუალუბათა სიუხვს, შემოქმედებითი ტენდენციების სხვადასხვაობას. ჩვენში არიან კომპოზიტორები, რომელთა ხელწერაც ერთმანეთისაგან თუნდაც იმით განსხვავდება, რომ ზოგი ახლოსა დასა ხალხური მუსიკის მრავალფეროვან წყაროებთან და მათ უშუალო ზეგავლენას განიცდის, ზოგი პირიქით ფოლკლორთან „ძნელად“ მიდის, მის მხოლოდ ზოგიერთ თვისებებს ითვალისწინებს, საზოგადოება ხალხურ საწყობთან გაშუალებული კავშირების პრინციპული მომხრეა. ხანდახან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ასეთი კომპოზიტორი მოწყვლად კიდევ ხალხურ აზროვნებას, მაგრამ ასეთი შთაბეჭდილება ადამიანს შეიძლება ერთი შეხედვით შეეჭმნის და ისიც ზერელე შეხედვით და თანაც, თუ გინდა, რომ ბოლომდე გულწრფელი ვიყო, მხოლოდ ზერელე და უღიმამო ნაწარმოებზე.

ჩვენი მუსიკის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებებურება კი ის გახლავთ, რომ მასში ძლიერია მეშვიკიდრობის ძალა, ნიადაგის სუნია, კულტურული ტრადიციების შენარჩუნებისათვის ბრძოლის სულისკვეთება.

მსატრულე დირებულება ბევრი ობიექტური მსაზღვრელი გააჩნია. შემხვევითი არაა, რომ ჩვენი მის კრიტიკურად წინა პლანზე გამოვიდა მისი ეროვნული რაობა, ეროვნული ტემპერამენტი, ეროვნული ტრადიციის ცხოველმყოფლობის ძალა. არავიფიქროვებ, ანა უფრო რბილად რომ ვთქვათ ეროვნულად ნეიტრალური, არამსატრულის მნიშვნელობას იქნეს.

ასეთი უკიდურე კატეგორიულობა გამოწვეულია იმის რწმენით, რომ ხელოვანის მთავარი ამოცანაა ჩვენი სინამდვილის რეალისტური ასახვა, იმ პრობლემების და ინტერესების გამოხატვა, რომელიც თანამედროვე ადამიანს ამოძრავებს, იმ გრძნობისა და აზრის ამტკველება, რომელიც მის სულიერ ცხოვრებას განსახიერებს. და თუ ეს ანა, როგორ შეიძლება ან ამოცანების გადაჭრა შესატყვისი ინტონაციის, შესატყვისი ტემპერამენტის, საკუნეების მანძილზე გამოშუშავებული ფორმების გარეშე?

აქ მხოლოდ იმის სურვილის გამოთქმააა საჭირო, რომ

ეროვნული ამ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს, მაგრამ ამავე დროს არ უნდა იქნეს გააგებული ვიწროდ, ისე როგორც მხოლოდ ვარიანტი უკვე არსებულისა, მისი ნაირსახეობა, თორემ თვით ეროვნული იდეა დაკნინდებოდა. არა, ეროვნული, ისევე როგორც თვით სინამდვილე მარად განვითარებადი კატეგორიაა. ეროვნული ისაა, რაც გარკვეულ ისტორიულ აუცილობლობას შეესატყვისება, რაც ცხოვრების მიერ დასმულ კითხვას პასუხობს და ამის გამო იგი თავისთავად ვერ შეიზღუდება, როგორც ვერ შეიზღუდება თვით სინამდვილე იმ მომენტზე სფეროებისაგან, რომელთანაც იგი ორგანულ კავშირში იმყოფება.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ მთელი თავისი მრავალფეროვნების მიუხედავად, ქართული თანამედროვე მუსიკა საოცრად მთლიანია ის, რაც მიკვლეულა მისი განვითარების წინა ეტაპებზე — ვითარდება და დრამატიკა, ახალ თვისებებს იძენს. ბალანჩაივის პირველი სიმფონია არსებითად ჩვენში ამ ეპარის პირველი სრულქმნობი ნიმუშია, რომლის ცხოველყოფილი ზეგავლენა ჩვენი მუსიკისათვის დღემდე ინარჩუნებს თავის დიდ მნიშვნელობას. ამ ნაწარმოების ძალა შეგრძნებს არა მარტო კომპოზიტორის თაობის წარმომადგენლებმა, არამედ მომავალმა თაობამაც, პირველი სიმფონიის კვალი ასე თუ ისე შეინჩნება ს. ნასიძის, ბ. კვერნაძის და გ. ყანჩელის შემოქმედებაში. მაგრამ დროთა განმავლობაში „ბალანჩაივისიველი“ სხვადასხვანაირად იცითხებოდა, ახალ ჟღერადობას იძენდა, ახალი სურსიკვეთებით ივლინებოდა. არსებითად დღეს იგი სასიმღეროს თავისებური განინტრუმენტალების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაირსახეობაა, ეროვნულ-საქციფიკურში ქმედით-ესთეტიკურის შეგრძობაა, მისი არა მარტო ქურჭატა, არამედ დინამიკურ პულსში გადაყვანაც. ბალანჩაივის ნუსიკისათვის დამახასიათებელი რიტმული პულსი მოდიოდა ქართული საცეკვაოების თუ შესაბამისი სასიმღერო ფორმების დინამიზაციად რაც კიდევ „მოების გული“ ამ მხრეზე ბევრ საგულისხმო მომენტს შეიცავდა. ხალხურ-სახასიათაოს დინამიზაციის ეს ტენდენცია ქართულმა მუსიკამ შეინარჩუნა, მაგრამ რაირც შეიცვალა მისი ფორმები, რაირც გამაჟფრდა თვით რიტმულ საწყისი, რაირც შეიცვალა ტოკატურ-საციფიკოზული ეპარის, რომელსაც ბალანჩაივამ უკვე ადრეულ ნაწარმოებებში აშკიფდრებდა.

მართლაც, თვით ეპარების განვითარების დინამიკა ცხადყოფს ახალი ქართული მუსიკის ფერისკვალების ინტენსიურობას, მისი შინაარსული სახეცვლილების კანონზომიერ სახისა. ცნობილია, მაგალითად, რომ ვოკალური ლირიკის ეპარში დაირღვა ის ელემენტარ განწყობილობა, რომელიც მას დღემდე რაყივიშელმა დაემკვიდრა. ძიებები, რომლითაც აღინიშნა თ. თავთაიშვილის პირველი ვოკალური რვეულები ვაჟასა და გალაქტიონის ტექსტებზე, ნიშანდობლივია იმით, რომ მათში ქართულმა ვოკალურმა მინიატურამ მტკიცედ გადადგა ნაბიჯი სალონური სარომანსო ეპარდან სიმღერისაკენ. ამ სტილისტურ ძვრას ბევრი ასპექტი გაჩანდა, რომელთაგან უმთავრესია ის იყო, რომ ვოკალური მუსიკა ამიერიდან უკვე მხოლოდ განწყობილების სფერო აღარაა, აქ ძლიერდება „ნივთიერ“ — სოციალური თემა, უფრო რელიეფურად

გამოიკვეთება სიუჟეტი, რომელმაც შესაძლოა რამდენიმე სიმღერის გაერთიანებაც კი მოითხოვოს.

ვოკალურ ლირიკას ჩვენში არასოდეს არ უთამაშნია ავანგადული ეპარის როლი, მაგრამ თ. თავთაიშვილისათვის იგი ჭეშმარიტად შემოქმედებითი ძიებების ლაბორატორიად იქცა. ამ სფეროში კომპოზიტორმა უფრო უშუალო კავშირი დაამყარა ეროვნული მუსიკის ტრადიციებთან, იგი შეგნებულად უბრუნებს სასიმღერო მინიატურას მის თავისთავადობას, ათავისუფლებს მას ყოველივე იმისაგან, რაც სიმღერის უშუალობას არ შეესატყვისება, „მარტივებს“ ინარჩუნებულ საწყისს, თანხლების მნიშვნელობამდე დაჰყავს იგი საკუთრივ ვოკალურის უკეთესად წარმოჩენისათვის, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ეპარული აპეციფიკის სიმსხვილეს, ეროვნული ინტონაციის გამოკვეთას.

თავთაიშვილის ვოკალურ ეპარში ინტენსიური მუშაობის შედეგი ნაწარმოებთა არა მარტო სიმრავლესა და მათ ეპარ-თემატიკაში მრავალფეროვნებაში გამოისახა. კომპოზიტორმა შესძლო სახეების საკმაოდ მდიდარი სამყაროს შექმნა, რომელიც პოეტური დამოუკიდებლობით, ეპარული ტიპებისა, ვოკალურ და ინსტრუმენტულ საწყისთა შეფარდებათა სიუჟეტი გამოირჩევა.

მაგალითად, მთელ რიგ ციკლებში, განსაკუთრებით „მეგრულსა“ და „გურულ“ სიმღერებში კომპოზიტორი არსებითად ხალხური მუსიკის წილში იმყოფება. რასაკვირველია, შეუძლებელია თვით იმის „ავტორისეული“ წვლილის გაუფარება, მაგრამ „ამინდს“ ამ ნაწარმოებებში თვით ხალხური ქმნის. იგი ის არსებითად და განუყოფელია, რომელიც დასახელებულ ნაწარმოებთა შემოქმედების ძალას განასაზღვრავს.

მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებში კომპოზიტორი ახალ სასიმღერო ფორმებსა ქმნის, აძლიერებს მათ ეპარულ-ყოფით ხასიათს, დიდ ყურადღებას უთმობს საკუთრივ სასიმღეროს გამდიდრებას რეტიკულურ-დეკლამატორით. ეს განსაკუთრებით მის ფართო ვოკალურ-სიმფონიურ ტილოებში ვლინდება (მაგალითად, ორატორიაში „ნიკოლოზ ბარათაშვილი“). ამ ნაწარმოებთან დაკავშირებით ჩვენ უნდა დავდასტუროთ, რომ დიდი ფორმის ვოკალურ-სიმფონიურ მუსიკაში სასიმღეროსთან ერთად გარკვეულ მნიშვნელობას იძენს საკუთრივ ინსტრუმენტული საწყისი. სიმფონიურ ეპარებში მუშაობით შექმნილია გამოცდილებამ გარკვეული კვალი და-ამართია თავთაიშვილის ამ ნაწარმოებთა მუსიკალურ ქსოვილსაც, მეტი გამომსახველობა შესძინა მას.

„ახალი ვოკალური კულტურის“ დამახასიათებელი თვითებები გამოვლინდა ა. მაჭავარიანის „მონოდრეგებში“, ს. ნასიძის ტოკატაში, „ქართული ხალხური ოპორინდან“, გ. ჩლაიძის „სიყვარულის საგალობელში“ და მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებში. მე განსაკუთრებით მსურს ს. ნასიძის „ქართული ხალხური პოეზიდან“ აღნიშნო, რომელიც ყურადღებას იპყრობს განწყობილებათა სიღრმითა და პოეტურობით, მკვეთრი პოეტური ინტონაციითა და იდეის შესატყვისი ფორმების გამოკვეთილობით. ფიქრი სიკვდილის გარდაუვალობის შესახებ ამ ქმნილებაში მრავალფეროვნადაა გამოხატული. ბევრ ზემოთხე პირობებისათანა დაკავშირებულ. აქ მძაფრად ჟღერს სიყვარულის მოტივიც, ბუნების მარადიულობის

თემა, დიდ მნიშვნელობას იძენს მორალური ღირებულების საკითხზე. ადამიანს სვედა შემოსწოლია, მაგრამ ზნებრივ საკითხში იგი უკომპრომისო და ვაკაცური შემართებისაა. და არა მარტო თავის ვაკაცური დარღვევ, ლხინში მისი ჩაკვლის უნარი, ბუნებათან დიალოგის წყურვილი, არამედ წინადა მუსიკალური თვისებებით ეს გმირი ენათესავება ბასსაბათებს, რომელიც ქართულ ლიტერატურას გაეას შემოქმედებამ და უფრო ფართოდ მთის პოეზიამ შესძინა.

